საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ლელო

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან
4 აგვისტო სამშაბათი 2009
№ 181 (12 860) ფასი 60 თეთრი

## მალხაზს ხაზი გაუსვეს

# ასათიანი სიმბოლურ ნაკრებში



» გვერდი 4



# ჰუნტელაარი მილანის ზღურბლზე?

ჯერჯერობით, „მილანის“ ფანები უშედეგოდ ითხოვენ საყვარელი კლუბის ბოსებისგან ბაზარზე გააქტიურებას. ყოველ შემთხვევაში, ამ მომენტისთვის ასეა - „როსონერის“ ხმაურიანი შენაძენი არ გაუკეთებია, პირიქით, კაკა „რეალში“ გაყიდა, ანდრეა პირლოს „ჩელსი“ ექაჩება, თავად გუნდს კი წინასასეზონო ტესტმატჩებში ძალიან ცუდი შედეგები აქვს...
საკითხავია, მეტი რაღაა საჭირო იმისთვის, რომ სილვიო ბერლუსკონიმ ქისა გახსნას? ჰოდა, ამბობენ, „მილანმა“ კლაას-იან ჰუნტელაარის ყიდვა გადაწყვიტა და ძალზე ახლოსაა მიზანთანო. 25 წლის ჰოლანდიელი „რეალს“ ვერ შეეწყო და აკი მიუთითა (გაბრიელ ჰაინცესა და რაფაელ ვან დერ ვაარტთან ერთად) კიდეც სამეფო კლუბის ახალმა დამრიგებელმა მანუელ პელეგრინიმ - შეგიძლია, წახვიდეო. ესპანურ პრესაშიც დაიწერა - თითქოს, „რეალმა“ და „მილანმა“ უკვე შეათანხმეს 11 მილიონ ევროდ ღირებული გარიგება. არადა, ცოტა ხნის წინათ „შტუტგარტი“ 18 მილიონს იძლეოდა და ესპანური გრანდი სიამოვნებითაც დაყაბულდებოდა, მაგრამ... ფეხბურთელმა უშუალოდ გერმანულ კლუბთან ვერ მოილაპარაკა. „მილანთან“ მიმართებაში კი ასეთი რამ, ალბათ, არ მოხდება და შესაძლოა, შეთანხმება ამ კვირაშივე გაფორმდეს.

## მაგრამ მე მაინც ვიტოვებ იმედს...

ინტერვიუ შოთა კაშიასთან



» გვერდი 3

საქართველოს ჩემპიონატი

I ტურის მიმოხილვა

# პირველი შთაბეჭდილება

ყველა ახალი სეზონის დაწყებას ახალი იმედით ვხვდებით; ასეა ამ ჯერზეც - ყველას გვინდა, რომ XXI ჩემპიონატი ნამეტნავად გამორჩეულ-განსაკუთრებული თუ არა, ელემენტარულად, წინა გათამაშებაზე უკეთესი იყოს. ვნახოთ, რამდენად „გაუძლებენ" გუნდები ოთხწრიან მარათონულ ტურნირს; ჰო, ნამდვილად არ არის პატარა საქმე, ერთსა და იმავე გუნდს ოთხჯერ რომ უნდა ეპაექრო...

მანამდე კი, XXI ჩემპიონატის პირველ ტურზე ვისაუბროთ. ვერაფერს ვიტყვით - უკვე თავიდანვე რამდენიმე მოულოდნელობის მომსწრე შევიქენით! ამასთან, ტური არასრული გამოდგა - საქართველოს პროფესიულმა ფეხბურთის ლიგამ და თბილისის „დინამოს" ხელმძღვანელობამ კომპრომისი გამონახეს და ჩვენს ყველაზე ტიტულოვან გუნდს „გაგრასთან" მატჩი გადაუდეს. ჩვენი აზრით, ასეც უნდა მომხდარიყო - ევროტურნირებს შემორჩენილ ერთადერთ ქართულ გუნდს ყველანაირი პირობა უნდა შევუქმნათ, რომ „ცრვენა ზვეზდასთან" განმეორებით შეხვედრაში სასურველი შედეგი აჩვენოს.

## პირველი სენსაცია

ჩემპიონატის დაწყების წინ „ხმამაღლა" გამოვაცხადეთ, რომ ოქროს მედლების ერთ-ერთი ყველაზე რეალური კანდიდატი „ზესტაფონი" უნდა ყოფილიყო. რა თქმა უნდა, დღესაც ამ აზრის ვართ, მით უმეტეს, ერთი შეხვედრა (თანაც - სასტარტო) არაფერს წყვეტს. თუმცა, საქართველოში ნაკლებად თუ მოიძებნებოდა ვინმე, „ზესტაფონის" საშინაო გამარჯვებას ეჭვქვეშ რომ დააყენებდა. ამის მიზეზი კი, უპირველეს ყოვლისა, მასპინძელთა გუნდის შესაშურ ფიზიკურ კონდიციებში ყოფნაც იყო - „ზესტაფონმა" ხომ მართლაც შთამბეჭდავად და, რაც მთავარია, ღირსეულად იასპარეზა ევროტურნირებზე. არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო **გია გეგუჩაძის** გუნდში ჩვენი ფეხბურთის კვალობაზე არაერთი „სახელ-გვარიანი" ახალწვეულის გამოჩენაც: **გიორგი ონიანი, ჯაბა დვალი, ზაალ ელიავა, თორნიკე აფციაური და ლევან კორლალიძე.** თანაც, მეტოქის ფაქტორიც ხომ გასათვალისწინებელია? შესაძლოა, მართლაც ვიჩქარეთ, როცა „ლოკომოტივს" წინასწარ განწირული აუტსაიდერის „სტატუსი" მივანიჭეთ; ამ დროს კი, გუნდმა შეძლო და ზესტაფონიდან ქულა წამოიღო! ისე, „ლოკომოტივის" ახალგაზრდა მწვრთნელს **გელა სანაიას** (უმაღლეს ლიგაში სადებიუტო მატჩი რომ ჰქონდა) ობიექტურობის გრძნობა არ დაუკარგავს: შეხვედრის დასრულების შემდეგ, საგანგებოდ რომ გაუსვა ხაზი იღბალს. გასაგებია, რომ მასპინძლებს უამრავი მომენტი ჰქონდათ, „ლოკომოტივის" მეკარემ **მაქსიმე ქვილითაიამაც** რამდენიმე რთული ბურთი მოიგერია, მაგრამ იღბალის გარდა, სტუმრების თავდადებული თამაშიც არ იყო უმნიშვნელო მოვლენა...



რევაზ გოცირიძემ ჩემპიონატის პირველი დუბლი გაიფორმა

## მძიმე სტარტი

ცოტაც და, ახალი ჩემპიონატის პირველსავე ტურში, სკანდალისმაგვარსაც ვნახავდით! საქმე ის არის, რომ „ვიტ ჯორჯიასა" და „სამტრედიას" მატჩი პირველი აგვისტოს ნაცვლად, მეორე დღეს ჩატარდა! ამის მიზეზი კი, როგორც საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგის ოფიციალური ვებგვერდიდან შევიტყვეთ, მოქმედი ჩემპიონის ფინანსური დავალიანება ყოფილა. თან, დავალიანებასაც ხომ გააჩნია? ოფიციალური წყარო კი ასეთ რამეს იტყობინებოდა - **„ვიტ ჯორჯიას" 2007-2008 წლების და მიმდინარე სეზონის საწევრო დავალიანება გააჩნია. გუნდს მიეცა ვადა 1 აგვისტოს 13 საათამდე, რათა დაფაროს თანხის ნაწილი მაინც. წინააღმდეგ შემთხვევაში, თამაში არ ჩატარდება და ეს საკითხი განსახილველად გადაეცემა სფფ-ს ალმასკომს"**. ეს ცნობა 31 ივლისს გავრცელდა. უკვე მეორე დღეს კი ცნობილი გახდა, რომ მატჩი 2 აგვისტოს უნდა ჩატარებულიყო, ანუ, ერთი დღით გადაიდო. როგორ ფიქრობთ, მოვლენების ასეთ განვითარებაზე „სამტრედიას" ხელმძღვანელებს, მწვრთნელებსა და ფეხბურთელებს „ჩვეულებრივი" რეაქცია ექნებოდათ? აკი, განაცხადა კიდეც „სამტრედიას" ვეტერანმა თავკაცმა **ვალერიან ჩხარტიშვილმა:** 40 წელია ფეხბურთში ვარ და ასეთი პრეცედენტი არ მახსოვსო...

ასეა თუ ისე, შეხვედრა მაინც ჩატარდა და ჩემპიონმაც სამი ქულა მოიპოვა; თუმცა ვერავინ იტყვის, რომ „ვეტერინარებმა" ამ გამარჯვებას იოლად მიაღწიეს - **რამაზ მუმლაძის** გუნდმა მხოლოდ მეორე ტაიმში გატეხა დებიუტანტების წინააღმდეგობა. ამაში კი ლომის წილი შეცვლაზე შემოსულ **ირაკლი კლიმიაშვილს** მიუძღოდა. სხვათა შორის, სტუმრებმა ერთადერთი გოლი (**პაატა ბაკარანძე**) მაშინ გაიტანეს, რიცხობრივ უმცირესობაში რომ დარჩნენ - **ვალერი ტყემალაძე** პირველი ფეხბურთელია XXI ჩემპიონატში, მოედნიდან რომ გააძევეს. სხვათა შორის, სტუმართა ხელმძღვანელები თუ გულშემატკივრები მატჩის არბიტრების ქმედებით ხშირ შემთხვევაში, რბილად რომ ვთქვათ, აშკარად უკმაყოფილონი იყვნენ...

## აქეთ ზამბია, იქით ბრაზილია

ჩვენს ჩემპიონატში 2000-ზე მეტი ქომაგის ხილვა ტრიბუნებზე, მართლაც განსაკუთრებული მოვლენაა. რა თქმა უნდა, რეალურად უნდა ვიმსჯელოთ და ყველა მატჩზე ასეთ აუდიტორიას არც უნდა ველოდეთ, მაგრამ თვითონ ფაქტი, რომ აშკარად დადებითზე მეტია, ვფიქრობთ, ბევრი მტკიცება არ სჭირდება. აი, ასეთი ინტერესი გამოიწვია ზუგდიდში ადგილობრივ „ბაიასა" (ჯერჯერობით ასე ერქმევა) და რუსთავის „ოლიმპის" შეხაედრამ. ალბათ, ამ ინტერესის გამოც იყო, რომ საქართველოს ტელევიზიის პირველ არხზე სწორედ ამ მატჩის პირდაპირი ტელერეპორტაჟი მოეწყო და არა - წინასწარგაცხადებული „სიონი" - „სპარტაკისა"..

...ორივე გუნდის თავკაცს, **ბესიკ შეროზიასაც და ოთარ კორღალიძესაც,** ფაქტობრივად, ახალ კონტინგენტთან მოუწიათ მუშაობამ. „ბაიაში" მხოლოდ ოთხი ფეხბურთელი ვიხილეთ, წინა სეზონში „მგლების" ღირსებას რომ იცავდნენ - **როინ ონიანი, ვალტერ გუჩუა, მაკარ აქუბარდია, დავით ქირია;** კორღალიძე კი სულაც რამდენიმე დღის წინათ დაინიშნა „ოლიმპში". თუმცა, ამ შეხვედრის მთავარი ინტრიგა მაინც ორივე გუნდის ლეგიონერთა თამაში იყო - ერთდროულად ექვს უცხოელს დებიუტი ჰქონდა საქართველოს ჩემპიონატში! მასპინძელთა შორის რამდენჯერმე გაიბრწყინა ზამბიელმა **ჩისამბა ლუნგუმ,** ხოლო „ოლიმპში" ხუთივე ბრაზილიელმა ითამაშა: **აკინომ, ჟონატასმა, ჟერონიმომ, ფრაგამ და ჩოკომ.** განსაკუთრებით აკინო და ჟერონიმო გამოირჩეოდნენ, პირველმა სულაც გოლი გაიტანა და, საერთოდაც, საკმაოდ შთამბეჭდავად ითამაშა კიდეც. არანაკლებ საინტერესო იყო ის ფაქტიც, რომ სტუმრებს **გია თოდუამ** მოაგებინა; არადა, წინა ორი სეზონის განმავლობაში ეს გამოცდილი ფორვარდი ზუგდიდური გუნდის საუკეთესო ბომბარდირი იყო. ეგ კი არა, ახალი ჩემპიონატისთვისაც „ბაიას" შემადგენლობაში ემზადებოდა და მხოლოდ მატჩამდე ორი დღით ადრე გადავიდა „ოლიმპში".

I ტურის სიმბოლური ნაკრები




## შემთხვევითობა თუ კანონზომიერება?

...2001 წლის 17 სექტემბერს ბოლნისის „სიონმა" საკუთარ მოედანზე დიდი ანგარიშით (0:5) წააგო თბილისის „ლოკომოტივთან". ამის მერე „სიონს" საშინაო ასპარეზზე მტკივნეულად აღარ წაუგია და აი, რვა წლის შემდეგ ცხინვალის „სპარტაკთან" შეხვედრაშიც თითქმის იგივე განმეორდა. ეგ კი არა, მატჩის მიწურულს... სასიამოვნოდ მოტივირებულმა სტუმრებმა აშკარად დაინდეს მეტოქე, თორემ, სხვაობა, ალბათ, უფრო დიდი იქნებოდა. ისე, რახან რვა წლის წინანდელი მატჩი გავიხსენეთ, ბარემ ისიც ვთქვათ, რომ „სიონს" მაშინ **თემურ მახარაძე** წვრთნიდა. არადა, ამ გამოცდილი და წარმატებული სპეციალისტის სამწვრთნელო კარიერაში დიდი ანგარიშით კი არა, საერთოდ წაგებაც კი იშვიათობას წარმოადგენდა (გახსოვთ, „ზესტაფონში" მუშაობისას შთამბეჭდავი და დაუმარცხებელი სერია?);

მახარაძეს რვათვიანი პაუზა ჰქონდა და ზედ ჩემპიონატის დაწყების წინ დაინიშნა „სიონში". აბა, ასეთ უმოკლეს დროში როგორ შეიძლებოდა „სრულფასოვანი" გუნდის ჩამოყალიბება? თანაც, არც ის დაგვავიწყდეს, რომ „სიონში" ახალწვეულთა უმრავლესობა გამოცდილი და ასაკოვანი ფეხბურთელია; ანუ, ერთმანეთთან შეთამაშების გარდა, მოთამაშეთა უმრავლესობას ფიზიკური კონდიციების პრობლემაც ჰქონდა. მით უფრო ისეთ მობილურ გუნდთან, როგორიც „სპარტაკია". „გუნდი-გამოცანა" - ასე „შევარქვით" მოსამზადებელ ეტაპზე ცხინვალის „სპარტაკს" და არ დავმალავთ, ბევრს არ სჯეროდა ამ გუნდის დიდი ამბიციებისა. თუმცა, აღმოჩნდა, რომ კლუბის ახალმა ხელმძღვანელობამაც (**მურთაზ შელია**) და ახალმა მთავარმა მწვრთნელმა (**ვლადიმერ ხაჩიძე**) ყველაფერი სწორად გათვალეს და გუნდიც ჩინებულ მზადყოფნაში შეხვდა ჩემპიონატის სტარტს.

აქტიური პრესინგი 90 წუთის განმავლობაში (ხშირ შემთხვევაში, მეტოქის ნახევარზევე), პოზიციების სწრაფი ცვლა, ფლანგების მაქსიმალური გამოყენება და სათამაშო დისციპლინის მკაცრი დაცვა - „სპარტაკმა" მეტოქე ყველა ამ კომპონენტში დაჩაგრა. აღარაფერს ვამბობთ იმ ფაქტზე, რომ სტუმრების თითქმის ყველა შეტევა თუ კონტრიერიში აშკარად წინასწარ დამუშავებული იყო. ისე მეორეს მხრივ, „სპარტაკის" შემადგენლობას თუ გადავხედავთ, ამ გუნდის ასეთი შთამბეჭდავი გამარჯვებაც არ უნდა გაგვკვირვებოდა: **ზურაბ ბათიაშვილი, გივი დიდავა, დავით ოდიკაძე, პაატა დათუნაიშვილი, რეზო გოცირიძე** - გამოცდილ ფეხბურთელთა ეს ხუთეული ნებისმიერ ქართულ გუნდს დაამშვენებდა. არანაკლები წვლილი შეიტანეს საკუთარი გუნდის გამარჯვებაში ახალგაზრდებმაც - **ირაკლი ჩირიკაშვილმა, ნიკოლოზ მაისურაძემ, ბაჩანა ცხადაძემ, თეიმურაზ შონიამ.** განსაკუთრებით ამ უკანასკნელის გარჯა გვინდა აღვნიშნოთ - თანამედროვე სტილის „საყრდენია" და თუ ასე გააგრძელებს, მხოლოდ ახალგაზრდულ ნაკრებში ასპარეზობითაც არ უნდა დაკმაყოფილდეს.

„სპარტაკის" გამარჯვება მართლაც იმდენად შთამბეჭდავი იყო, რომ „ტურის მწვრთნელის" გამოვლენაზე ბევრი არც გვიფიქრია - ეს პატივი სრულიად დამსახურებულად, **ვლადიმერ ხაჩიძეს** ერგო.

აი, მასპინძელთა ერთადერთ „ნუგეშად" მხოლოდ ის შეიძლება ვახსენოთ, რომ XXI ჩემპიონატში პირველი გოლის ავტორი „სიონის" ფორვარდი **მიხეილ ბობოხიძე** გახლდათ (მეკარე **მინდია ბობლიაშვილთან** ერთად მონდომებას რომ ვერ დავუკარგავდით). თუმცა, მხოლოდ ორი ფეხბურთელის აქტიურობა თუ კარგი თამაში ნამდვილად არ არის საკმარისი წარმატების მისაღწევად. აღარაფერს ვამბობთ იმ ძველისძველ და მართლაც არატრაფარეტულ გამოთქმაზე, რომ ფეხბურთს... მხოლოდ სახელი და გვარი არ თამაშობს!..

**გია ტუხაშვილი**

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე
მთავარი რედაქტორის მოადგილე **პაატა გელაშვილი;** ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში;** ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.**
1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. ლელოს მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).
თქვენს ხელთაა უძველესი და მდიდარი ტრადიციის გაზეთი. გსურთ "ლელო" უფრო უკეთესი? მოგვწერეთ, რა მოგწონთ, რა არ მოგწონთ, რას ისურვებდით... ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge
მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: 42 32 73, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 32 38 08 63; ელფოსტა: leloltd@gmail.com; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 37 78 07
დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გამომცემლობა ლელო
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გამოცემებში და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ინტერვიუ

## შოთა კაშია
# მაგრამ მე მაინც ვიტოვებ იმედს...

გულახდილად რომ ვთქვათ, ბელგრადის „ცრვენა ზვეზდასთან“ თბილისის „დინამოს“ გამარჯვებას ცოტა თუ ელოდა. მოგებაცაა და მოგებაც - ეპიზოდებში „დინამომ“ ისეთი ფეხბურთი აჩვენა, ქართველების შესრულებით 70-80-ანი წლების კადრებიდან თუ გვახსენდება.

„დინამო“ იყო აწყობილი, კარგად ორგანიზებული, კარგი ინდივიდუალისტებით... არავის გამოვყოფთ, მაგრამ... შოთა კაშიას ფინტებმა ამ გამარჯვებას მაინც განსაკუთრებული ეშხი შემატა.

საპასუხო შეხვედრას ის დიდი სიფრთხილით ელის, მაგრამ მაინც სჯერა და დარწმუნებულიცაა, რომ საქართველოს გაახარებენ. ამ შემთხვევაში ხომ „დინამო“ სწორედაც ქვეყნის სახელს იცავს...

**- შოთა, ორიოდე დღეში სერბებთან საპასუხო შეხვედრაა. პირველ მატჩში საკმაოდ თამამად ითამაშეთ...**

- ფეხბურთელი ყველა თამაშის წინ დაძაბულია, მით უფრო, ასეთ გუნდთან. თუმცა მეტოქე პირველივე წუთებზე შევაფასეთ და მივხვდით, რომ საშიში არ იყო. საშიში კი არა, ვერაფრით გვჯობდა, ჩვენ კი ჩვენი ფეხბურთი ვითამაშეთ. ეს იყო ყველაზე მთავარი - „დინამომ“ მეტოქის ტაქტიკის მიხედვით კი არ აეწყო, არამედ თავად უკარნახა მას თავისი ფეხბურთი.

**- ბელგრადის მატჩამდე ბევრი ერიდება შეფასებას. მოტივი ასეთია - იქნებ, სტუმრებმა თბილისში უბრალოდ ვერ ითამაშეს და რეალურ ძალას საკუთარ კედლებში გამოაჩენენო...**

- ასე ბევრი რამის თქმა შეიძლება. მთავარია, „ცრვენა ზვეზდა“ თბილისში ყველა კომპონენტში დავჩაგრეთ. სხვათა შორის, ის თამაში სტუმრებმა ოთხი თავდამსხმელით დაასრულეს. რა თქმა უნდა, ბელგრადში მძიმე მატჩი გველის. ალბათ, თავის სტადიონზე „ცრვენა ზვეზდა“ შემტევ ფეხბურთს ითამაშებს. თუმცა უპირატესობა „დინამოს“ მხარესაა და გასვლისთვის ბოლომდე ვიბრძოლებთ. ჩემი აზრით, შანსები 50/50-ზეა.

**- გულახდილად გვითხარით - „დინამოს“ კარგი თამაში იმან ხომ არ განაპირობა, რომ სერბები, უბრალოდ, თავიანთ თავს არ ჰგავდნენ.**

- ძნელი სათქმელია... ამაზე პასუხს ბელგრადის მატჩი გაგვცემს. თუმცა „დინამო“ ძლიერ გუნდად ყალიბდება და ფაქტია, ეს გამარჯვება შემთხვევითი არ ყოფილა.

**- თანამედროვე ფეხბურთში დრიბლინგს მაინცდამაინც არ სწყალობენ, „დინამოში“ კი სხვაგვარი ვითარებაა. ამით მერებაშვილი გამოირჩევა, ასე იყო „ცრვენა ზვეზდასთან“ მატჩში, რომელშიც გულშემატკივარი თქვენც რამდენჯერმე მოხიბლეთ ეფექტური ფინტებით...**

- „დინამოში“ მთავარია გუნდური ფეხბურთი, თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ ინდივიდუალიზმზე უარს ვამბობთ. ზოგჯერ ეს საჭიროცაა, მეტოქეს ფინტი უნდა ჩაუტარო, ფეხბურთი ხომ მარტო სირბილი არ არის...

**- მეკარის გარდა, ყველა პოზიციაზე გითამაშიათ. თქვენი ადგილი ვერ იპოვეთ?**

- როგორ ვერ ვიპოვე, მაგრამ გუნდის ინტერესი ყოველთვის უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ფეხბურთელის. მაგალითად, სერბებთან მარჯვენა ნახევარმცველად დავიწყე თამაში და ბოლოს დაცვაში დავიხიე.

**- აშკარად გეტყობათ, რომ ნახევარდაცვაში გაცილებით მეტი ენთუზიაზმით თამაშობთ...**

- შეტევებში ჩართვა მე კი არა, ნებისმიერ ფეხბურთელს სიამოვნებს. ნახევარდაცვაში უფრო თავისუფლადაც ვთამაშობ, თუმცა, კიდევ ერთხელ ვამბობ - მთავარია გუნდის ინტერესი. „დინამომდე“ თენგიზ სულაქველიძის საფეხბურთო აკადემიაში ვვარჯიშობდი. თავიდანვე ბატონი თენგიზი იყო ჩემი მწვრთნელი და სულ მიჩიჩინებდა - თანამედროვე ფეხბურთელი უნივერსალი უნდა იყოსო, ბოლომდე ბრძოლასა და კიდევ ბევრ რამეს მაჩვევდა, რაც შემდეგში გამომადგა და „დინამოს“ ძირითადისკენ გამიკვალა გზა.

**- მართალია, თითქოს თქვენს ძმას, გურამს, თამაშის დროს შენიშვნებს ხშირად აძლევთ?**

- ადრე ვეჩხუბებოდი კიდეც, ახლა თავად უფრო ხშირად მიტევს, თუმცა თამაშის შემდეგ ამ ყველაფერზე ერთად ვიცინით. ფეხბურთში შენიანს თუ არ დაუყვირე, თუ არ შემოუძახე, შეიძლება, შეცდომა მოუვიდეს. ეს ჩხუბი არ არის.

**- როგორც საფეხბურთო თვისებებით, ისე ხასიათის მხრივაც აბსოლუტურად განსხვავებულები ხართ...**

- გურამი დინჯია, მე კი სწრაფი ვარ. მე მისი სიდინჯე რომ მქონდეს, გურამს კი ჩემი სისწრაფე, იდეალური ვარიანტი იქნებოდა. თუმცა მიმაჩნია, რომ ნიჭიერი ძმა მყავს და დიდი ფეხბურთი უნდა ითამაშოს.

**- იანვარში „დინამოდან“ თქვენს წასვლას თითქოს შეგუებულები იყვნენ. ოდესის „ჩერნომორეცთან“ კონტრაქტიც უნდა გაგეფორმებინათ...**

- არასაფეხბურთო მიზეზების გამო დავბრუნდი. მათ აქცენტი საკუთარი ფეხბურთელების გაზრდაზე აქვთ გადატანილი, მაგრამ ეს არ იყო მთავარი. თუ რაზე ვისაუბრე „ჩერნომორეცის“ ხელმძღვანელობასთან, ამას საჯაროდ ვერ ვიტყვი. ხშირად, ტრანსფერის ბედი მხოლოდ მოთამაშის კლასზე არ არის დამოკიდებული. ვინც უკრაინული ფეხბურთის სამზარეულოში კარგადაა ჩახედული, ის მიხვდება, რასაც ვგულისხმობ.

**- ეროვნული ნაკრების წევრობის კანდიდატიც კი არასდროს ყოფილხართ. გაქვთ კი მიწვევის იმედი?**

- იმ ფეხბურთელს რა ვუთხარი, ნაკრებზე რომ არ ოცნებობს. ეს ჩემთვის დღემდე ოცნებად რჩება და ვინ იცის, როდის ამიხდება, ან ამიხდება კი ოდესმე? მე მაინც ვიტოვებ იმედს...

**მერაბ მამულაშვილი**



ინტერვიუ

## ლევან კორლალიძე
# მთავარია, უკან აღარ მივდივართ...

გასულ უქმეებზე „ზესტაფონში“ დებიუტი ჰქონდა ნახევარმცველ ლევან კორლალიძეს, რომელიც ორწლიანი პაუზის შემდეგ ეროვნულ ჩემპიონატში პირველად გამოჩნდა.

როგორ მოხვდა კორლალიძე „ზესტაფონში“, რა აზრისაა ახალ გუნდზე, რით ახსნის საშინაო ფრეს გადახალისებულ „ლოკომოტივთან“, როგორია საქართველოს ჩემპიონატის დონე და რას ელის ოჯახური დერბისგან - ლევანს სწორედ ამ თემებზე სასაუბროდ შევეხმიანეთ...

**- მაშინ, როცა ეროვნულ ჩემპიონატში მოთამაშე ფეხბურთელები იმაზე ფიქრობენ, თუ როგორ დაალწიონ თავი აქაურობას და რომელიმე უცხოურ კლუბში მოეწყონ, თქვენ მოლდოვიდან სამშობლოში დაბრუნდით. ეს რითი შეიძლება აიხსნას?**

- სამშობლოში ოჯახური სიტუაციის გამო დავბრუნდი. სხვათა შორის, უცხოური წინადადებებიც მქონდა, მაგრამ...

**- „ზესტაფონმა“ უკეთესი პირობები შემოგთავაზათ?**

- აგენტმა, რომელიც ჩემს ტრანსფერზე მუშაობდა, უნგრული და კვიპროსული ვარიანტები შემომთავაზა. ყველაფერი უცებ მოხდა, არც ვიცოდი, კონკრეტულად რომელ კლუბებზე იყო ლაპარაკი. სწორედ იმ პერიოდში გამოჩნდა „ზესტაფონში“ გადასვლის შანსიც. არადა, „დაჩიასთან“ კონტრაქტი მაკავშირებდა და, შესაბამისად, საბოლოო სიტყვა კიშინიოველებზე იყო. უნგრულ-კვიპროსული ვარიანტების გარკვევას კი დრო სჭირდებოდა. ამ დროს, „ზესტაფონი“ ეგრევე კონტრაქტს მთავაზობდა, თანაც, მისაღები პირობებით. ჰოდა, ბევრი არც მიფიქრია და თანხმობა ვუთხარი. „დაჩიას“ პრეზიდენტს არ უნდოდა ჩემი გაშვება, მაგრამ რამდენიმე დღეში ისიც დავითანხმე და „ზესტაფონთან“ 2-წლიანი კონტრაქტი გავაფორმე...


ლევან კორლალიძე

**- რა წარმოდგენა შეგექმნათ ამ გუნდზე?**

- მშვენიერი გუნდია. იონანიძე, აფციაური... გამოცდილი ფეხბურთელებიც არიან და ახალგაზრდებიც... „ზესტაფონი“ მებრძოლი, დისციპლინირებული, ორგანიზებული... რომ იტყვიან, კაცების გუნდია! აქ ყველა პირობაა საამისოდ, რომ მოთამაშემ მხოლოდ ფეხბურთზე იფიქროს, საამისოდ განეწყოს და მოემზადოს. მალე გუნდს თანამედროვე ბაზაც ექნება და არ შეიძლება, ეს შედეგში არ აისახოს. ხომ ნახეთ, მხოლოდ წამები დაგვაკლდა, რომ ძლიერი შვედური გუნდის „ჰელსინგბორგის“ ბარიერი რომ დაგვეძლია. მჯერა, გაისად ამ დონის გუნდთან პრობლემა აღარ გვექნება.

**- ახალ გუნდში დებიუტი უკვე გქონდათ, თუმცა ვერ ვიტყვით, რომ საგრძნობლად გადახალისებულ- გაახალგაზრდავებული „ლოკომოტივის“ წინააღმდეგ საშინაო ფრე სასიამოვნო ყოფილიყო...**

- ჩვეულებრივი სიტუაცია იყო - მეტოქეს აშკარად ვაჯობეთ, მაგრამ გოლი ვერაფრით გავიტანეთ. გელაშვილს, დვალსა და სხვებსაც ჩინებული საგოლე მომენტები ჰქონდათ, მაგრამ რად გინდა... დამაგვირგვინებელ ფაზაში სიზუსტე გვაკლდა. ისიც უნდა ითქვას, რომ „ლოკომოტივის“ მეკარემ 2-3 რთული ბურთი აიღო... ერთი სიტყვით, იღბალმა ზურგი გვაქცია, ეგ იყო და ეგ.

**- გია გეგუჩაძემ რა დავალება მოგცათ?**

- მომცა თავისუფლება, რაც ფეხბურთელისთვის მართლაც ბევრს ნიშნავს... რაც შეეხება დავალებას, მწვრთნელებმა თამაშის გამწვავება დამავალეს და ეს შევძელი კიდეც, მაგრამ დასანანია, რომ ამას გოლი არ მოჰყვა.

**- „ზესტაფონში“ დიდი კონკურენციაა. ამიტომ ვერ მოხვდით სასტარტოში?**

- კონკურენციის არ მეშინია და არც არასდროს მშინებია. ამის გარეშე ძლიერი გუნდი ვერ ჩამოყალიბდება. შეცვლაზე კი იმიტომ ვითამაშე, რომ ახლა ფორმაში არ ვარ. ვფიქრობ, აგვისტოს ბოლოსთვის ჩვეულ კონდიციებს მივაღწევ და სასტარტო შემადგენლობაში ადგილსაც დავიმსახურებ.

**- „ზესტაფონში“ თქვენს დებიუტს მამათქვენი, ოთარ კორლალიძეც დაესწრო. საინტერესოა, კმაყოფილი დარჩა?**

- მატჩის შემდეგ ვკითხე, აქ საიდან ალმოჩნდი-მეთქი. მალე „ოლიმპს“ „ლოკომოტივთან“ აქვს თამაში და მომავალი მეტოქე დავზვერეო, მითხრა. ჩაეცინა. ცხადია, მარტო ეს არ აინტერესებდა. ისე, კმაყოფილი უნდა ყოფილიყო ჩემით თამაშით - როგორც გითხარით, თამაშის გამწვავება შევძელი.

**- კორლალიძეები აქამდე მხოლოდ ერთ გუნდში იყავით. ამჟამად კი დაპირისპირებაც მოგიწევთ. შესაძლოა, ამ სეზონში ოთხი ოჯახური დერბი ვიხილოთ...**

- ალბათ, და მოუთმენლად ველი ამ თამაშებს. მინდა, მამაჩემის გუნდიც დავამარცხო და ვნახოთ, რა გამოვა... მაგრამ პირადად ჩემთვის მნიშვნელოვანი ის არის, რომ ექტორ კუპერის ყურადღება მივიქციო. სიმართლე გითხრათ, საქართველოში რომ დავბრუნდი, ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ესეც იყო. დღემდე, ეროვნულ გუნდში სამჯერ მაქვს ნათამაშები - რუმინეთთან, კვიპროსსა და სომხეთთან. ამას დამსახურება უნდა და ყველაფერს გავაკეთებ საიმისოდ, რომ კუპერს თავი მოვაწონო.

**- და ბოლო კითხვა: საქართველოში 2-წლიანი პაუზის შემდეგ დაბრუნდით. როგორ ფიქრობთ, არის თუ არა პროგრესი საქართველოს ჩემპიონატში?**

- პროგრესზე მსჯელობა ჩვენი გუნდების საევროპო მატჩებით შეიძლება. ვნახე „დინამოს“, „ვიტ ჯორჯიასა“ და „ზესტაფონის“ თამაშები და ოპტიმისტურად განვეწყვე. ჩემი აზრით, რეგრესი შეჩერდა. შესაძლოა, წინსვლა ჯერ ისე არ იგრძნობა, მაგრამ მთავარია, უკან აღარ მივდივართ...

**დავით ცაბაძე**

ლეგიონერები


მიხეილ აშვეთია


ვალერი აბრამიძე

# აშვეთიამ და აბრამიძემ დინამო დატოვეს

საინფორმაციო სააგენტო „ატმოსფერო" (ასეთიც არსებობს) იუწყება, რომ ბარნაულის „დინამო" ქართველმა ლეგიონერებმა - **ვალერი აბრამიძემ** და **მიხეილ აშვეთიამ** დატოვეს. რუსეთის მეორე ლიგის (აღმოსავლეთი ზონა) მე-17 ტურის შეხვედრამდე მათ გუნდი ფაქტის წინაშე დააყენეს.

გასულ სეზონში აშვეთია და აბრამიძე პირველლიგელ მახაჩყალის „ანჟიში" თამაშობდნენ, მაგრამ სეზონის შემდეგ ახალი კონტრაქტები აღარ შესთავაზეს და მეორე ლიგის ბინადარ ბარნაულის „დინამოს" წინადადებას დათანხმდნენ. ამ კლუბის აღმასრულებელი დირექტორი **ევგენი ბიშკო** ქართველების გადაწყვეტილებამ სახტად დატოვა: *„აშვეთია დღეს დამიკავშირდა და მითხრა - მოსკოვში ვარ, არც მე და არც აბრამიძე ბარნაულში აღარ დავბრუნდებითო. მას არ უთქვამს, რომელ კლუბში გადადიან, მაგრამ როგორც ვიცი, მათი ახალი გუნდი არ იქნება „ნიჟნი ნოვგოროდი", რაზეც ადრე ლაპარაკობდნენ".*

გაირკვა, რომ აშვეთია და აბრამიძე „დინამოს" თავიდანვე შეუთანხმდნენ - უფრო მაღალი რანგის კლუბში მიწვევის შემთხვევაში, ბარნაულს ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე დატოვებდნენ.

*„ჩვენგან ორივეს დიდი მადლობა ეთქმის. მათ ბარნაულში ნახევარი სეზონი ჩაატარეს. ისინი მაღალი კლასის პროფესიონალები არიან, მეორე ლიგისთვის ვარსკვლავები იყვნენ და „დინამოს" დღევანდელ სატურნირო მდგომარეობაში თავიანთი წვლილი შეიტანეს. იყო შანსი, სეზონი ბარნაულში ჩაემთავრებინათ, მაგრამ რამდენიმე ფაქტორი აფრთხობდათ - მაგალითად, პრემიების დაგვიანებით გაცემა. ჩვენს დროში პრემია ფეხბურთელისთვის მთავარი სტიმულია. მათ კარიერის შემდგომი ცხოვრებისთვის ფული ახლავე უნდა გამოიმუშავონ. მოკლედ, აშვეთიასა და აბრამიძის შემცვლელების მოძებნა ძალიან გაგვიჭირდება",* - ამბობს ბიშკო.

აშვეთიამ „დინამოს" შემადგენლობაში ჩატარებულ 13 შეხვედრაში 5 გოლი გაიტანა, აბრამიძემ კი 14 მატჩში ერთხელ გამოიჩინა თავი და 4 ყვითელი ბარათი მიიღო. სხვათა შორის, ორიოდე კვირის წინათ გაჩნდა ინფორმაცია, თითქოს აშვეთიას **ომარ თეთრაძე** ისევ მახაჩყალის „ანჟიში" უხმობდა...

სამწუხაროა, რომ საქართველოს ნაკრების ფეხბურთელები კარიერას ამთავრებენ არა სამშობლოში, არამედ... რუსეთის მეორე დივიზიონში. ბოლო პერიოდში „ზესტაფონმა" ამ კუთხით მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაგა და უცხოეთში მიმოფანტული ქართველების მცირე ნაწილი შინ დააბრუნა. თუმცა ჩვენი კლუბების უმრავლესობას ვეტერანი ფეხბურთელების დასაინტერესებლად საკმარისი თანხები არ გააჩნიათ, არადა, აშვეთიას, აბრამიძის, **გიორგი დემეტრაძის**, „ბაქოს" 34 წლის ლეგიონერ **ამირან მუჯირისა** და მსგავსი მოთამაშეების დაბრუნება საქართველოს ჩემპიონატს სხვა ხიბლს შესძენდა, რა თქმა უნდა, ინტრიგასაც.

სულ უცხოეთის სხვადასხვა ლიგაში ოთხასამდე ქართველი ლეგიონერი თამაშობს. გერმანიაში, იტალიაში, ბრიტანეთში, საფრანგეთსა და რუსეთ-უკრაინაში მოასპარეზეთ არ ვგულისხმობთ, დანარჩენების ჩამოყვანა, ვფიქრობთ, შესაძლებელია და ასეთ შემთხვევაში საკმაოდ მაღალი დონის ჩემპიონატი გვექნებოდა.

ვინ იცის, იქნებ ადრე თუ გვიან ამის დროც დადგეს...

**მერაბ მამულაშვილი**

# მალხაზ ასათიანი სიმბოლურ ნაკრებში

**მალხაზ ასათიანმა** მოსკოვის „ლოკომოტივის" შემადგენლობაში ბოლოს 2008 წლის 17 ივლისს ითამაშა. წელიწადზე მეტის გასვლის შემდეგ ქართველი ნახევარმცველი კვირას ტრიუმფით დაუბრუნდა მოსკოვურ გუნდს. „როსტოვთან" 2:0 გამარჯვებაში სპეციალისტთა აზრით საუკეთესო სწორედ ასათიანი იყო. soccer.ru-მ კი ჩვენი თანამემამულე რუსული პრემიერლიგის მე-16 ტურის სიმბოლურ ნაკრებში დაასახელა. *„ეს იყო ასათიანის სადებიუტო მატჩი კიევის „დინამოდან" დაბრუნების შემდეგ. იური სიომინმა აღნიშნა, რომ ასათიანმა ბრწყინვალედ ითამაშა. ჩვენც ვეთანხმებით ავტორიტეტულ მწვრთნელს და მალხაზი ტურის სიმბოლურ ნაკრებში შეგვყავს".*

მატჩის შემდეგ მალხაზს ინტერვიუ „სპორტ ექსპრესმა" ჩამოართვა.

**- თქვენ ისე კარგად და საიმედოდ ითამაშეთ, თითქოს არც წასულხართ გუნდიდან...**

- თამაში ჩვენთვის მართლაც კარგად აეწყო. პირადად ჩემთვის ამ მატჩს უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან დიდი ხანია არ მქონია სათამაშო პრაქტიკა. ავსტრიული შეკრების შემდეგ საერთოდ არსად მითამაშია, მას მერე კი კარგა ხანი გავიდა. თუმცა მოედანზე არ გამიჭირდა, აქ ხომ ყველა ჩემიანია.

**- ნუთუ არაფერი შეცვლილა თქვენს არყოფნაში?**

- რა თქმა უნდა, ბევრი რამ შეიცვალა, მაგრამ ეს ისევ ის გუნდია, რომელიც მე კარგად ვიცი - „ლოკომოტივი". თანაც ჩემი პარტნიორი დაცვაში როდოლფუ გუნდში დიდი ხანია და მას კარგად ვუგებ მოედანზე.

**- როსტოვი ცნობილია კარგი დაცვის ხაზით, რა პრობლემები შეგიქმნათ მეტოქის შემტევებმა?**

- ერთი-ორ მომენტში მართლაც გაგვიჭირდა. ჯამში ჩვენ ვაკონტროლებდით მატჩის მსვლელობას და დამსახურებულად გავიმარჯვეთ. პირველ რიგში ეს მოგება ფსიქოლოგიური თვალსაზრისით იყო საჭირო ჩვენთვის, რადგან შესვენების შემდეგ ზედიზედ 4 შეხვედრაში ვერ მოვიგეთ.


მალხაზ ასათიანი (№30)


თამაზ პერტია

# პერტიამ სკონტოს მოუგო

ლატვიის ჩემპიონატის მორიგ ტურში **თამაზ პერტიას** „დინაბურგი" რიგაში „სკონტოს" ეწვია და 1:0 მოუგო. „სკონტოს" რიგებში ითამაშა კაპიტანმა **დავით გამეზარდაშვილმა**, სტუმართა შორის - **ირაკლი ქორთუამ**. „დინაბურგის" ფორვარდი **ვასილი ლუჭაშვილი** ტრავმირებულია. მოგების მიუხედავად „დინაბურგი" მე-4 ადგილზე რჩება, პერტიას გუნდს 34 ქულა აქვს, მე-3 ადგილზე მყოფ „სკონტოს" - 44, თუმცა მატჩით მეტი აქვს გამართული.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

U 19

# ესტონეთის მერე ბელარუსი

გუშინ საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრები თბილისიდან ესტონეთში გაემგზავრა. **გელა შეყილაძის** გუნდი ესტონეთის ქალაქ რაკვერეში, დღეს და 6 აგვისტოს, მასპინძელ თანატოლებთან ორ ამხანაგურ შეხვედრას გამართავს.

19-წლამდელებმა მოსამზადებელი შეკრება (15-31 ივლისი) ლაგოდეხის ბაზაზე გაიარეს, რის შემდეგაც შეყილაძემ 19 ფეხბურთელი შეარჩია:

მეკარეები - **თორნიკე ნიორაძე** (35-ე საფეხბურთო სკოლა), **გიორგი ბეგაშვილი** (ჩიხურა);

მცველები - **ნიკა კვეკვესკირი, თორნიკე კაკუშაძე, დიმიტრი პაჭკორია** (ყველა ბაია), **გივი ხაჩიძე** (ზესტაფონი), **დავით კუბლაშვილი** (ოლიმპიკი), **სოლომონ კვირკველია** (თ. სულაქველიძის აკადემია), **ბიჭიკო გედენიძე** (გაგრა);

ნახევარმცველები - **პაატა ბალაძე** (სტალიცა მოსკვა, რუსეთი), **ლუკა გუგუჩია** (ბაია), **ლაშა გვალია** (კოლხეთი ფოთი), **ვილენ ჭრელაშვილი** (35-ე საფეხბურთო სკოლა), **ერეკლე კაჭახიძე** (ლოკომოტივი), **გიგა წენგუაშვილი** (დინამო თბილისი), **გიორგი დიასამიძე** (ნორჩი დინამოელი)

თავდამსხმელები - **ნიკოლოზ ჩიხლაძე** (ზესტაფონი), **ზურაბ ქურდობაძე** (35-ე საფეხბურთო სკოლა), **ზურაბ გობეჯიშვილი** (უკლუბოდ);

19 ფეხბურთელში მხოლოდ ერთი ლეგიონერია - „სტალიცა მოსკვას" ნახევარმცველი **პაატა ბალაძე**. ამ ეტაპზე შეყილაძემ სხვა ლეგიონერების გამოძახებისგან თავი შეიკავა. ესტონეთიდან ჩვენი ჭაბუკები ჩავლენ ბელარუსში, სადაც ადგილობრივ 19-წლამდელებთან ასევე ორ ამხანაგურ შეხვედრას (8 და 10 აგვისტო) ჩაატარებენ.

**დავით ცაბაძე**

გაგრა

# ვის დაიმატებს კაშჩეი?

საქართველოს ჩემპიონატის პირველი ტურში „დინამო"-„გაგრას" (2 აგვისტო) შეხვედრა გადაიდო. ჩვენი ქვეყნის საკლუბო ფლაგმანს ევროპის ლიგაში „ცრვენა ზვეზდასთან" წარმატების სერიოზული შანსი აქვს და ბუნებრივია, რომ პროფლიგამ (და „გაგრამაც") „დინამოს" ინტერესები გაითვალისწინა.

„გაგრამ" კი პაუზა ნაყოფიერად გამოიყენა და მუხრანში პირველლიგელ „საჩხერეს" საკონტროლო მატჩში 1:0 მოუგო. თავი **შალვა კვანტალიანმა** გამოიჩინა. გაგრელთა სასტარტო შემადგენლობა ასეთი იყო: **თევდორაძე - კუპრეიშვილი, თოთაძე, შალიკაშვილი, გაბუნია - რაქვიაშვილი, ბერბატი, გაბედავა, ხორგუაშვილი - პავლიაშვილი, კვანტალიანი.**

კლუბის ოფიციალური ვებგვერდის ინფორმაციით, „გაგრამ" რამდენიმე ფეხბურთელი დაიმატა, ზოგიერთთან კი თანამშრომლობა გაახანგრძლივა. ერთწლიანი კონტრაქტები გააფორმეს „ამერის" მეკარეებმა - **ლადო ნადირაშვილმა** და **რევაზ თევდორაძემ**, მცველებმა - **ლაშა თოთაძემ, აკაკი კუპრეიშვილმა** და უკრაინელმა ნახევარმცველმა **სერგეი ბერბატმა**. თევდორაძე და კუპრეიშვილი ისედაც ირიცხებოდნენ კლუბში, უბრალოდ, „გაგრამ" მათთან თანამშრომლობა გააგრძელა. ასევე, უფრო ხანგრძლივი თანამშრომლობა დაიბევეს **დავით გიგაურთან**, რომელთანაც ცენტრალურმა მცველმა 3-წლიანი ხელშეკრულება გააფორმა, ისევე, როგორც ახალწვეულებმა - „სამტრედიის" მცველმა **თორნიკე შალიკაშვილმა**, თბილისის „ლოკომოტივის" თავდამსხმელმა **შალვა კვანტალიანმა** და „ბორჯომის" შემტევმა ნახევარმცველმა **ილია პავლიაშვილმა**.

მართალია, კიევის „დინამოდან" დაბრუნებულმა თოთაძემ ერთწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი, მაგრამ დიდი შანსია, ზამთარში გერმანიის ან ბელგიის ერთ-ერთ კლუბში გადავიდეს. „გაგრაში" დღემდე ისინჯებიან ზუგდიდის „მგლების" განაპირა მცველი **თემურ რაქვიაშვილი**, ახალციხის „მესხეთის" მარცხენა მცველი და ნახევარმცველი, ტყუპი ძმები - **ვალტერ** და **პავლე ხორგუაშვილები**, „ამერის" მარცხენა მცველი **გიორგი ელბაქიძე**, თბილისის „მერანის" ყოფილი ჰავბეკი **მიხეილ კობერიძე**, მარიუპოლის „ილიჩევეცის" დუბლშემადგენლობაში მოთამაშე ცენტრალური ნახევარმცველი **გურამ გოგიჩაიშვილი** ისინჯებიან.

ვნახოთ, ვის დაიმატებს კაშჩეი პირველ მატჩამდე.

**მერაბ მამულაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეტოქეები

# მალტამ და ლიტვამ მწვრთნელები შეცვალეს

12 აგვისტოს ჩვენი ეროვნული და ახალგაზრდული ნაკრებები ამხანაგურ მატჩებს გამართავენ. **ექტორ კუპერის** გუნდი ვალეტაში, „ტა ქალიზე" მალტის ეროვნულ გუნდს ეთამაშება, **ოთარ გაბელიას** 21-წლამდელთა ნაკრები კი ლიტველ თანატოლებს სტუმრად ეთამაშება. საგულისხმოა ის, რომ ჩვენი ნაკრებების მომავალ მეტოქეებს მწვრთნელები შეეცვალათ.

მალტის ნაკრებს აქამდე ჩეხი სპეციალისტი **დუშან ფიტცელი** წვრთნიდა, მაგრამ ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო, ივლისის ბოლოს, ფიტცელს პოსტის დატოვება მოუხდა. მალტის საფეხბურთო ასოციაციის პრეზიდენტმა **ჯოზეფ მიფსუდმა** ეროვნული გუნდი ნაკრების ყოფილ ფეხბურთელსა და „ბირკირკარას" ექსმთავარ მწვრთნელ **ჯონ ბუტიგეგს** ჩააბარა, მის თანაშემწედ კი ასევე ნაკრების ყოფილი ფეხბურთელი **კარმელ ბუზუტილი** დაასახელა. ისინი მალტური ფეხბურთის ცოცხალი ლეგენდები არიან. ბუტიგეგი და ბუზუტილი უკვე შეუდგნენ მუშაობას. მათ სამ ათეულზე მეტი ფეხბურთელი შეკრიბეს და უკვე 5 დღეა, სელექციის პროცესში არიან ჩართულები. ბუტიგეგს ეროვნული გუნდის თავკაცის პოსტზე დებიუტი 12 აგვისტოს, ვალეტაში, საქართველოს ნაკრებთან ელის. საქართველოსთან მატჩისთვის გამოძახებულთა საბოლოო შემადგენლობა კვირის ბოლოს გახდება ცნობილი.

ახლა ახალგაზრდულის მეტოქეზე ვთქვათ. ლიტვის 21-წლამდელთა დამრიგებელი **ვალდას ივანაუსკასი** აზერბაიჯანული „სტანდარდის" მთავარი მწვრთნელი გახდა. ლიტვის ფეხბურთის თავკაცობამ კი ახალგაზრდული ნაკრები **ვიტალიუს სტანკევიჩუსს** ჩააბარა. სტანკევიჩუსს ამ პოსტზე დებიუტი საქართველოს 21-წლამდელთა ნაკრებთან, 12 აგვისტოს მატჩში ელის.

**დავით ცაბაძე**

ტრანსფერები

# უზბეკეთისკენ მიდის ქარავანი...

## მეგრელაძე შურტანში, მახარაძე ლოკომოტივში

ოთხი ქართველი ფეხბურთელი კარიერას უზბეკეთში გააგრძელებს. ცნობილი გახდა, რომ ამ აზიური ქვეყნის უმაღლესი ლიგის კლუბ ტაშკენტის „ლოკომოტივში" მისი თბილისური სეხნიის ცენტრალური ნახევარმცველი **კახა მახარაძე** ჩაირიცხა. ხსენებული კლუბიდან ფეხბურთის ფედერაციაში სატრანსფერო მოთხოვნა უკვე მოსულია.

რუსთავის „ოლიმპის" ბომბარდირი **გია მეგრელაძე** კი გუზორის „შურტანში" გააგრძელებს კარიერას. ამავე კლუბში ისინჯებოდნენ ქუთაისის „ტორპედო 2008-ის" ნახევარმცველები - **მიხეილ ჩხარტიშვილი** და **არმაზ დოლონაძე** - ბოლო ინფორმაციით, მთავარ მწვრთნელს ორივე მათგანი მოეწონა და კონტრაქტიც შესთავაზა.

**მერაბ მამულაშვილი**



გია მეგრელაძე



კახა მახარაძე

ლეგიონერი

# დევდარიანი შევიდა და გალიდერდა

დანიის სასლიგის მე-3 ტურის მატჩში **დავით დევდარიანის** „ორჰუსმა" „ოდენსეს" უმასპინძლა და დაუზავდა - 2:2. 21 წლის ქართველი მწვრთნელმა 69-ე წუთზე **კასპერ პოულსენის** ნაცვლად შეუშვა მოედანზე, მაშინ, როცა მასპინძლები 1:2-ს აგებდნენ. თამაშის დასრულებამდე 5 წუთით ადრე **ნანდო რაფაელმა** „ორჰუსს" ქულა მოუტანა.

„ორჰუსი" სასლიგას 7 ქულით ლიდერობს. ტრავმის შემდეგ დევდარიანმა ამდენხანს პირველად ითამაშა (მეორე ტურში ის მხოლოდ ბოლოსწინა წუთზე შეუშვეს მოედანზე). შეგახსენებთ, რომ „ოლიმპის" ყოფილი ნახევარმცველი 12 აგვისტოს მატჩისთვის ეროვნულ ნაკრებშია გამოძახებული.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



დავით დევდარიანი

ქართველები აზერბაიჯანში



კახა ცხადაძე

# მოგება ბერძნებთან, მარცხი სლავებთან

**კახა ცხადაძის** „ინტერმა" ბულგარეთში სოფიის „სლავიასთან" ტესტ-მატჩი გამართა და 0:2 წააგო. ქართველმა მწვრთნელმა ორივე თავისი თანამემამულე ათამაშა, **გიორგი ლომაია** და **კახა მჟავანაძე**. სხვათა შორის, ითამაშა ლატვიელმა ფორვარდმა **გირტს კარლსონსმაც**, რომელიც „მეტალურგსის" ფეხბურთელია და „ინტერში" სინჯებზეა. მანამდე „ინტერმა" ბერძნული „ანაგონესი" 5:1 გაანადგურა. აზერბაიჯანის ჩემპიონატი 14 აგვისტოს იწყება, „ინტერი" პირველ ტურში „ქარვანს" მასპინძლობს.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

კოლეგები

# გოლი 10 აგვისტოდან

გუშინ „პირველი არხის" ეთერში საფეხბურთო გადაცემა „გოლი" არ გასულა. როგორც გვითხრეს, გადაცემა არ დახურულა, 3 აგვისტოს ის მხოლოდ რეორგანიზაციის გამო ვერ გავიდა ეთერში. „გოლი" 21-ე ჩემპიონატის გაშუქებას 10 აგვისტოდან დაიწყებს, ოღონდ, ერთი განსხვავებით - ამიერიდან გადაცემა ნაცვლად 23 საათისა, ერთი საათით ადრე, 22 საათზე დაიწყება. სიახლეა ისიც, რომ გადაცემის წამყვანი **ლაშა დვალიშვილი** ტელეკომპანია „მზეში" ახალ პროექტს ამზადებს და „გოლს" მის ნაცვლად **დავით მინაშვილი** გაუძღვება.

**მერაბ მამულაშვილი**

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მსაჯთა და მსაჯთა დამკვირვებელთა განყოფილება და სამეგრელო-ზემო სვანეთის ფეხბურთის ფედერაცია თანაუგრძნობენ ეროვნული კატეგორიის მსაჯს ზვიად ერქვანიას მამის გარდაცვალების გამო.

ამბები

# ფეხები, რომლებიც 100 მილიონი ღირს



სამეფო კლუბს გუშინ ხმაურიანი ტრანსფერი არ გაუკეთებია, თუმცა **ფლორენტინო პერესის** კლუბმა ერთი უჩვეულო ნაბიჯით მიიპყრო მსოფლიოს ყურადღება - მადრიდის „რეალმა" თავისი უძვირესი შენაძენის, **კრისტიანო რონალდოს** ფეხები 100 მილიონი ევროს სანაცვლოდ დააზღვია. იმ შემთხვევაში თუ მადეირელი სუპერვარსკვლავი სერიოზულ ტრავმას მიიღებს, „რეალი" ძლიერ ფეხბურთელს დაკარგავს, მაგრამ არა - ფულს, სადაზღვევო ფირმა მადრიდულ გუნდს ზარალს 100 მილიონით აუნაზღაურებს. ამის შესახებ ჟურნალი The World იუწყება.

24 წლის რონალდომ ახლახან მუხლის მცირე ტრავმა მიიღო, თუმცა „რეალის" ექიმებმა მას თამაშისა და ვარჯიშის ნება დართეს. შეგახსენებთ, რომ კრისტიანო რონალდო „მანჩესტერ იუნაიტედიდან" „რეალში" 96 მილიონი ევროს საფასურად გადავიდა. The World-ის თქმით, მალე **კაკას** ფეხებსაც დააზღვევენ.

# ჩაბი ალონსო 32 მილიონად

როგორც ჩანს, „რეალში" **ჩაბი ალონსოს** საოცნებო ტრანსფერის საგა დასრულებულია. ესპანური წყაროები ამტკიცებენ, რომ გუშინ „ლივერპულის" ხელმძღვანელობამ ხელი ხელს დაურტყა „რეალის" ბოსებს, მას შემდეგ, რაც მადრიდელებმა ესპანეთის ნაკრების ნახევარმცველის სანაცვლოდ 32 მილიონი ევრო შესთავაზეს. როგორც ჩანს, ეს ის თანხაა, რაც ინგლისურ კლუბს აკმაყოფილებს, რათა ერთ-ერთ საუკეთესო ფეხბურთელს შეელიოს.

თქვენ წარმოიდგინეთ, ამ ტრანსფერზე „რეალისა" და „ლივერპულის" ხელმძღვანელთა მოლაპარაკება ბარსელონაში შედგა. მეტიც, უშუალო მოლაპარაკებები „კამპ ნოუს" ტრიბუნებქვეშ მიმდინარეობდა. ერთი პირობა, ტრანსფერი კინაღამ ჩაიშალა, მაგრამ შემდეგ „რეალმა" თანხას მოუმატა და... თავიდან ესპანელებმა ალონსოს სანაცვლოდ 30 მილიონი შესთავაზეს ინგლისელებს, რაზეც ცივი უარი მიიღეს. სწორედ ამის შემდეგ, **ფლორენტინო პერესის** განკარგულებით, თანხას 2 მილიონი ევრო დაემატა. მეორე შეხვედრა „რეალის" გენერალურ დირექტორ **ხოსე ანხელ სანჩესსა** და „ლივერპულის" ფინანსურ დირექტორ **კრისტიან პერსლოუს** შორის „კამპ ნოუსთან" მდებარე სასტუმროში შედგა. ორმხრივი შეთანხმება ამ კვირაში ოფიციალურად გაფორმდება და ჩაბი ალონსოს „სანტიაგო ბერნაბეუს" პუბლიკას წარუდგენენ. სხვათა შორის, ალონსოს მამა პერიკო „ბარსელონაში" თამაშობდა.



ჩაბი ალონსო

# ხუანიტო ფესვებს დაუბრუნდა

„მალაგა" ახალ სეზონს კიდევ ერთი შენაძენით ხვდება - „ალმერიიდან" გამოცდილი ნახევარმცველი **ხუანიტო** გადაიბირა. ხუანიტო კიდევ ერთი წლით ეკუთვნოდა „ალმერიას", მაგრამ კლუბმა და ფეხბურთელმა ორმხრივი ინიციატივით ეს კონტრაქტი გაწყვიტეს. შედეგად, „მალაგას" ხუანიტო უსასყიდლოდ ერგო. გუშინ 29 წლის მოთამაშემ სამედიცინო შემოწმება გაიარა და კონტრაქტსაც ხელი მოაწერა. ესპანური წყაროების მტკიცებით, „ბეტისი" ხუანიტოს უკეთეს პირობებს სთავაზობდა, მაგრამ მან იმ კლუბში დაბრუნება არჩია, სადაც საფეხბურთო კარიერა დაიწყო. დღეს „მალაგას" ოფისში ხუანიტოს ოფიციალური პრეზენტაცია გაიმართება.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა



**სიახლე**

დღეიდან „ლელოს" მკითხველს სიახლეს ვთავაზობთ - ამიერიდან, არა მარტო ევროპის ოთხი მოწინავე საფეხბურთო პირველობის მიმოხილვას შემოგთავაზებთ, ვეცდებით, თქვენთან ერთად თვალ-ყური მივადევნოთ სხვა ძლიერ ჩემპიონატებსაც. დღეს ჰოლანდიისა და ბელგიის პირველობების სასტარტო ტურების მიმოხილვებს, აგრეთვე, რუსეთის ჩემპიონატის (რომელიც უკვე გაერია საუკეთესოთა მარაქაში) მორიგი ტურის შეჯამებას შემოგთავაზებთ. სამომავლოდ კი დაგეგმილი გვაქვს ბრაზილიის, არგენტინის, საფრანგეთის, შოტლანდიის, პორტუგალიის, საბერძნეთის და თურქეთის პირველობების გაშუქებაც. ამ ჩემპიონატებში ხომ უამრავი საინტერესო ფეხბურთელი თამაშობს და დონეც საკმაოდ მაღალია...



ეინდჰოვენის მეგოლე ოლა ტოივონენი

ჰოლანდია

# ოლას გმირობის მიუხედავად...

## არველაძემ დისციპლინაზე უნდა იფიქროს

**ერედივიზიე**

**I ტური**

**ჰეერენვეენი-როდა** 0:0

**ჰერაკლესი-ალკმაარი** 3:2

**გოლები:** 1:0 ევერტონი (8), 2:0 ევერტოომი (48), 3:0 ფლედერუსი (61), 3:1 პელე (77), 3:2 ელ ჰამდაუი (77)

**გაძევება:** სვერტსი (88), პელე (90) (ორივე ალკმაარი)

**ვილემი-ვიტესი** 3:1

**გოლები:**1:0 გრეგუარი (4), 2:0 ბუტაჰა (28), 2:1 კალოღლუ (68), 3:1 სვინკელსი (92)

**გაძევება:** გრეგუარი (66) (ვილემ II)

**სპარტა-ტვენტე** 0:2

**გოლები:** 0:1 ნკუფო (18), რუისი (57)

**ვაალვიკი-უტრეხტი** 0:1

**გოლები:** 0:1 ვოლფსვინკელი (3)

**ფეიენოორდი-ნიიმეგენი** 2:0

**გოლები:** 1:0 დალ ტომასონი (10), 2:0 ფერი (77 პ.)

**დენ ჰააგი-ბრედა** 1:2

**გოლები:** 0:1 ლურლინგი (42), 0:2 ამოა (67), 1:2 ჰორვატი (75)

**გრონინგენი-აიაქსი** 0:2

**გოლები:** 0:1 სულეიმანი (44), 0:2 რომედალი (72)

**ეინდჰოვენი-ვენლო** 3:3

**გოლები:** 1:0 ამბრაბატი (27), 2:0 ტოივონენი (41), 2:1 აჰაჰაუი (53), 2:2 ჰონდა (60), 3:2 ტოივონენი (82), 3:3 სხაკენი (85)

ჰოლანდიაში დაიწყო ერედივიზიეს რიგით 54-ე გათამაშება, რომელიც მაისამდე გაგრძელდება. ფეხბურთის ქართველი გულშემატკივარში უპირველეს ინტერესს „აზ ალკმაარი" იწვევს, ქვეყნის ჩემპიონი, რომლის მთავარი მწვრთნელის ასისტენტი **შოთა არველაძეა.** პირველ ტურში „ალკმაარმა" მძიმე მარცხი იწვნია, თამაში კი 9 ფეხბურთელის ამარა დაასრულა. ჩემპიონატის ერთ-ერთმა ფავორიტმა „ეინდჰოვენმა" ვერაფერი მოუხერხა ახლადგადმოსულ „ვენლოს" მიუხედავად იმისა, რომ შვედეთის ახალგაზრდული ნაკრების ფორვარდმა **ოლა ტოივონენმა** დუბლი მიითვალა. ჩემპიონატის კიდევ ორმა ფავორიტმა, „აიაქსმა" და „ფეიენოორდმა" კი მოგებებით დაიწყეს.

**მარტინ იოლმა** „აიაქსის" თავკაცის პოსტზე პირველი სამი ქულა მოიპოვა. მისმა გუნდმა სტუმრად „გრონინგენს" შანსი არ დაუტოვა - 2:0. „ჰამბურგიდან" ამსტერდამში გადასულმა იოლმა „აიაქსის" გულშემატკივრებს აღუთქვა, რომ ჰოლანდიის ჩემპიონის ტიტულს მოუპოვებდა გუნდს, რომელიც ბოლო ხუთი სეზონია ჩემპიონობას სხვებს უთმობს. გამარჯვებაში ლომის წილი ვეტერანმა დანიელმა გარემარბმა **დენის რომედალმა** დაიდო, რომელმაც პირველი ტაიმის მიწურულს სერბ **მირალემ „მიკი" სულეიმანის** გაატანინა, მეორე ტაიმში კი თავად გამოიჩინა თავი. არადა თავიდან „გრონინგენი" უტევდა, **გორან ლევრის** დარტყმა ოდნავ ასცდა **მაარტენ სტეკელენბურგის** კარს.

როტერდამში 44 ათასი გულშემატკივარი დაესწრო „ფეიენოორდის" მწვრთნელის **მარიო ბეენის** დებიუტს, რომელიც ზუსტად მისი ყოფილი კლუბის, ნიიმეგენის ნეკ-ის წინააღმდეგ შედგა. „დე კუიპზე" ანგარიში **იონ დალ ტომასონმა** გახსნა. მაგრამ დაძაბულობა 76-ე წუთამდე არ განელებულა, სანამ **ლერუა ფერმა** პენალტი არ გაიტანა, რომელიც მისივე ნაქცევისთვის დაინიშნა - 2:0.

ეინდჰოვენში პსვ-მ ორბურთიანი უპირატესობა გაანიავა და „ვენლოს" დაუზავდა - 3:3. ოლა ტოივონენმა ყველაფერი გააკეთა გამარჯვებისთვის, მან ჯერ თანაგუნდელს გაატანინა, შემდეგ კი თავადაც აილო „ვენლოს" კარი და გუნდი 2:0 დააწინაურა. და როცა სტუმრებმა გათანაბრება შეძლეს, შვედმა მატჩის დასრულებამდე 8 წუთით ადრე თავით კიდევ შეაგდო. მაგრამ „ეინდჰოვენს" მოგება მაინც არ ეწერა. **რუბენ სხაკენმა** „ვენლოს" ქულა მოუტანა, თუმცა ამაში სტუმარს ძალზე დაეხმარა „ეინდჰოვენის" მცველი **დირკ მარსელისი**, რომელმაც ბურთი უკან არაზუსტად გადააწოდა პარტნიორს.

ალმელოში ჩემპიონი ტიტულის დაცვას შეუდგა, თუმცა **რონალდ კუმანს** და შოთა არველაძეს პირველივე ტურში უსიამოვნო სიურპიზი ელოდათ „ჰერაკლესისგან". მასპინძლები 2:0 დაწინაურდნენ, ჯერ ბრაზილიელმა **ევერტონ და სილვამ** გაიტანა, შემდეგ კამერუნული წარმოშობის **ვილი ევერტოომმა**, რომელიც ადრე აზ-ში თამაშობდა. სტუმართა ერთი გოლი ერედივიზიეს შარშანდელმა ბომბარდირმა მაროკოელმა **მუნირ ელ ჰამდაუიმ** გაიტანა. მატჩის ბოლოს „ალკმაარს" მსაჯმა ორი ფეხბურთელი გაუძევა, 3:2 „ჰერაკლესის" სასარგებლოდ. ეტყობა, იტალიელმა **გრაციანო პელემ** და ბელგიელმა **ჟილ სვერტსმა** სერიოზულად დააშავეს, რადგან ლიგამ მათ შესაბამისად 5 და 4-მატჩიანი დისკვალიფიკაციები მიუსაჯა.

გასული სეზონის ვიცე-ჩემპიონმა „ტვენტემ" სტუმრად დამაჯერებლად მოუგო „სპარტას" - 2:0. გაიმარჯვა ევროპის ლიგის მონაწილე „ბრედამაც", რომელმაც სტუმრად „დენ ჰააგი" დაამარცხა - 2:1. ჩემპიონატი კი „ჰეერვეენისა" და „როდას" მატჩით გაიხსნა „აბე ლენსტრას" სტადიონზე. ჩემპიონატის პირველი გოლის გატანასთან ახლოს იყო ვეტერანი **ჯერალდ სიბონი**, თუმცა „ჰეერენვეენის" ფორვარდმა სტუმართა გოლკიპერს რანდევუ ვერ მოუგო. ასე რომ, ჩემპიონატის პირველი გოლი „ვილემის" ბელგიელმა ლეგიონერმა **კრისტოფ გრეგუარმა** მიითვალა, რომელმაც წითელი ბარათის გამო თამაში ბოლომდე ვერ ჩაამთავრა, გოლი კი შაბათს, მე-4 წუთზე გაიტანა.

ბელგია

# ჩემპიონებმა ვერ იფრინეს

**ჟუპილერ პრო ლიგა**

**I ტური**

**სტანდარდი-სტ. ტრუიდენი** 2:2

**გოლები:** 0:1 ჩიმედზა (24), 1:1, 2:1 დე კამარგო (38), (55), 2:2 ეუვრარდი (73)

*89-ე წუთზე ვიტსელმა (სტანდარდი) ვერ გაიტანა პენალტი*

**გენკი-ექსელსიორი** 1:2

**გოლები:** 0:1 ოკვუნვანე (5), 0:2 ოკვუნვანე (78), 1:2 ჟოაო კარლოსი (90)

**ლოკერენი-ვარეგემი** 1:1

**გოლები:** 1:0 სმაიჩი (8), 1:1 მეერტი (82)

**გაძევება:** გუეიე (22. ლოკერენი)

**კორტრიიკი-ანდერლეხტი** 0:2

**გოლები:** 0:1 ბუსუფა (6), 0:2 ვასილევსკი (68)

**მეხელენი-ვესტერლო** 4:1

**გოლები:** 1:0 ნონგი (16), 2:0 დესტორმე (27), 3:0 გორიუსი (66 პ.), 4:0 დესტორმე (72), 4:1 სისეი (84)

**რუზელარე-ჟერმინალი** 1:1

**გოლები:** 1:0 დისა (83), 1:1 კრუზი (90)

**შარლერუა-ბრიუგე** 1:2

**გოლები:** 0:1 ოჯიჯა-ოფოე (5), 1:1 ტერო (28), 1:2 აკპალა (38)

**გაძევება:** შაკური (28. შარლერუა), ოულმერსი (41. შარლერუა), კორდარო (69. შარლერუა)

**სერკლი-გენტი** 1:3

**გოლები:** 1:0 ფოლი (6), 1:1 ლიუბიანკიჩი (46), 1:2 დე სმეტი (59), 1:3 მარიჩი (80)

ბელგიური პირველობა, რომელსაც ოფიციალურად ჟუპილერ პრო ლიგა ეწოდება, ლიეჟში გაიხსნა და ის ახალი ფორმატით გაიმართება. ჩემპიონატში 18 გუნდი მონაწილეობს, რომლებიც ორი წრის მერე 6 საუკეთესოს გაარკვევენ, სადაც ბრძოლა უკვე განახევრებული ქულებით გაგრძელდება. შეგახსენებთ, რომ მოქმედი ჩემპიონი „სტანდარდია", კლუბმა გასულ სეზონში ტიტული მეათედ მოიგო.

„სტანდარდის" მწვრთნელი **ლასლო ბოლონი** იქადნებოდა, რომ ჩემპიონატს ტრიუმფით დაიწყებდა მისი გუნდი ფორმის პიკს კი ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპისთვის მიაღწევდა. *„ჩვენ გვსურს საუკეთესოდ წარმოვაჩინოთ თავი „სენტ ტრუიდენთან" მატჩში, გუნდმა უნდა იფრინოს პირველივე ტურის შეხვედრაში"*, - განაცხადა რუმინელმა მწვრთნელმა, რომელმაც რაც **მიშელ პრიუდომი** შეცვალა ლიეჟელთა თავკაცის პოსტზე, „სტანდარდს" ზედიზედ ორჯერ მოაგებინა ბელგიის ჩემპიონატი. ბოლონიმ დანაქადნი ვერ აასრულა, ჩემპიონატის გახსნის მატჩი, როგორც ხშირად ხდება ხოლმე, მძიმე გამოდგა და 2:2 დასრულდა. მიუხედავად დაძაბული მატჩისა და არც ისე კარგად თამაშისა, ჩემპიონი მაინც მოგებით დაიწყებდა, მატჩის ბოლოსწინა წუთზე 20 წლის ნახევარმცველ **აქსელ ვიტსელს**, რომელმაც უკვე დაიმკვიდრა ადგილი ბელგიის ნაკრებში, პენალტი რომ არ გაეფუჭებინა.

„სტანდარდის" უპირველესი კონკურენტი „ანდერლეხტია", გუნდის მწვრთნელ **არიელ იაკობსს** ერთადერთი მიზანი ამოძრავებს - 106-ე ჩემპიონატში 30-ე ტიტული მოუპოვოს ბრიუსელის კლუბს. „ანდერლეხტი" „კორტრიიკს" ჩეხი **იან პოლაკის** გარეშე ეწვია, რომელმაც ტურნირის სტარტისთვის ტრავმა ვერ მოიშუშა. **მბარკ ბუსუფამ** უკვე მე-6 წუთზე დააწინაურა სტუმრები. ამის გარდა „ანდერლეხტს" პირველ ტაიმში უამრავი მომენტი გაუცუდდა. თამაშის დასრულებამდე 20 წუთით ადრე ბუსუფამ საჯარიმო თავზე „დაასვა" **მარცინ ვასილევსკის** და ამ უკანასკნელმაც ზუსტად დაარტყა - 2:0.

ბელგიის ჩემპიონატში ამ ორი კლუბის („სტანდარდი", „ანდერლეხტი") დავაში წლეულს ძნელად თუ ვინმე ჩაერევა, თუმცა „გენკი", „გენტი", „ბრიუგე" და „ლოკერენი" ცდას არ დააკლებენ.

პირველ ტურში „შარლერუას" ერთბაშად სამი ფეხბურთელი გაუძევეს და მიუხედავად ამისა „ბრიუგეს" ტოლსწორად ეომნენ.



საბედისწერო პენალტი სენტ ტრუიდენის კარში

რუსეთი

# ნახევარ რუსეთს ჩემპიონობა შეუძლია

## კერჟაკოვი: 6 გოლი 6 მატჩში

**პრემიერლიგა**

**XVI ტური**

**რუბინი-ნალჩიკი** 2:0

**გოლები:** 1:0 კარადენიზი (36), 2:0 დომინგესი (89 პ.)

**ტომი-ცსკა** 2:3

**გოლები:** 0:1 კრასიჩი (27), 0:2 ძაგოევი (30), 1:2 მაზნოვი (58), 1:3 ჟეზუსი (65), 2:3 მიჩკოვი (67 პ.)

**სპარტაკი-ყუბანი** 4:0

**გოლები:** 1:0 ტლისოვი (21), 2:0 ველიტონი (53), 3:0 ველიტონი (61), ბისტროვი (88)

**ტერეკი-მოსკვა** 1:2

**გოლები:** 0:1 ვუკიჩი (62), 0:2 ჩესნაუსკისი (74), 1:2 ლახიალოვი (77)

**ამკარი-კრილია** 2:0

**გოლები:** 1:0 კუშევი (20 პ.), 2:0 კარლოსი (89)

**ხიმკი-დინამო** 0:2

**გოლები:** 0:1 აგიარი (34), 0:2 კერჟაკოვი (89)

**სატურნი-ზენიტი** 2:2

**გოლები:** 1:0 კირიჩენკო (15 პ), 1:1 კორნილენკო (28), 1:2 შიროკოვი (54), 2:2 ნახუშევი (84)

**გაძევება:** კუზმიჩევი (83. სატურნი)

**ლოკომოტივი-როსტოვი** 2:0

**გოლები:** 1:0 ბილიალეტდინოვი (41), 2:0 სიჩოვი (87)

დავანებოთ თავი, ქართული ლეგიონის ამბებს რუსეთში, **ჯანო ანანიძის** დებიუტს, **მალხაზ ასათიანის** დაბრუნებას და **დავით კვირკველიას** დისკვალიფიკაციას. რუსეთში მეორე წრის მეორე ტურში კიდევ უფრო გამძაფრდა საჩემპიონო ბრძოლა. წარმოიდგინეთ, გაჩემპიონების შანსები ჯერ მე-7 ადგილზე მყოფ მოსკოვის „ლოკომოტივსაც" არ დაუკარგავს, რომელიც ლიდერს 9 ქულით ჩამორჩება.

ტურის გმირი „სპარტაკის" ბრაზილიელი ლეგიონერი **ველიტონია**, რომელმაც „ყუბანს" ორი გოლი გაუტანა. „სპარტაკმა" კრასნოდარის „ყუბანს" 4:0 კი მოუგო, მაგრამ გუნდის თავკაცი **ვალერი კარპინი** მაინც უკმაყოფილო დარჩა: *„ცუდი თამაში იყო, მე-3 გოლამდე აღშფოთებული ვადევნებდი თვალს თამაშს. გუნდი ვერ მოძრაობდა ხეირიანად. ამას თავისი ახსნა აქვს, რა თქმა უნდა, ფეხბურთელებმა ცსკა-სთან თამაშს ემოციების დიდი დოზა შეალიეს. მაგრამ „სპარტაკი" ასე არ უნდა თამაშობდეს".*

ტურში ორი ფართოდ რეკლამირებული ლეგიონერის დებიუტი შედგა რუსულ პრემიერლიგაში, „დინამოს" ურუგვაელმა ახალწვეულმა **ლუის აგიარმა** დიდებულად ითამაშა და გამარჯვების გოლიც გაიტანა „ხიმკის" კარში, ასევე კარგი პრესა ჰქონდა „სპარტაკის" ცენტრალურ ნახევარმცველ **იბსონს**, რომელიც შეტევებშიც კარგი იყო და დაცვაშიც.

ოთხი მატჩის განმავლობაში ვერ მოეგო მოსკოვის „ლოკომოტივში" დაბრუნებულ **იური სიომინს** და ეს მან „როსტოვთან" მოახერხა **დინიარ ბილიალეტდინოვისა** და **დმიტრი სიჩოვის** გოლების წყალობით - 2:0.

დიდებულ ფორმაშია „დინამოს" ფორვარდი **ალექსანდრ კერჟაკოვი**, ბოლო ექვს ტურში მან ექვსი გოლი შეაგდო. „ხიმკისთან" მატჩში კერჟაკოვმა საგოლე პასიც მიითვალა.

championat.ru-ს სიმბოლური ნაკრები: **ნარუბინი** („ამკარი") - **უილკშირი** („დინამო"), **შიროკოვი** („ზენიტი"), **კოლოდინი** („დინამო"), **ნახუშევი** („სატურნი") - **ბისტროვი** („სპარტაკი"), **კრასიჩი** (ცსკა), **ჩესნაუსკისი** („მოსკვა"), **ძაგოევი** (ცსკა) - **კერჟაკოვი** („დინამო"), **ველიტონი** („სპარტაკი")

გვერდი მოამზადა
**ნიკოლოზ ნეფარიძემ**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. რუბინი | 16 | 9 | 4 | 3 | 29-12 | 31 |
| 2. სპარტაკი (მ) | 16 | 9 | 3 | 4 | 28-13 | 30 |
| 3. მოსკვა | 16 | 8 | 6 | 2 | 19-8 | 30 |
| 4. ცსკა | 16 | 8 | 3 | 5 | 25-16 | 27 |
| 5. დინამო | 16 | 8 | 3 | 5 | 19-17 | 27 |
| 6. ზენიტი | 16 | 6 | 6 | 4 | 24-17 | 24 |
| 7. ლოკომოტივი | 16 | 5 | 7 | 4 | 17-16 | 22 |
| 8. კრ. სოვეტოვი | 16 | 6 | 3 | 7 | 15-18 | 21 |
| 9. ტერეკი | 16 | 5 | 6 | 5 | 19-22 | 21 |
| 10. სატურნი | 16 | 5 | 5 | 6 | 17-21 | 20 |
| 11. როსტოვი | 16 | 4 | 7 | 5 | 10-15 | 19 |
| 12. ამკარი | 16 | 4 | 6 | 6 | 15-22 | 18 |
| 13. ტომსკი | 16 | 4 | 5 | 7 | 15-20 | 17 |
| 14. ყუბანი | 16 | 3 | 6 | 7 | 11-23 | 15 |
| 15. სპარტაკი (ნ) | 16 | 1 | 8 | 7 | 11-17 | 11 |
| 16. ხიმკი | 16 | 2 | 4 | 10 | 13-30 | 10 |

რომა

## სპალეტის გასაჭირი



სხვა იტალიური გუნდებისგან განსხვავებით, „რომასთვის“ სეზონი უკვე დაიწყო. „ჯალოროსიმ“ ევროპის ლიგის ეგიდით პირველი შეხვედრა გამართა და ბელგიური გენტი საკუთარ მოედანზე 3:1-ზე დაამარცხა. განმეორებითი პაექრობის წინ, რომაელებს პრობლემები დაუხვავდათ, გუნდს ტრავმების ეპიდემია შეეყარა. გუშინ, ვარჯიშის ჩამთავრება **ფრანჩესკო ტოტიმ** ვერ შეძლო და ექიმების ხელში აღმოჩნდა. პუპონეს ძველმა ტრავმამ შეახსენა თავი, რომელსაც ბოლო ორი წელია მკურნალობს. ტოტიმ საწვრთნელი ბაზა მალევე დატოვა და როგორც შემდეგ გახდა ცნობილი, რომის ერთ-ერთ კლინიკაში გადაინაცვლა.

ორიოდე დღის წინ, ანალოგიური რამ შეემთხვა **მირკო ვუჩინიჩისაც**. ჩერნოგორიელს საწვრთნელი პროცესის შეწყვეტა მოუხდა და გუშინდელ ვარჯიშში არც მას მიუღია მონაწილეობა. აქვე გეტყვით, რომ ტოტის და ვუჩინიჩის მსგავსად, ტრავმირებულია კიდევ სამი ფეხბურთელი: **ჟულიო ბაპტიშტა, ფილიპ მექსე** და **მაქს ტონეტო. ლუჩანო სპალეტი** ასეთი მდგომარეობით შეშფოთებულია, თუმცა აცხადებს, რომ ევროპის ლიგის შემდეგი ეტაპის საგზურს მისი გუნდი უთუოდ მოიპოვებს. მთავარია, ჩამოთვლილი მოთამაშეები მალე გამოჯანმრთელდნენ, რომ იტალიის ჩემპიონატის სტარტს ოპტიმალურ ფორმაში შეხვდნენ.

**ლაშა წიკლაური**

მაინცი

## მწვრთნელი გააგდეს და დანიშნეს

გერმანიის თასის პირველივე ეტაპიდან გავარდნის შემდეგ, მეორედან პირველ ბუნდესლიგაში ალზევებული „მაინცის“ შეფებმა გუნდის მთავარი მწვრთნელი **იორნ ანდერსენი** თანამდებობიდან გაათავისუფლეს. „ლიუბეკთან“ წაგებამ რაინჰესენური კლუბის ხელმძღვანელები ისე ალაშფოთა, რომ მათ ანდერსენს სასწრაფოდ კონტრაქტი გაუწყვიტეს. „მაინცმა“ უკვე ახალი მწვრთნელიც დანიშნა: ანდერსენი 35 წლის **თომას ტუხელმა** შეცვალა, რომელიც აქამდე „მაინცის“ 19-წლამდელთა გუნდს წვრთნიდა. ტუხელმა მთავარი მწვრთნელის რანგში ორწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი.

**გოტფრიდ ლენცი**

იუვენტუსი

# ტრეზეგე იუვეში დარჩა

## ფერარა ფრანგზე დიდ იმედებს ამყარებსო...

„იუვენტუსის“ მმართველმა **ჯოვანი კობოლი ჯილიმ** უკვე არაერთხელ განაცხადა, რომ უახლოეს მომავალში ფეხბურთელების გაყიდვას დაიწყებს. ჯილის თქმით, კლუბმა ახალი ფეხბურთელების შეძენაში დიდძალი თანხა დახარჯა და ახლა ფინანსების დაბალანსების დროა. ჟურნალისტთა ვარაუდით, გასასხვისებელ მოთამაშეთა რიცხვში ჯილიმ პირველ რიგში **დავიდ ტრეზეგე** იგულისხმა, ვისაც უკვე დიდი ხანია უწინასწარმეტყველებენ ტურინიდან აბარგებას. ტრეზეგეს მსურველიც ბევრი ჰყავს და თითქოს არც თვითონ გახლდათ გუნდის გამოცვლის წინააღმდეგი. ერთი სიტყვით, ყველაფერი იქით მიდიოდა, რომ დავიდს კარიერა სხვაგან უნდა გაეგრძელებინა, თუმცა გუშინ გავრცელებული ინფორმაცია სულ სხვაგვარ სურათს ხატავს.




მადრიდის „რეალთან“ მოპოვებული გამარჯვების შემდეგ, ტრეზეგეს „იუვენტუსის“ მთავარ მწვრთნელთან ხანგრძლივი საუბარი ჰქონია, რომელსაც წარმატებით ჩაუვლია. წარმატებაში იმას ვგულისხმობთ, რომ ორივე მათგანს ერთი პოზიცია აღმოაჩნდა - ტრეზეგე „იუვესთვის“ საჭირო ფეხბურთელია. ჯერ **ჩირო ფერარას** მოვუსმინოთ, შემდეგ კი ფრანგ თავდამსხმელს და ამაში თავადაც დარწმუნდებით. აი, რა განაცხადა ჩირომ:

*„დავიდმა მითხრა, რომ სურვილი აქვს კარიერა „იუვენტუსში“ გააგრძელოს. ამ ამბავმა ძალიან გამახარა, რადგან ტრეზეგეს დარი ფორვარდი მსოფლიოში თითზე ჩამოსათვლელია. აქამდე, თითქოს გული ჰქონდა აცრუებული და წასვლას აპირებდა, პირად საუბარში კი სულ სხვა რამ განმიცხადა. პირადად მე, დავიდის საჭიროებას ყოველთვის ვხედავდი და ამის შესახებ „იუვეს“ მესვეურებსაც არაერთხელ განვუცხადე. როგორც ვიცი, მისი გადაბირება რამდენიმე ევროპულ კლუბს სურს და მოლაპარაკებებიც დაწყებულია, თუმცა ჩემი სურვილია, რომ ეს პროცესი შეწყდეს და დავიდმა მომავალი სეზონი „იუვენტუსში“ გაატაროს“.*

თავად ტრეზეგე, ფერარას კომპლიმენტებს უძღვნის და „იუვენტუსის“ ყოფილ დამრიგებელს, **კლაუდიო რანიერის** აკრიტიკებს: *„გასულ სეზონში მართლაც ცუდად ვგრძნობდი თავს, რადგან მწვრთნელი არ მენდობოდა. რანიერის ვერაფერი გავუგე და „იუვენტუსიდან“ წასვლა ამადაც მქონდა გადაწყვეტილი. ახლა სულ სხვაგვარი ვითარებაა და არ მსურს დავტოვო ქალაქი, სადაც უკანასკნელი ათი წელი ვიცხოვრე. ტურინთან უამრავი კარგი მოგონება მაკავშირებს, შემიძლია თამამად ვთქვა, რომ აქ ჩემი სახლია. ჩირო ფერარასთან ძალიან კარგი ურთიერთობა მაქვს, მან შესანიშნავად იცის თავისი საქმე და დარწმუნებული ვარ, გუნდს ახალ სიმაღლეზე აიყვანს. მიხარია, რომ მის გეგმებში ჩემი გვარიც ფიგურირებს - ახლა მთავარია, კლუბის მესვეურებს დაველაპარაკო და ჩემი სურვილის შესახებ ვაცნობო“.*

ტრეზეგესგან განსხვავებით, ფერარას გეგმებში არ ფიგურირებენ **კრისტიან პოულსენი** და **სერხიო ალმირონი**. ჩირომ პირდაპირ განაცხადა, რომ სამომავლოდ ამ ფეხბურთელებზე დაყრდნობას არ აპირებს და მათ პრომავერაში უკრა თავი. დიახ, ურუგვაელი და დანიელი სწორედ „იუვენტუსის“ ახალგაზრდულ გუნდში გადიან საწვრთნელ პროცესს. ტურინული კლუბის მესვეურები ამ მოთამაშეების გაყიდვას აპირებენ, თუმცა ეს ასე იოლი საქმე არ იქნება. პოულსენში ტურინელები დაახლოებით რვა მილიონ ევროს ითხოვენ და ამ თანხას ცენტს არ აკლებენ. ჯერჯერობით დანიელის ყიდვის სურვილი ორადორმა კლუბმა გამოთქვა: „ფულჰემმა“ და „მონაკომ“. თუმცა, აღნიშნულ გუნდებში გადასვლა თავად ფეხბურთელმა იუარა. როგორც ჩანს, სკანდინავიელი ნახევარმცველი უკეთესი შეთავაზებების მოლოდინშია.

რაც შეეხება ალმირონს, მისი შეძენის მსურველი ჯერ არც გამოჩენილა. მხოლოდ სერია A-ს კლუბები აქტიურობენ და ისიც, იჯარის წესზეა ლაპარაკი. სერხიოს არენდით აყვანის სურვილი უკვე გამოთქვეს: „ბოლონიამ“, „ბარიმ“ და „ლივორნომ“. შესაძლოა, სამხრეთამერიკელი რომელიმე ამ კლუბში გადასვლის წინააღმდეგი არ იყოს, მაგრამ „იუვეს“ მესვეურებს იჯარის გაგონებაც არ უნდათ და ფინანსების დაბალანსების მიზნით, მოთამაშის გაყიდვა სურთ. ბუნებრივია, ალმირონში კოლოსალურ თანხას არავინ გადაიხდის, მაგრამ რამდენიმე მილიონის მიღება ნამდვილად შეიძლება.

**ლაშა წიკლაური**

წინასასეზონო. გერმანელი კლუბები მარიო ბასლერის სამიზნეში

# შალკე ჩემპიონი გახდება... 2012-ში!

*მარიო ბასლერი, ბილდი*

იმ დღეს, საღამოთი ტელევიზორს ვუყურებდი და გავგიჟდი. გერმანიის სამი წამყვანი ტელეკომპანია ერთსა და იმავე თემაზე აჩვენებდა გადაცემას: თინეიჯერების აღზრდაზე. არც ერთი გადაცემა არ მომეწონა და ტელევიზიებს ვურჩევ, თუ ეს თემა ასე აინტერესებთ, „შალკეს“ ბაზაზე კამერები დაამონტაჟონ! როგორ ზრდის მაგათი გელზენკირხენელ თინეიჯერებს - ეს საუკეთესო გადაცემა იქნება!

დიდი მადლობა „შალკეს“ შეფ **კლემენს ტიონიესს** იმის გამო, რომ ბოლოს და ბოლოს, აზრზე მოვიდა, **ანდრეას მიულერი** და მისი „ჩამოთრეული“ ძალით-მწვრთნელი **ფრედ რუტენი** დაიფრინა და მათ ნაცვლად **ფელიქს მაგათი** დანიშნა, რომელსაც სრული ძალაუფლება მისცა. არა, „შალკეს“ ფანი არასდროს ვყოფილვარ, მაგრამ ფაქტია, რომ ეს გუნდი ყოველთვის ძალიან მეცოდებოდა. პირველ რიგში იმიტომ, რომ „შალკეს“ მართლა მაგარი ქომაგები ჰყავს და უფრო სწორი იქნება, თუ ვიტყვი, რომ ფანები უფრო მეცოდებოდნენ.

მაგათი კი ისეთი კაცია, ავ თვალს რომ არ დაენახვება: მას ყველაფერი შეუძლია, აბსოლუტურად ყველაფერი გამოსდის და იმდენად განუმეორებელია, რომ ქალებისაც კი კარგად ესმის...

მოკლედ, იმის თქმა მინდა, რომ როგორც იქნა, „შალკეში“ მუშაობა დაიწყეს! ბოლოს და ბოლოს, გელზენკირხენულ კლუბში გამოჩნდა კაცი, რომელიც სიტყვებს კი არ ისვრის, თანაც ჰაერზე, არამედ მუშაობს. მართლა მუშაობს! გუნდი კი, ვიცი, არავინ შემეკამათება, კატასტროფულ მდგომარეობაშია.

ჰმ, მაინც ვინ იყო ეს მიულერი და საიდან მოჰყავდა ასეთი ნიჭიერი მწვრთნელები, რატომ იღებდა ასეთ არაადეკვატურ გადაწყვეტილებებს? მაგალითად, გაყიდა ისეთი მეომარი და მებრძოლი ფეხბურთელი, როგორიც **ფაბიან ერნსტი** იყო, სამაგიეროდ, გელზენკირხენში ისეთი მუქთახორები

**SUPER MARIO gibt Gas**




ბასლერის თვალით

### ვოლფსბურგის საუკეთესო შემადგენლობა

დიეგო ბენალიო - საშა რიტერი, ალექსანდერ მადლუნგი, ანდრეა ბარძალი, მარსელ შეფერი - ჟოსუე - ქარიმ ზიანი, კრისტიან გენტნერი - ზვიეზდან მიშიმოვიჩი - ედინ ჯეკო, გრაფიტე.

ბასლერის თვალით

### შალკეს საუკეთესო შემადგენლობა

მანუელ ნოიერი - რაფინია, ჰაიკო ვესტერმანი, მარსელო ბორდონი, კრისტიან პანდერი - ჯერმეინ ჯონსი - ჯეფერსონ ფარფანი, ივან რაკიტიჩი, ლუის ჰოლტბი - კევინ კურანი, ჰალილ ალთინთოფი.

მორეკა, როგორებიც არიან **კარლოს გროსმიულერი** და **ზე რობერტო II**. ერნსტი გაყიდეს, **ჯერმეინ ჯონსი** ტრავმირებულია და... ისე გამოდის, რომ ახალი სეზონის დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე „შალკეს“ ნახევარდაცვა ფაქტობრივად არ ჰყავს! რაც ყველაზე საინტერესოა, აღარც ფული აქვთ, რომ ვინმე იყიდონ...

ანუ, დროა, ფელიქსმა ყველა ფეხბურთელი გვარიანად შეანჯღრიოს! ტესტმატჩებში მაგათმა თავისი ბრჭყალები უკვე გამოაჩინა და გროსმიულერი 17 წუთის შემდეგ შეცვალა, ტალანტი **იალინი** კი სულაც ექვსი წუთის შემდეგ. ვაჰ, მოკლედ, ფელიქსი გიჟია! თუ არ მოეწონა, როგორ შედიხარ მოედანზე, მანამდე გამოგიყვანს, სანამ საერთოდ მატჩი დაიწყება...

მე კი მიმაჩნია, რომ ფელიქს მაგათი ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო სპეციალისტია და მას უდიდეს პატივს ვცემ. „შალკესაც“ სწორედ ასეთი სპეციალისტი სჭირდებოდა. წარსულს ჩაბარდა ის დრო, როცა „შალკეს“ ფეხბურთელებს, მიუხედავად წარუმატებლობებისა, თავიანთი თავები სუპერვარსკვლავები ეგონათ. გელზენკირხენი ყოველთვის მუშების ქალაქი იყო, რასაც ვერ ვიტყვით „შალკეზე“. ახლა კი, „შალკეც“ არა ცხვირაბზეკილი, არამედ მუშა ფეხბურთელების გუნდი იქნება. მე რომ მაგათის ადგილზე ვიყო, უფრო შორსაც წავიდოდი და ფეხბურთელებს მყარ ხელფასებს კი არ დავუნიშნავდი, არამედ მათ ჰონორარებს მივცემდი იმის მიხედვით, რასაც გააკეთებდნენ. მაგრამ ასეთ შემთხვევაში **შტრაიტს** და **ჯეფერსონ ფარფანს** „აუფ შალკესთან“ მდებარე უახლოეს ბენზოგასამართ სადგურზე მოუწევდათ მუშაობის დაწყება...

მაგათმა მომავალ სეზონში ორ რამეს უნდა მიაღწიოს: დაიწყოს მომავლის გუნდის მშენებლობა, მაგრამ ამავდროულად წარმატებებსაც უნდა მიაღწიოს, რათა თავს კრიტიკის ქარცეცხლი არ დაატყდეს. თუკი „ვოლფსბურგში“ მძიმე წნეხის ქვეშ არ იყო, „შალკეში“ მასზე გაცილებით დიდი ზეწოლაა. ჩემი რჩევა „შალკეს“ შეფებს: მიეცით მაგათს დრო და ის აუცილებლად გააჩემპიონებს „შალკეს“, ოღონდ არა ახლა, არამედ 2012 წელს... რას ჰქვია, ვეღარ ითმენთ? სადაც 51 წელიწადი ითმინეთ, იქ არც სამით მეტი იქნება პრობლემა...

წელს კი, გელზენკირხენული კლუბი, არა მგონია, მეხუთე ადგილს ასცდეს. მიმაჩნია, რომ შემადგენლობის მხრივ, „შალკეს“ ესეც არ ეკუთვნის, მაგრამ რაკი ამ გუნდს მაგათი წვრთნის, „ხუმარები“ მაქსიმუმს მიაღწევენ.

მაგათის თემა ამით არ ამოწურულა. „დესპოტი ფელიქსი“ „ვოლფსბურგშიც“ ჯერ კიდევ მნიშვნელოვანი ფიგურაა. მართალია, მოქმედი ჩემპიონი ჩემპიონმა მწვრთნელმა **არმინ ფეემ** ჩაიბარა, მაგრამ მიუხედავად უდიდესი გამოცდილებისა, ეს უკანასკნელი მაინც მაგათის ჩრდილშია მოქცეული. თანაც, ფეემ უნდა დაამტკიცოს, რომ მწვრთნელობასთან ერთად, მენეჯერობაც შეუძლია. ერთი რამ იმთავითვე ცხადია: „ვოლფსბურგი“ გერმანიის მომდევნო ჩემპიონობას მხოლოდ მაშინ იზეიმებს, როცა ბერლინის კედელი ხელმეორედ აშენდება და ისევ დაინგრევა. „მგლები“ ვერც ჩემპიონთა ლიგაში ითამაშებენ მთავარ როლს, რადგან მეოთხე კალათაში იქნებიან და ჯგუფში მინიმუმ ორი გრანდი ეყოლებათ. ბუნდესლიგაში კი, „ვოლფსბურგი“ მეშვიდე ადგილს დაიკავებს. ერთადერთი ტიტული, რომლის მოგებაც „ვოლფსბურგს“ მომავალ სეზონში შეუძლია, გერმანიის თასია. სამაგიეროდ, „ვოლფსბურგის“ ხელმძღვანელები ქებას იმსახურებენ იმის გამო, რომ **ჯეკო** და **გრაფიტე** შეინარჩუნეს. ბუნდესლიგას **მაიკ კრიუგერისა** და **თომას გოტშალკის** მერე, თავდამსხმელების ასეთი მაგარი დუეტი აღარ ჰყოლია.

თუმცა ისიც ფაქტია, რომ ჯეკო და გრაფიტე ერთად მხოლოდ ერთ წელსლა ითამაშებენ. ამ ორი ფეხბურთელის შედეგიანობა დიდწილადაა დამოკიდებული **ზვიეზდან მიშიმოვიჩზე**. ვერასდროს წარმოვიდგენდი, რომ ამ ბიჭისგან კარგი ფეხბურთელი დადგებოდა. მიშიმოვიჩში მაღალი კლასის გამთამაშებელი მაგათმა გაალვიძა. სხვა მხრივ, „ვოლფსბურგს“ მხოლოდ რამდენიმე კარგი ფეხბურთელი ჰყავს: **ბენალიო, რიტერი, ჟოსუე** და ახალწვეული **მარტინსი**, რომელიც ბევრს ირბენს. საინტერესოა, რამდენად გაქაჩავს ბუნდესლიგაში ტანდაბალი **ქარიმ ზიანი**.

მოკლედ, ვოლფსბურგში ზეიმი დასრულებულია და ამ ქალაქში ნაცრისფერი ყოველდღიურობა ბრუნდება. ამას მარტინსი და ზიანიც მალე შეამჩნევენ და თავს ისე იგრძნობენ, როგორც დისკოთეკაზე, ოღონდ დილის 6 საათზე, როცა სინათლეს რთავენ, ყველგან ნაგავი ყრია, ლამაზი ქალებიც დიდი ხნის, წასულები არიან და უკვე ტკბილად სძინავთ...

**გოტფრიდ ლენცი**

სატრანსფერო ამბები

# 100, 100... 100 მილიონი


იყიდის ჩელსი ანდრეა პირლოს?


კარლო, სად არის არმანი?

როგორც ამბობენ, ამ კვირაში „ჩელსი" „მილანიდან" **ანდრეა პირლოს** გადაიყვანს და მერე **ფრანკ რიბერისა** და **სერხიო აგუეროს** ამბავსაც მიხედავს. თუ ხსენებული ტრიო ცოტა ხანში მართლა ამოყოფს „სტემფორდ ბრიჯზე" თავს, ჩათვალეთ, რომ ლონდონელთა მეპატრონის, რუსი ოლიგარქის, **რომან აბრამოვიჩის** საფულე 100 მილიონი ფუნტით შემსუბუქებულა. მაგრამ, მილიარდერი არას დაგიდევთ. მძიმე და თავშეკავებული სატრანსფერო სტარტის მიუხედავად, ის ცდილობს მთელ ქვეყანას დაანახვოს, რომ ფეხბურთელების ყიდვის ჟინი ძველებურად უნთებს გულს.

ყურადსაღებია, რომ გასულ კვირაში, როდესაც კაპიტანმა **ჯონ ტერიმ** „ჩელსიში" დარჩენა გადაწყვიტა და ამის შესახებ ხმამაღლა განაცხადა, ერთ-ერთ მიზეზად ის დაასახელა, რომ აბრამოვიჩი შემადგენლობის გაძლიერებას და სატრანსფერო ბაზარზე ძველებურად გააქტიურებას დაჰპირდა. და მართლაც, სწორედ ამის შემდეგ დაიძრა ლონდონის კლუბი როგორც პირლოს ფრონტისკენ, ასევე აგუეროსა და რიბერის მიმართულებით, რომელთა გადაბირება „მანჩესტერ იუნაიტედსაც" ძალიან უნდა.

როგორც ზემოთ მოგახსენეთ, დღევანდელი გადასახედიდან პირლო უკვე დასავლეთლონდონელი ჩანს. „ლურჯების" თავკაცს, **კარლო ანჩელოტის** თავისი ყოფილი ფეხბურთელის ნახევარდაცვის სიღრმეში განწესება სურს, საიდანაც ის თამაშის რიტმსა და ტემპს თავისებურად გააკონტროლებს. რასაკვირველია, ეს ამბავი ძალიან არ სიამოვნებთ „მილანის" გულშემატკივრებს, რომლებმაც ერთ ზაფხულს მწვრთნელიც დაკარგეს, **პაოლო მალდინიც**, რომელმაც თამაშს თავი დაანება, **კაკაც**, რომელიც „რეალში" გაიყიდა და ახლა პირლოს წასვლას უნდა შეეგუონ. „როსონერის" ვიცე-პრეზიდენტი **ადრიანო გალიანი** და ახალი მწვრთნელი **ლეონარდო** კარგა ხანს დაჟინებით აცხადებდნენ, რომ პირლო არ იყიდებოდა, მაგრამ ვერაფერს გახდნენ, რადგან თავად ნახევარმცველს გული თავისი ყოფილი მენტორისკენ და აბრამოვიჩის დანიშნული ხელფასისკენ მიუწევს. შესაბამისად, გალიანისა და ლეონარდოს ბოლოდროინდელმა გამონათქვამებმა ვექტორი იცვალეს და უფრო განახლებისა და გადახალისებისკენ აიღეს გეზი.

შეგახსენებთ, რომ „ჩელსის" პირველ შეთავაზებაზე მილანელებმა ცივი უარი განაცხადეს, მაგრამ ლონდონელები არ დანებდნენ და პირლოს სანაცვლოდ 12 მილიონ ფუნტს პერუელი **კლაუდიო პისაროც** დაამატეს. ერთი სიტყვით, კვირას, „ქომუნითი შილდზე", რაც ჩვენებურად სუპერთასს ნიშნავს, „ჩელსისა" და „მანჩესტერ იუნაიტედის" შეხვედრაში პირლომ შესაძლოა უკვე ითამაშოს.

აი, რაც შეეხება აგუეროს, მისი „ჩელსიში" გადასვლა იქნებ მისმავე სიხარბემ ჩაშალოს. **დიეგო მარადონას** სიძეს აბრამოვიჩისგან, არც მეტი, არც ნაკლები, კვირაში 200 ათასი ფუნტი უნდა. „იუნაიტედისგანაც" ასე ითხოვდა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ თუ მადას არ დაიკლებს, პრემიერლიგის გარეშე დარჩება, ხოლო ეს კარგია მისთვის თუ ცუდი, უკვე თავად უნდა გადაწყვიტოს.

## სად წავიდა ჯორჯო არმანი?

ეს რა ნახა ინგლისელთა თვალებმა: „ჩელსისა" და „რიდინგის" ამხანაგური შეხვედრის დროს ლონდონელთა იტალიელი მწვრთნელი **კარლო ანჩელოტი** მოედნის კიდესთან „ადიდასის" სპორტულ პიჟამაში გამოწყობილი იდგა. ამაში გასაკვირი რა არისო, იკითხავს გულუბრყვილო მკითხველი, რომელსაც შევახსენებთ, რომ „მილანის" მწვრთნელობისას ანჩელოტი თამაშზე „ჯორჯო არმანის" პიჯაკის გარეშე არავის უნახავს.

ნეტავ, რას უნდა ნიშნავდეს იტალიელის ასეთი გარდასახვა? მოგეხსენებათ, თანამედროვე ეპოქა „მესიჯებისაა". ვილაცა რალაცას რომ აკეთებს, ამით სხვა რამეზე მიანიშნებს. ასეა პოლიტიკაში და, როგორც ირკვევა, ასეა სპორტშიც. მაგალითად, ინგლისელი მიმომხილველები წერენ: თავისი ჩაცმულობით ანჩელოტიმ მიგვითითა, „ჩელსიში" ბევრი სამუშაოაო. ეს მისი „მესიჯი" გახლდათ.

და მართალია, ამერიკული შეკრების დროს „ლურჯებმა" მილანის ორივე გრანდს, „ინტერსაც" და „მილანსაც" მოუგეს, მაგრამ შინ დაბრუნებულს „რიდინგმა" ჭკუის სასწავლებელი გაკვეთილი ჩაუტარა - 2:2. ცნობისთვის: „რიდინგის" მწვრთნელმა, თავის დროზე „ჩელსის" ასაკობრივ გუნდებში ნამუშევარმა, **ბრენდენ როჯერსმა** თავის ყოფილ „სამსახურს" 4-3-3 განლაგება დაუპირისპირა და ბევრი ნაკლიც გამოუმჟღავნა.

ანჩელოტიმ განაცხადა: *„დიახ, ჩვენ ნამდვილი გაკვეთილი ჩაგვიტარეს. საერთოდ ასეა, დიდი გუნდი პატარა გუნდისთვის ყოველთვის სამიზნეა და მის წინააღმდეგ რომ თამაშობს, გამალებული კეტავს სივრცეებს, მაგრამ სწორედ ასეთ დროს უნდა იყოჩაღოს თავდასხმამ. სწორედ თავდამსხმელები იყვნენ ვალდებულნი „რიდინგის" დაცვა გაეხსნათ".*

თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ „ჩელსის" კარში ერთი გოლი საკმაოდ საეჭვო თერთმეტმეტრიანით გავიდა.

*„ტერი და კარვალიუ იმ თავდამსხმელს საერთოდ არ შეხებიან, - ბრძანა ანჩელოტიმ, - ასეთ შეცდომებს სეზონის წინ, ამხანაგურ შეხვედრებში კიდევ არა უშავს, აი, მერე კი, დიდი იმედი მაქვს, აღარ იქნება".*




ვალენსია

# ვილია დარჩენილია!


დავიდ ვილია ვალენსიაში დარჩა

„ვალენსიას" თავკაცმა **უნაი ემერიმ** „ლივერპულს" შეუთვალა, რომ მისი გუნდის ვარსკვლავი **დავიდ ვილია** ფასდაუდებელია და, ცხადია, არ იყიდება. მოგეხსენებათ, 26 წლის ფორვარდმა ამ ზაფხულს უკვე უთხრა უარი ესპანურ გიგანტებს „ბარსელონასა" და „რეალს", თუმცა მის მიმართ ინტერესი ამან ვერ შეანელა და ამის დატურად „ლივერპულის" გარდა „მანჩესტერ იუნაიტედის" ინტერესიც შეგვიძლია მოვიტანოთ.

მერსისაიდელთა შეფის, **რაფა ბენიტესის** სურვილი კი, თავის მხრივ, ლოგიკური, გასაგები და ჩინებულია - ინგლისური გუნდის ესპანელ მწვრთნელს უნდა ვილია თავდასხმაში ნაკრების თანაგუნდელს, **ფერნანდო ტორესს** შეუწყვილოს.

შაბათს „ვალენსიამ" ამხანაგური შეხვედრა გამართა „კარდიფთან". ამ შეხვედრაში პრიმერადივიზიონის გუნდმა ძალიან იოლად გაიმარჯვა, 2:0, თუმცა ვილია ამ დღეს სათადარიგოთა სკამზე იჯდა, თამაშში მონაწილეობა არ მიუღია. ასე რომ, ესპანეთის ნაკრების ფორვარდს მაყურებელი მოედანზე ოთხშაბათს, **ალექს ფერგიუსონის** გადასხვაფერებულ, **კრისტიანო რონალდოს** გარეშე მოთამაშე „მანჩესტერ იუნაიტედთან" იხილავს.

ემერის კარგად ესმის, რომ სკაუტები ფორვარდის თამაშის სანახავად და შესაძლოა, მოლაპარაკებების გასამართავად „ოლდ ტრეფორდზეც" გამოჩნდებიან, მაგრამ დარწმუნებულია, რომ მათი მხრიდან ეს მხოლოდ და მხოლოდ დროის ფუჭი ფლანგვა იქნება.

*„ჩვენ დავიდის შენარჩუნება გვინდა, მაგრამ მარტო ეს არ არის მთავარი. მთავარია, რომ თავად ფეხბურთელსაც უნდა „ვალენსიაში" თამაში, წასვლას არსად აპირებს. ვილიას გაყიდვა იმიტომ არ გვინდა, რომ ის ფასდაუდებელი მოთამაშეა. მის ხელში ჩასაგდებად „ბარსელონამ" და „რეალმა" უკვე გადადგეს ნაბიჯები, მაგრამ დავიდმა ყველას აჩვენა, რომ „ვალენსიას" ერთგულია და ყველა მოლაპარაკების შემდეგ ჩვენთან დაბრუნდა. ეს ჩვენი გუნდისთვის საოცარი რამ გახლდათ და ძალიან მეეჭვება თავდამსხმელის დამოკიდებულება ინგლისში შეიცვალოს. ყველაფერი მკაფიოა, დავიდ ვილიას ჩვენთან უნდა თამაში, დანარჩენი კი ჭორები და ვარაუდებია".*

აღსანიშნავია, რომ „ლივერპულის", „მანჩესტერ იუნაიტედის" და „რეალის" ინტერესის საგანს კიდევ ერთი ვალენსიელი, **დავიდ სილვა** წარმოადგენს, თუმცა მწვრთნელი მასზეც კატეგორიულად ლაპარაკობს.

*„სილვაზე ბოლო კვირების განმავლობაში რა აღარ თქვეს, რა აღარ დაწერეს, მაგრამ ფაქტი ერთია, ჩვენი კლუბის ოფისში ახალი წინადადებით არავინ შემოსულა. როგორც სილვა, ასევე ვილია, „ვალენსიას" ერთგულებას ამჟღავნებენ და გვწამს, მომავალ სეზონს ორივე „მესტალიაზე" გაატარებს",* - ბრძანა ემერმა.

გვერდი მოამზადა
**ილია ბაბუნაშვილმა**

ტრანსფერი

# ჯერ ბენტი, მერე ბენტლი

ალსრულდა! ამიერიდან თავად **დარენ ბენტიც** მოისვენებს, მთელი საფეხბურთო საზოგადოებაც და სპორტული პრესაც - 27 წლის თავდამსხმელი „ტოტენჰემ ჰოთსპურიდან" „სანდერლენდში" გადავიდა. გახსოვთ, ამ ტრანსფერის გარშემო რა ამბავი იყო ატეხილი? ლონდონელებს ბენტში თავიდან 16,5 მილიონი ფუნტის აღება უნდოდათ, რადგან 2007-ში „ჩარლტონ ატლეტიკისგან" სწორედ ამ ფასად ჰყავდათ ნაყიდი. ამ საქმიდან რომ არაფერი გამოვიდა, „სფურზი" იძულებული გახდა დაეთმო და, როგორც გვატყობინებდნენ, „სანდერლენდს" 15 მილიონ ფუნტზე მოურიგდა - სწორედ მაშინ ჩამოსვეს ფეხბურთელი ლონდონპეკინის რეისიდან, სადაც ტოტენჰემელ თანაგუნდელებთან ერთად მიფრინავდა. მაგრამ შემდეგ გამოჩნდნენ „სტოკ სიტი" და „ჰალ სიტი", რომელთაც აგრეთვე მოინდომეს თვითმფრინავიდან ჩამოსმული თავდამსხმელის შეძენა და „სფურზმაც" ვაჭრობა ახალი ძალით გაახურა. ერთი სიტყვით, ლონდონური გუნდის თავმჯდომარე **დევიდ ლივი** ყველა ღონეს ხმარობდა, რათა ბენტის ფასი ისევ 16,5 მილიონამდე აეწია, მაგრამ, როგორც ირკვევა ჩაფლავდა და თავდამსხმელი „სანდერლენდს"... 12 მილიონ ფუნტად მიჰყიდა. მოდი და გაიგე, რა ხდება.

ასე და ამგვარად, დარენ ბენტი სანდერლენდის „სინათლის" სტადიონზე მომავალ სეზონში **ჯიბრილ სისეს** შეცვლის - ფრანგი კლუბს მაისში გამოეთხოვა. ახლა, როდესაც ბენტი თავისთან დაიგულა, სანდერლენდელთა მწვრთნელი **სტივ ბრიუსი** „უიგანიდან" 21 წლის გლადიატორი ნახევარმცველის, **ლი კეტირმოლის** გადაბირებასაც შეეცდება, თუმცა, წესით, ეს იოლი საქმე არ უნდა იყოს, რადგან ამ „კაციჭამიას" ყიდვა „ლივერპულსაც" სურს.

სხვათა შორის, ბრიუსი „ტოტენჰემში" კიდევ უმიზნებს ვილაც-ვილაცებს, მაგალითად, **დევიდ ბენტლის** და **მაიკლ დოუსონს**.


დარენ ბენტი კატებში მოხვდა




პრემიერლიგური ცხოვრება



რიო ფერდინანდის საცხოვრისი ყველას სჯობსო...

# ზღაპარახდენილები

ამიერიდან „მანჩესტერ სიტიში" გადასული არგენტინელი თავდამსხმელი, **კარლოს ტევესი** რომ იტყვის, აბა, ბიჭებო, სახლში წავედიო, 3.7-მილიონიან გამაოგნებელ ფეშენებელურ ეზო-კარს იგულისხმებს. ოღონდ, ეგ არის, ფეხბურთელმა „სახლს" ჯერ გამოსაცდელი ვადა დაუნიშნა - ტევესია და გუნება. 25 წლის ვარსკვლავი, რომლის ხელფასი კვირაში 120 ათას ფუნტზე მეტია, ამ ეზო-კარს ქირაობს. სახლში ხუთი საძილე ოთახია (ინგლისელებს საცხოვრებლის დახასიათება საძინებლების რაოდენობით უყვართ), ის მანჩესტერიდან 19 კილომეტრში, ჩეშირში, ოლდერლი ეჯში მდებარეობს - წარმტაცი და ცნობილი ადგილია. აი, ასეთ ადგილას ამოყო თავი ტევესმა მეუღლე **ვანესასთან** და პატარა **ფლორენსიასთან** ერთად მას მერე, რაც „იუნაიტედიდან" თავქუდმოგლეჯილი გაიქცა და ქალაქ მანჩესტერის მეორე, ნაკლებად ძლიერ, მაგრამ მეტად ფულიან გუნდს შეაფარა თავი.

ეზო-კარი დაახლოებით ნახევარი აკრის ფართობზეა გაშენებული, სადაც უშუალოდ საცხოვრებელი სახლის გარდა არის საცურაო აუზი, სპორტული და თქვენ წარმოიდგინეთ საპრესკონფერენციო დარბაზიც კი... ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, სასახლის კლასია.

*„აქ ცხოვრება კარლოსისთვის ახდენილ ზღაპარს ჰგავს, - უთხრა ჟურნალისტებს მისმა ერთ-ერთმა მეგობარმა, - აქ, ყველაფერია, რათა ის ცხოვრებით კმაყოფილი იყოს და კარგი დრო ატაროს".*

კი მაგრამ, დალოცვილი და ზღაპარახდენილი ტევესი „მანჩესტერ იუნაიტედში" რომ დარჩენილიყო, ასეთ მდიდრულ სახლში ვერ იცხოვრებდა? - ჩნდება უნებლიეთ კითხვა. ამ კითხვაზე პასუხს ჩვენ ვერ გაგცემთ, რადგან, ის, რაც არგენტინელმა „სიტიში" გადასვლის შემდეგ შეძლო, ალბათ, რაიმეთი განსხვავდება იმისგან, რასაც „იუნაიტედში" ახერხებდა - სავარაუდოდ, მსოფლიოს ღარიბი მოსახლეობისთვის გაუგებარ განსხვავებაზე ვლაპარაკობთ - თუმცა მოდი, „იუნაიტედის" წევრთა საცხოვრებლებს გაგაცნობთ, შეფასებით კი თქვენ თავად შეაფასეთ.

როგორც ინგლისური ტაბლოიდები წერენ, „მანჩესტერ იუნაიტედის" ყველა თაობის ფეხბურთელები ცდილობენ ისეთი სახლები შეიძინონ, მათ სიმდიდრეს ხაზს რომ გაუსვამს და ამაში სხვებს თურმე **რიო ფერდინანდი** სჯობნის. მისი 5-მილიონიანი „სახლი" პრემიერლიგაში უძვირეს-უძვირფასესი ყოფილა. სამფრთიანი საცხოვრებელი, რომელშიც საცოლესთან, **რებეკა ელისონთან** და ორ ვაჟთან ერთად ცხოვრობს, შვიდსაძინებლიანი გახლავთ.

ფრიად შთამბეჭდავი ბუდე მოუწყვია **რაიან გიგზსაც**. ფასითაც ახლოსაა ფერდინანდთან, 4.5 მილიონი ფუნტი ღირს, ზომითაც ფერდინანდის საცხოვრებლის ხელაა, კოხტად ჩასმულ-ჩამალული შიდა ეზოც ამშვენებს, მაგრამ ერთი ნაკლი აქვს და ვერ გაექცევი: გიგზის საცხოვრებელი მანჩესტერის შემოგარენშია, იქვე, ახლოს... უფრო გასაგებად (ყოველ შემთხვევაში, ინგლისელებისთვის უფრო გასაგებად) რომ ვთქვათ, პრესტიჟული საფოსტო ინდექსი არ აქვს. სხვა საქმეა, რომ ყველაფერზე ჩასაფრებულ ყვითელ პრესას ერთხელაც არ გაუგია, რაიანის ცოლს, **სტეისის** ან შვილებს, **ლიბერტისა** და **ზაკს**, უბნის გამო ოჯახის უფროსთან პრეტენზია გამოეთქვათ.

კიდევ, 4.2-მილიონიანი ეზო-კარი **მაიკლ ქერიკის** ცხოვრებას ამშვენებს. მისი საცხოვრებელიც სადღაც ტევესის ახალი სახლის სიახლოვეს, ჩეშირშია. ქერიკსაც შვიდი საძინებელი აქვს, ცხოვრებით კი ამ უშველებელ ტერიტორიაზე მეუღლე **ლაიზასა** და ახალშობილ გოგონასთან ერთად ცხოვრობს. მიაქციეთ ყურადღება, ქერიკის სახლის აღწერაში ბიბლიოთეკა ფიგურირებს... დანარჩენი კი ჩვეულებრივია: სპორტდარბაზი, საცურაო აუზი და ასე შემდეგ.

**კრისტიანო რონალდოზე** კი აღარაფერს ვიტყვით, იმიტომ რომ „რეალში" გადავიდა. თუმცა, არა... მაინც შეიძლება ერთი რამის აღნიშვნა. თავის დროზე პორტუგალიელმა 4 მილიონ ფუნტად ეზო-კარი რომ შეიძინა, იქ ჩადგმულ სახლს ბულდოზერი მიაყენა, ყველაფერი გადათელა და, როგორც მეზობლები ამბობენ, საშინლად უგემოვნო რაღაც ააგო.

სერ **ალექს ფერგიუსონის** ჩეშირული სახლი კი „მხოლოდ" 2 მილიონი ღირს.

გვერდი მოამზადა
**ილია ბაბუნაშვილმა**


კარლოს ტევესი ამ სახლს ჯერჯერობით ქირაობს


არც რაიან გიგზის ბუდეა ნაკლები


აქ ცხოვრობს სერ ალექს ფერგიუსონი, რომლის სახლიც მხოლოდ... 2 მილიონი ფუნტი ღირს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლაციო




# რას მოიტანს კრუსი?

## ლედესმა, სავარაუდოდ, წავა...

რომის „ლაციოში“ გადასული **ხულიო კრუსი** თავს ბედნიერად გრძნობს და აცხადებს, რომ „ბიანკოჩელესტეში“ ახალი გამოწვევები ელის, რომლებსაც წარმატებით გაუმკლავდება. არგენტინელი შანსს არ უშვებს ხელიდან, რომ კლუბის პრეზიდენტის მიმართ საქებარი სიტყვები არ თქვას. გუშინ, ის „გაძეტა დელო სპორტის“ ჟურნალისტს გაესაუბრა:

„ბედნიერი ვარ, რომ ასეთ დიდ გუნდში ასპარეზობის საშუალება მომეცა. „ბიანკოჩელესტეში“ ასპარეზობა ყოველთვის მსურდა და ეს ოცნება ამიხდა კიდეც. კარგად მახსოვს ბრწყინვალე „ლაციო“, რომელმაც სკუდეტო მოიპოვა. ჩემი აზრით, ის გუნდი ყველაზე სანახაობრივ ფეხბურთს თამაშობდა ბოლო ათი-თხუთმეტი წლის განმავლობაში იტალიურ ფეხბურთში. ჩემი პირველი მიზანი გულშემატკივრების სიყვარულის და პატივისცემის მოპოვება იქნება. გუნდისთვის ბოლომდე დავიხარჯები და გპირდებით, რომ გოლებსაც საკმარისად გავიტან. მართალია, ვეტერან ფეხბურთელად ვითვლები, მაგრამ ძალა ჯერ კიდევ მერჩის. ვგრძნობ, რომ „ლაციოს“ ახალ სიმაღლეზე ავიყვან და კლუბის წინაშე ვალს მოვიხდი. სწორედ ასე მინდა გადავუხადო მადლობა კლაუდიო ლოტიტოს, რომელმაც ნდობა გამომიცხადა. მას უდიდესი სურვილი ჰქონდა, რომ კარიერა სწორედ „ბიანკოჩელესტეში“ გამეგრძელებინა. მადლობა პრეზიდენტს, დანარჩენს კი მოედანზე ვიტყვი“.

იტალიელი ჟურნალისტები კრუსს საკმაოდ კარგ შენაძენად მიიჩნევენ და **ლოტიტოს** ამ ნაბიჯის გამო აქებენ კიდეც. ხულიო კარგი გოლეადორია და ამას ყოველწლიურად ამტკიცებს. მისი გადაბირება „ლაციოს“ გარდა, კიდევ რამდენიმე იტალიურ კლუბს სურდა, მათ შორის, „ბოლონიას“, სადაც არგენტინელი თავის დროზე დიდი წარმატებით ასპარეზობდა.

კიდევ ერთი ინფორმაცია, რომელიც „ლაციოს“ გულშემატკივრებს დააინტერესებთ, **კრისტიან ლედესმას** ეხება. არგენტინელი ნახევარმცველი კლუბის გამოცვლას აპირებს - როგორც თვითონ განაცხადა, „ბიანკოჩელესტეში“ ასპარეზობა აღარ სურს. ჟურნალისტებს ჯერჯერობით არ აქვთ ინფორმაცია, თუ რატომ აიცრუა გული კრისტიანმა რომაულ კლუბზე. უახლოეს დღეებში ლედესმა „ლაციოს“ მესვეურებთან აპირებს შეხვედრას, რომ მის გასხვისებაზე კიდევ ერთხელ დაელაპარაკოს. **კლაუდიო ლოტიტომ** არაერთხელ განაცხადა, რომ ვისაც მის გუნდში ასპარეზობა არ სურს, შეუძლია სხვაგან წავიდეს, რადგან იძულების წესით „ბიანკოჩელესტეში“ არავინ არავის აჩერებს. შესაბამისად, პრობლემები არც არგენტინელს შეექმნება, მთავარია კლუბი გამოჩნდეს, რომელიც მასში ათ მილიონ ევროს გადაიხდის. დიახ, სწორედ ამდენს ითხოვენ რომაელები ერთ-ერთ წამყვან ფეხბურთელში.

იტალიელ ჟურნალისტთა ცნობით, ლედესმას შეძენის სურვილი უკვე გამოთქვეს „პალერმომ“ და „ფიორენტინამ“. სიცილიური კლუბის სპორტულმა დირექტორმა **ვალტერ საბატინიმ** ამ საკითხზე კომენტარი გააკეთა: „ლედესმას შეძენის დიდი სურვილი გვაქვს და ამ მიმართულებით აქტიურად ვმუშაობთ. უახლოეს დღეებში „ლაციოს“ მესვეურებს შევხვდებით და ყველაფერზე დავილაპარაკებთ. მომავალ სეზონში დიდი მიზნები გვაქვს და გაძლიერება გვესაჭიროება. ჩვენი გუნდის მწვრთნელი, ვალტერ ძენგა სკუდეტოს უმიზნებს – ასე რომ, მას ფეხი უნდა ავუწყოთ და მხოლოდ კვალიფიციური ფეხბურთელები გადავიბიროთ“.

რაც შეეხება „ფიორენტინას“, ამ გუნდს **ფელიპე მელოს** სახით დიდი ძალა გამოაკლდა და დანაკლისს შევსება სჭირდება. ბრაზილიელი მოედნის ცენტრში ირჯებოდა, ისევე როგორც ლედესმა და ფლორენციელთა ინტერესი არგენტინელისადმი სავსებით ლოგიკურია. თავად ფეხბურთელს ჯერჯერობით არ უთქვამს, თუ სად სურს კარიერის გაგრძელება. არ არის გამორიცხული, „ვიოლას“ და „პალერმოს“ ვარიანტები იუაროს და უფრო ამბიციური კლუბების შეთავაზებას დაელოდოს.

**ლაშა ნიკლაური**

ინტერვიუ

იოახიმ ლიოვი

# ახლა ექსპერიმენტების დრო არ არის

## ბუნდესმწვრთნელის თანამდებობაზე, რაც შეიძლება დიდხანს...

**12 აგვისტოს გერმანიის ნაკრები აზერბაიჯანს ეთამაშება და როგორც ხედავთ, ბუნდესმწვრთნელ იოახიმ ლიოვს ბევრი დრო აღარ დარჩა. მართალია, აზერბაიჯანის დარ გუნდთან გერმანიის წაფორხილება წარმოუდგენელია, მაგრამ მაინც: იოგი ფრთხილად უნდა იყოს. გერმანიაში სეზონი ჯერ არ დაწყებულა და ფეხბურთელებიც საუკეთესო ფორმაში არ არიან. „კიკერმა“ ლიოვს საკმაოდ ვრცელი და საინტერესო ინტერვიუ ჩამოართვა.**

**- ჰერ ლიოვ, მსოფლიოს ჩემპიონატისწინა სეზონი იწყება და საინტერესოა, როგორია თქვენი დევიზი?**

- კონკრეტული დევიზი არ გვაქვს. უახლოესი თვეების განმავლობაში ჩვენი კონცენტრაცია მხოლოდ მუნდიალის შესარჩევი მატჩებისკენ იქნება მიმართული. უპირველესი პრიორიტეტი სწორედ ამ შეხვედრების მოგებაა. განსაკუთრებით 10 ოქტომბრისთვის ვემზადებით: ამ დღეს რუსეთის ნაკრებს ვსტუმრობთ.

**- 12 აგვისტოს აზერბაიჯანს ხვდებით, ხუთშაბათს კი შემადგენლობა უნდა დაასახელოთ. რა კრიტერიუმებით შეარჩევთ ფეხბურთელებს ისეთ ფაზაში, როცა სეზონი ჯერ კიდევ არ არის დაწყებული?**

- ყველა კლუბის სამზადისის შესახებ ამომწურავი ცნობები გვაქვს. შესაბამისად, კარგად ვიცი, რომელი კანდიდატი როგორ ფორმაშია.

**- ბუნდესგუნდში ახალ სახეებს ხომ არ უნდა ველოდეთ? მაგალითად, ხომ არ აპირებთ რამდენიმე ფეხბურთელის აყვანას ახალგაზრდული ნაკრებიდან, რომელიც ევროპის ჩემპიონი გახდა?**

- ფაქტია, რომ გაფართოებულ სიაში რამდენიმე მათგანი ფიგურირებს. მაგალითად, მარკო მარინი, ანდრეას ბეკი, მესუთ იოზილი და მანუელ ნოიერი. მაგრამ ახლა ექსპერიმენტების დრო ნამდვილად არ არის. ბაქოში მატჩისთვის მოსამზადებლად მხოლოდ ორი-სამი დღე გვექნება.

**- აზერბაიჯანის ნაკრებმა, რომელსაც ბერტი ფოგტსი წვრთნის, ხუთ მატჩში ხუთი გოლი გაუშვა და ჯერ არც ერთი გაუტანია, ოთხი წააგო და ერთი ფრედ დაასრულა. მოკლედ, ყველა ლოგიკის მიხედვით ეს თამაში გერმანიამ 1:0 უნდა მოიგოს...**

- ასეთ მატჩებში გერმანიის ნაკრების დარი გუნდებისთვის ყველაზე მთავარი მენტალური მზადყოფნაა. საკმარისია, ოდნავ მოეშვა, რომ დიდი შანსია, დაისაჯო. ჩვენ არ უნდა ვიფიქროთ, რომ აზერბაიჯანის ნაკრებს იოლად დავამარცხებთ, თორემ ფოგტსი ისეთი მწვრთნელია, რაც უნდა სუსტ გუნდს წვრთნიდეს, მის შეგირდებს ყოველთვის ექნებათ სასწაულის მოხდენის პოტენციალი. თუ მოვეშვებით, აზერბაიჯანისა და გერმანიის ნაკრებ გუნდებს შორის დიდი სხვაობა აღარ იქნება.

**- მიხაელ ბალაკი შეძლებს თამაშს?**

- მიხაელს გასულ კვირას ვესაუბრე. მისი გამოჯანმრთელების პროცესი კარგად მიდის. ამ დღეებში კიდევ დავურეკავ.

**- ანუ, გამორიცხული არ არის, რომ ითამაშოს?**

- არა და იმედი მაქვს, რომ მომავალ ოთხშაბათამდე მწყობრში იქნება.

**- ბუნდესგუნდის რამდენიმე წევრმა კლუბი შეიცვალა. მაგალითად, მარიო გომესი „შტუტგარტიდან“ „ბაიერნში“ გადავიდა. თქვენი აზრით, სწორი ნაბიჯი გადადგა?**

- მიმაჩნია, რომ ეს ლოგიკური ნაბიჯი იყო. „შტუტგარტში“ გომესმა თავისი შესაძლებლობები უკვე ამოწურა. მას შვაბური კლუბის ძირითად შემადგენლობაში ადგილი გარანტირებული ჰქონდა და უამრავი გოლი გაჰქონდა. ახლა კი, ერთი საფეხურით ამაღლდა და მართალია იცის, რომ შეიძლება, ყოველთვის სასტარტო შემადგენლობაში ვერ ითამაშოს, მაგრამ სამაგიეროდ, ეს მისთვის ახალ გამოწვევას, მოტივაციის მომატებას ნიშნავს, რაც ასეთ ასაკში მყოფი ფეხბურთელისთვის ძალიან მნიშვნელოვანია. „ბაიერნს“ ოთხი უმაღლესი კლასის ცენტრფორვარდი ჰყავს და ვფიქრობ, გომესს კონკურენცია სასიკეთოდ წაადგება.

**- თავის დროზე, ლუკას პოდოლსკიზეც ასე ამბობდნენ, მაგრამ ყველამ ვნახეთ, რომ პოლდიმ მიუნხენში ვერაფერი გააწყო და ახლა ისევ „კიოლნში“ დაბრუნდა, სადაც ძირითადში თამაში გარანტირებული ექნება, მაგრამ ჩემპიონობისთვის ვერ იბრძოლებს და ველარც ჩემპიონთა ლიგაში იასპარეზებს...**

- პოდოლსკისა და გომესის შედარება შეუძლებელია. ისინი ერთმანეთისგან ძალიან განსხვავდებიან. პოდოლსკი ემოციური პიროვნებაა, მას მწვრთნელისგან ნდობა და ისეთი გარემო სჭირდება, სადაც თავს ისე იგრძნობს, როგორც თევზი წყალში. „ბაიერნში“ კი ასეთი გარემო არასდროს ყოფილა. ლუკასს მეც ვურჩიე, „კიოლნში“ დაბრუნდიმეთქი. „ბაიერნში“ სამი წლის განმავლობაში სკამს ახეხინებდნენ და მიუნხენში დარჩენას რაღა აზრი ჰქონდა?

**- „ბაიერნში“ იმედები ვერც ტიმ ბოროვსკიმ გაამართლა და ისიც „ვერდერში“ დაბრუნდა. ამ უკანასკნელს აქვს იმის შანსი, რომ გერმანიის ნაკრებში ითამაშოს?**

- ბოროვსკიც გაფართოებულ სიაშია. თუ „ვერდერში“ ძველებურად ათამაშდება, შანსს აუცილებლად მივცემ.

**- როგორ ფიქრობთ, მარკო მარინი „ვერდერში“ ადგილს დაიმკვიდრებს?**

- ახალგაზრდა ფეხბურთელები ბრემენში ყოველთვის იმკვიდრებენ ხოლმე ადგილს. მარინი ძალიან ნიჭიერი ფეხბურთელია და ვიცი, რომ თომას შაფს ის იმიტომ არ შეუძენია, სკამზე რომ დასვას. მარკო ნიჭიერი კი არის, მაგრამ ჯერ არ არის დალვინებული ფეხბურთელი. ვიმედოვნებ, რომ ის სწორედ ბრემენში დალვინდება.

**- ბერნდ შნაიდერი იძულებული გახდა, კარიერა დაესრულებინა...**

- ...რაზეც ძალიან დამწყდა გული. „შნიქსი“ ისეთი ფეხბურთელი იყო, როგორსაც ნებისმიერი მწვრთნელი ინატრებდა. ზოგადად მე, ტექნიკური ფეხბურთელებისა და ფეხბურთის თამაშის ინტელიგენტური სტილის მოყვარული ვარ და შნაიდერი ჩემთვის იდეალური ფეხბურთელი იყო. როცა შევიტყვე, რომ ბერნდი იძულებული იყო, კარიერა დაესრულებინა, ძალიან მეტკინა გული. მის წაყვანას ევროპის ჩემპიონატზეც ვაპირებდი, მაგრამ ტრავმა მიიღო და ვერ წამოვიდა. შნაიდერი ნამდვილად იმსახურებდა მსოფლიოს ჩემპიონატზე თამაშსაც და ძალიან სამწუხაროა, რომ ფეხბურთიდან ასე წავიდა.

**- რა კომენტარს გაუკეთებდით იმ ფაქტს, რომ ჯერმეინ ჯონსი ამერიკის ნაკრებში ითამაშებს?**

- თუ ჯონსი ფიქრობს, რომ ასე უნდა მოქცეულიყო, მაშინ მისი გადაწყვეტილება ჩემთვის აბსოლუტურად მისაღებია. თუმცა მიმაჩნია, რომ ფიფას ახალი წესი არასწორია. თუკი ჯერმეინს მიაჩნია, რომ უნდა ითამაშოს იმ ქვეყნის დროშის ქვეშ, რომელთანაც დიდი კავშირები არ აქვს, მე მას ყოველივე კარგს ვუსურვებ. საბედნიეროდ, მის პოზიციაზე რამდენიმე ძალიან კარგი, გაცილებით უკეთესი ფეხბურთელი გვყავს. ამიტომაცაა, ჯონსი ჩემთვის პირველი არჩევანი რომ არ იყო. ტორსტენ ფრინგსი, თომას ჰიტცლშპერგერი, სიმონ როლფესი, სამი ხედირა - საყრდენ ნახევარმცველებში ნამდვილად არ გვიჭირს.

**- რამდენიმე დღის წინათ ოლივერ ბირჰოფმა განაცხადა, გერმანიას მსოფლიო დონის ვარსკვლავები არ ჰყავსო...**

- ჩემი აზრით, ეს ჟურნალისტის ფანტაზიის ნაყოფი იყო. ბირჰოფი უბრალოდ იმაზე ლაპარაკობდა, რომ 1990 წელს, როცა ჩვენ უკანასკნელად გავხდით მსოფლიოს ჩემპიონები, რამდენიმე გერმანელი ფეხბურთელი საერთაშორისო დონეზე, ტოპკლუბებში თამაშობდა. სამაგიეროდ, დღეს გერმანულ ფეხბურთს მსოფლიოში საუკეთესო ინფრასტრუქტურა აქვს. გერმანული კლუბები ფინანსურად ჯანმრთელები არიან. სხვა მხრივ, ნამდვილად არ მიმაჩნია პრობლემატურად ის საკითხი, რომ გერმანიის ნაკრების წამყვანი ფეხბურთელები გერმანულ კლუბებში თამაშობენ და არა „რეალში“, „ბარსელონაში“ ან „მანჩესტერში“.

**- ამას წინათ მათიას ზამერთან მოგივიდათ კამათი...**

- პრობლემა ამოწურულია.

**- ამბობენ, ზამერი გერმანიის ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტისთვის იბრძვისო...**

- დამერწმუნეთ, მათიასს ნამდვილად არ აქვს ასეთი ამბიცია.

**- თქვენ როდის აგრძელებთ გერმანიის საფეხბურთო კავშირთან კონტრაქტს, ან აგრძელებთ კი საერთოდ?**

- ალბათ შემოდგომაზე დავილაპარაკებთ. ასე იყო 2007 წელსაც: ოქტომბერში შევთანხმდით, რომ მუშაობას ევროპის ჩემპიონატის შემდეგაც გავაგრძელებდი. ცხადია, მოვა დრო, როცა სხვა რამე მომინდება, მაგრამ დღესდღეობით ბუნდესმწვრთნელის თანამდებობაზე თავს ისე კარგად ვგრძნობ, რომ მინდა, ამ პოსტზე დიდხანს დავრჩე. გერმანიის ნაკრების მთავარი მწვრთნელობა უდიდეს სიამოვნებას მანიჭებს.

**- რა მოხდება, შესარჩევი ციკლის ჯგუფში პირველი ადგილი რუსეთის ნაკრებმა რომ დაიკავოს და გერმანიას პლეი ოფში მოუხდეს მუნდიალის საგზურისთვის ბრძოლა?**

- ეს ამბავი უდიდეს სტრესს გამოიწვევს და ძალიან გვინდა, რომ ასეთი რამ არ მოხდეს. თუმცა, ჩემი აზრით, არ უნდა გამოვრიცხოთ ის, რომ მეორე ადგილზე გავიდეთ - რუსეთის სახით ხომ ძალიან ძლიერი კონკურენტი გვყავს. მაგრამ მჯერა, რომ პირველ ადგილს დავიკავებთ.

**გოტფრიდ ლენცი**



გერმანიის ნაკრების მთავარი მწვრთნელი იოახიმ ლიოვი

თავისუფალი ჭიდაობა — პოლონეთის ტურნირი

# მინდორაშვილი საეჭვოა

12 აგვისტოს საქართველოს თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ნაკრები ვარშავაში ასეთი შემადგენლობით გაემგზავრება: **ბესარიონ გოჩაშვილი** (55), **მალხაზ ზარქუა** (60), **ოთარ თუშიშვილი** და **მალხაზ მუზიაშვილი** (66), **გელა სალირაშვილი** და **გოჩა ლომთათიძე** (74), **ლერი ქეთიშვილი** (84), **გიორგი გოგშელიძე** (96), **ლექსო მოდებაძე** (120). გუნდი მსოფლიოს პირველობისთვის მზადების მიზნით 13-14 აგვისტოს ციოლკოვსკის სახელობის საერთაშორისო ტურნირში იჭიდავებს. ნაკრები ამჟამად ბათუმშია შეკრებაზე, რომელსაც 11-ში დაამთავრებს და მეორე დღესვე პოლონეთში გაემგზავრება.

ეს ტურნირი 21-27 სექტემბერს დანიურ ჰერნინგში გასამართი მსოფლიოს ჩემპიონატისთვის ბოლო შესარჩევი შეჯიბრებაა. რამდენიმე დღის წინ ნაკრების წევრთა ნაწილმა ბაქოში „ოქროს დიდი პრიზის" ფინალურ შეჯიბრებაზე იჭიდავა და ნაკრების მწვრთნელთათვის გარკვეული სურათი უკვე გამოიკვეთა. ბაქოში ნანახი ვარშავის ამბებით შეივსება და, სავარაუდოდ, იქიდან დაბრუნებულ **ზაზა თურმანიძეს** დანიაში წასაყვანი ხალხი უკვე შერჩეული ეყოლება. თუმცა, ალბათ, გუნდში ინტრიგის შესანარჩუნებლად მათი დასახელებისგან ბოლო შეკრებამდე მაინც თავს შეიკავებს.

თურმანიძემ ვარშავაში წასაყვანი ხალხი საშეჯიბრო პრაქტიკის გათვალისწინებით შეარჩია - შანსი იმათ მისცა, ვისაც ბაქოში არ უჭიდავია. მიზეზთა გამო, ისე გამოვიდა, რომ ნაკრების ლიდერებმა ანუ მსოფლიოს პირველობაზე წასვლის ძირითადმა კანდიდატებმა სავარშავო გუნდში მოიყარეს თავი. ამას კონკრეტული მიზეზი გააჩნია - ლიდერებს წლეულს თითქმის არსად უჭიდავიათ, მათ შორის, არც „ოქროს დიდი პრიზის" ფინალური ტურნირის შესარჩევ შეჯიბრებებში და, შესაბამისად, არც ბაქოში გამოსულან. მოკლედ, მათთვის ბოლო შანსად ვარშავა რჩება და სწორედ ამიტომ გვენიშნა ცუდად ევროპის, მსოფლიოსა და ოლიმპიურ ჩემპიონ **რევაზ მინდორაშვილის** (84) პოლონეთში წაუსვლელობა. საყურადღებოა, რომ მან არც ბაქოში იჭიდავა, სადაც პერსონალურად იყო მიწვეული, როგორც ოლიმპიური ჩემპიონი - არ იყო ფორმაში. მსოფლიოს ჩემპიონატზე მხოლოდ იმ შემთხვევაში წავალ, თავს თუ შევატყობ, რომ გამარჯვებისთვის შემიძლია ბრძოლაო, გვითხრა ამას წინათ მინდორაშვილმა. არაფერს ვამტკიცებთ და არ ვამბობთ, რომ დანიაში მისი წასვლა საბოლოოდ გამოირიცხა, მაგრამ პოლონეთის ტურნირს გამოკლება ამის წინაპირობა გვგონია. სხვა თუ არაფერი, საშეჯიბრო პრაქტიკა არ ექნება და ვეჭვობთ, მსოფლიოს ჩემპიონატზე ასე მოუმზადებელი წაიყვანონ. არ გამოვრიცხავთ, ამ წონაში მსოფლიოზე ქეთიშვილმა იჭიდაოს, მაგრამ ასეც რომ მოხდეს, დანიაში ძმების დუელი გამორიცხულია. მოგეხსენებათ, მისი უმცროსი ძმა, ევროპის ორგზის და მსოფლიოს ჩემპიონი, ოლიმპიური პრიზიორი **გიორგი კეტოევი** რუსეთის სახელით ჭიდაობს, მაგრამ, ჯერ ერთი, წლეულს 96-ში გადაბარგდა და მეორეც - იქაურ პირველობაზე მხოლოდ ბრინჯაო მოიპოვა და დანიაში წასვლაც გამორიცხულია. აქამდე ძმებმა უმთავრეს ტურნირზე ერთადერთხელ იჭიდავეს ერთად - 2007 წელს სოფიაში გამართულ ევროპის ჩემპიონატზე, სადაც კეტოევი ჩემპიონი გახდა და თავის სახელოვან კარიერას დაუდო სათავე, ქეთიშვილი კი ადრევე გავარდა. ძმები მაშინ ერთმანეთს არ შეხვედრიან.

ჩვენი ნაკრების სხვა ლიდერებიდან გოგშელიძისა და თუშიშვილის გამოჩენას გამოვარჩევთ. ეტყობა, მსოფლიოს პირველობისთვის ორივე სერიოზულად ემზადება. როგორც მწვრთნელები ამბობენ, გოგშელიძემ ნაყოფიერად ივარჯიშა სომხურ წახკაძორში, პირველ შეკრებაზე და ამ ეტაპისთვის რაც მოეთხოვება, ნამდვილად კარგ ფორმაშია. საინტერესო კონკურენციაა მოსალოდნელი 66-ში მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონსა და ოლიმპიურ პრიზიორს, გამოცდილ თუშიშვილსა და ახალგაზრდა მუზიაშვილს შორის, რომელმაც წლევანდელ ევროპირველობაზე დამაჯერებელი ჭიდაობით მოიპოვა ბრინჯაო.

დასასრულს, შეგახსენებთ, რომ პოლონეთიდან დაბრუნებული ნაკრები ბორჯომში გაემგზავრება და დანიაში წასვლამდე ორ შეკრებას იქ გამართავს.

**ირაკლი თავაძე**

ჭიდაობა ჩვენი. ქართული...



# თიანეთობა–ქართბენი

## სამშობლოს სული და სურნელი: ართგენი, სპორტგენი და ხინკლის ოხშივარი

თიანეთის შუაგულში, კუშბალად წოდებულ სავანეში გასულ უქმეებზე მივიწყებული სახალხო ზეიმი „თიანეთობა" გაიმართა. უამრავი სტუმარი ირეოდა კუშბალის უზარმაზარ მინდორზე. კაფიაობა, ხინკლის ფესტივალი, დოლი, ცეკვა-სიმღერა, გამოფენები, სახალხო სეირნობა და, რაღა თქმა უნდა, ქართული ჭიდაობა.

ხაშურელმა ძმებმა თანანაშვილებმა როგორც კი ზურნებს ჩაჰბერეს, ქომაგები უმალ ნახერხმოყრილი მოედნისკენ დაიძრნენ. ცოცხალი გალავანი შეკრეს და ხუთი საათის განმავლობაში „საჭიდაოს" ჰანგი მანამდე არ მინელდა, სანამ მსაჯის ბოლო სასტვენის ხმა არ გაისმა.

„თიანეთობის" სახალხო ზეიმზე იმყოფებოდა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე **დავით ბაქრაძე**, რომელმაც კარგა ხანს უცქირა ქართულად მოჭიდავეთა შერკინებებს.

ზეიმს ესწრებოდნენ აგრეთვე ქართული ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტი **უშანგი ყურაშვილი** და ვიცე-პრეზიდენტი **შოთა ჩეკურიშვილი**, რომლებმაც, ჩვეულებისამებრ, თასები გადასცეს გამარჯვებულ სპორტსმენებს. ბუნებრივია, სადაც სპორტული ღონისძიებაა, იქ არის სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის თავმჯდომარე **დავით ნამგალაური**. ასე იყო ამჟამადაც.

„თიანეთობის" ტურნირში ძალებს ცდიდნენ თბილისელი, დუშელი, ახალგორელი, მცხეთელი და თიანეთელი მოჭიდავეები.

ჭიდაობის შემდეგ ფალავნები და სტუმრები ხინკლის ზეიმსაც დაესწრნენ. მათ ამქვეყნიდან წასული გამოჩენილი თიანეთელი ფალავანი სოლკა ბადურაშვილი გაიხსენეს და მისი შესანდობარიც შესვეს.

წონითი კატეგორიების მიხედვით კი „თიანეთობაზე" პირველი ადგილები დაიკავესვეს: **ლაშა ჩადუნელმა** (გალავანი), **ნოდარ ცალუღელაშვილმა** (თიანეთი), **გიგი ჩანადირმა** (გალავანი), **თამაზ ხახიაშვილმა** (თიანეთი), **დავით ტრამაკიძემ** (თბილისი), **ოთარ იარაჯულმა** (თიანეთი), **შმაგი ყაჭიურმა** (დუშეთი) და **გიორგი ბიჩელაშვილმა** (თიანეთი).

ტრადიცია აღდგა. თიანეთს აღარასდროს მოაკლდება ჩოხოსანთა შერკინებები.

**გაბრიელ ბარჯაძე**

# ბექურაშვილი გაიხსენეს

ამ დღეებში თბილისში, ლერი ხაბელოვის ჭიდაობის კლუბში დამთავრდა საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის, ყოფილი საბჭოთა კავშირის სამგზის ჩემპიონ **ნოდარ ბექურაშვილის** ხსოვნის II მემორიალი თავისუფალ ჭიდაობაში 1995-96 წლებში დაბადებულთა შორის. ტურნირმა (მთავარი მსაჯი **იოსებ ბზარაშვილი**), მოზარდთა დიდი ინტერესი გამოიწვია და მასში 13 ნაკრების 100-მდე ნორჩი ფალავანი მონაწილეობდა. შეჯიბრება ახალი საჭიდაო სკოლების წარმოჩენის არენად იქცა. 3-3 ოქრო მასპინძლებმა, ხაბელოვის კლუბის წევრებმა და წყნეთში მდებარე ლუკა კურტანიძის კლუბის წარმომადგენლებმა მოიპოვეს. წყნეთელებმა უფრო მჩატე წონებში იყოჩაღეს. მათგან ჩემპიონები **ნიკა მათიაშვილი** (23კგ), **ლაშა ზუხბაია** (26) და **რატი კილანავა** (29) გახდნენ, მასპინძელთაგან - **ლერი კვიციანი** (42), **ბადრი კურატაშვილი** (46) და **შოთა ბასილაშვილი** (50). ამათ გარდა, ოქროს მედლები ერგოთ **ფახრატ აგაჯანოვს** (32, არაფლო, მარნეული), **ვალერი ფანჩულიძეს** (35, რუსთავი), **სადი რუსტამოვს** (54, კიზილაჯლო, მარნეული), დედოფლისწყაროელებს - **გელა ქოქიაშვილსა** (38) და **თორნიკე დათუკიშვილს** (+95). ბექურაშვილის სახელობის თასი კვიციანს გადაეცა.

**ირაკლი თავაძე**

ჭიდაობა. მსოფლიოს ახალგაზრდული ჩემპიონატი

# ჩვენი ლიდერი მეტოქეთა ბადეში

ანკარაში, იაშარ დოგუს სახელობის დარბაზში მსოფლიოს ახალგაზრდული ჩემპიონატი იწყება. თავდაპირველად მასში ბერძენ-რომაელები ჩაებმებიან, დღეს ხალიჩაზე 50, 60, 74 და 96 კილოგრამი წონითი კატეგორიების ფალავნები გავლენ. 50 კილოგრამ წონით კატეგორიაში ჩვენს ღირსებას ევროპის ჩემპიონ **მინდია წულუკიძის** ნაცვლად საქართველოს წლევანდელი ჩემპიონი **ზურაბ მაჭარაშვილი** იცავს. ის პირველ წრეში ისვენებს, მეორეში კი, შესაძლოა, იმ აზერბაიჯანელ **ხურშუდ ბაბაშოვს** დაეჭიდოს, რომელსაც წულუკიძემ თბილისში, ევროპის პირველობაზე სასტარტო შეხვედრა მოუგო, თუმცა მერე ბაბაშოვმა ბრინჯაო მაინც მოიპოვა. მაგრამ ბაბაშოვმა მეორე წრეში გასასვლელად ირანელ **მოჰამად გორდის** უნდა სძლიოს. მსოფლიოს ჩემპიონატზე არ ჭიდაობს მასპინძელი **ტოლგაჰან კარატასი**, ვისაც წულუკიძემ ევროპირველობის ფინალში მოუგო. მის ნაცვლად ანკარაში **ფერატ ტეკინი** გამოდის, თუმცა ის ჩვენებურს ფინალამდე ვერ შეხვდება. ჩვენდა გასაკვირად, ამ წონაში არც ბულგარელი ევროპის მესამე პრიზიორი **ნიკოლაი ვიჩევია**. მეტიც - ბულგარელებს მონაწილე საერთოდ არა ჰყავთ.

ევროპის წლევანდელი ვიცე-ჩემპიონი **არჩილ თურმანიძე** (60) პირველ წრეში ისვენებს, მეორეში კი უზბეკ **ბარომ მურადოვს** დაეჭიდება. ბადის ამავე ნახევარშია აზერბაიჯანელი **ჰასან ალიევიც**, ვისთანაც თურმანიძემ ევროპის ფინალი წააგო. ევროპირველობისგან განსხვავებით, რუსებმა ანკარაში თითქმის სრულიად შეცვლილი გუნდი ჩაიყვანეს და მათი ბრინჯაოს პრიზიორი, თბილისში თურმანიძისგან დამარცხებული **ვიშხან კაგერმანოვი** არ ჭიდაობს, ევროპის მეორე ბრინჯაოსანი, თურქი **რამან ბილიცი** კი ცხრილის მეორე მხარესაა.

დასაწყისშივე მასპინძელი ერგო მეტოქედ **გოგა აფრიამაშვილს** (74), ოღონდ არა ევროპის წლევანდელი პრიზიორი **მაჰმეთალი კუცუკოსმანი**, არამედ - **საბან კარატასი**. აფრიამაშვილი ისედაც ძლიერ ჯგუფშია - მის მხარესაა კონტინენტის ვიცე-ჩემპიონი, ბულგარელი **ივაილო საიკოვი** და უკრაინელი მესამე პრიზიორი **რუსლან ოლექსენკო**. აქვეა რუსი მოჭიდავეც, ოღონდ არა ევროპის ჩემპიონი **ბილან ნალგიევი**.

ევროპის ჩემპიონი **ვლადიმერ ქარჩავა** (96) კონტინენტის პირველობის მსგავსად, ტურნირს ახლაც ბერძენ **ლეოკრატის კესიდისთან** შეხვედრით იწყებს, ვისაც თბილისში წმინდად მოუგო. არაა გამორიცხული, მეორე შეხვედრაში ისევ რუმინელი **ალინ ალექსუსი** შეხვდეს, რომელიც თბილისში ფინალში ასევე ბეჭებზე დააგდო. ქარჩავას მხარესაა აზერბაიჯანელი მესამე პრიზიორი **საბუჰი ჰუმბატოვი**, აგრეთვე, თურქთა და რუსთა ლიდერები ამ წონაში - **ილმაზ დოგანი** და **ისლამ მაგომედოვი**, რომლებიც ევროპაზე არ აჭიდავეს და მსოფლიოსთვის ინახავდნენ. მოკლედ, ჩვენი გუნდის ლიდერი თავიდანვე უმთავრეს კონკურენტთა ბადეში მოხვდა.

**ირაკლი თავაძე**

ქალთა ძიუდო — საქართველოს პირველობა



სოფო როსტომაშვილმა ორივე ტურნირში გაიმარჯვა

# ქალები და გოგონები: ჰაჯიმე!

გასულ უქმეებზე ლაგოდეხში გაიმართა საქართველოს პირველობა ახალგაზრდა და უფროსი ასაკის ქალ ძიუდოისტთა შორის. მონაწილეობდნენ თბილისის, გორის, დმანისის, ლაგოდეხის, ახმეტის, ყვარლის და აჭარის გუნდები. სულ 100-მდე სპორტსმენი.

გაგაცნობთ გამარჯვებულებს:

**ახალგაზრდები.** 48 კგ — **ცირა აბულაძე** (აჭარა), 52 კგ — **სოფო როსტომაშვილი** (თბილისი), 57 კგ — **მერი ჯაჭვლიანი** (დმანისი), 63 კგ — **სოფო ბერიძე** (აჭარა), 70 კგ — **სალომე წოწკოლაური** (თბილისი), + 70 კგ — **ელენე ქებაძე** (ლაგოდეხი).

**უფროსები.** 48 კგ — **დარინა აბულაძე** (აჭარა), 52 კგ — **სოფო როსტომაშვილი** (თბილისი), 57 კგ — **მაია ტარუაშვილი** (გორი), 63 კგ — **შორენა შარაძე** (აჭარა), 70 კგ — **ნინო ოძელაშვილი** (თბილისი), + 70 კგ — **ირინა ლეონიძე** (აჭარა).

**ვასილ ბალახაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა



კალათბურთი

საქართველოს კადეტთა ნაკრები. B დივიზიონი

# პორტუგალიისკენ პერი, პერი...



პორტუგალიაში გამგზავრებამდე კადეტთა ნაკრები ვლადიმერ სტეფანიამ მოინახულა

საქართველოს 16-წლამდელთა ნაკრები გუშინ პორტუგალიაში გაფრინდა, სადაც ქალაქ მადეირაში (კუნძულ მადერიაში არ აგერიოთ) B დივიზიონიდან ევროპის ჩემპიონატზე მოსახვედრად იბრძოლებს.

**გია კაზანჯიანის** შეგირდებს ჯგუფში ირლანდიის, ინგლისის, ფინეთისა და დანიის წინააღმდეგობის გატეხა მოუწევთ. როგორ შეასრულებენ ამ საქმეს, 10 აგვისტოს ვნახავთ. ჯგუფიდან კი მომდევნო ეტაპზე ორი საუკეთესო გუნდი გადის. შემდეგ იქნება მეორე ჯგუფური ეტაპი, ნახევარფინალი და ფინალი... ორი ფინალისტი გაისად ევროპის ჩემპიონატზე ითამაშებს.

ისევე როგორც ჭაბუკთა და ახალგაზრდული ნაკრებები, კადეტებიც აკადემიის დარბაზში მოემზადნენ. ისინი 15 ივნისს შეიკრიბნენ. თავიდან 20-კაციანი შემადგენლობით ვარჯიშობდნენ, რომელიც საბოლოოდ თორმეტამდე შემცირდა. პორტუგალიაში გამგზავრებული გუნდის შემადგენლობას ქვემოთ გაეცნობით, აქ კი შეგახსენებთ, რომ 16-წლამდელებმა წლეულს ესპანეთის და თურქეთის საერთაშორისო ტურნირებზე იასპარეზეს, ხოლო გენერალური რეპეტიცია უკრაინაში გაიარეს, სადაც ელიტის ბინადარ უკრაინელებს სამიდან ორი მატჩი მოუგეს. თუმცა ეს გამარჯვებები B დივიზიონში საუკეთესოობას არ ნიშნავს. ქართველებს ჯგუფშიც სერიოზული კონკურენტები ეყოლებათ და ევროპის ჩემპიონატის საგზურის მოპოვებაც ურთულესი იქნება. წლეულს ახალგაზრდებმა გვიჩვენეს, რომ საგზურისთვის ბრძოლა შესაძლებელია, ჭაბუკებმა დაგვანახვეს, რომ ქვედა ლიგაში ბევრს არ ვჯობივართ. ასე რომ, კადეტებისგან საუკეთესო ორ გუნდს შორის მოხვედრას წინასწარ არ უნდა ველოდეთ, თუმცა პატარა იმედი ნამდვილად არის...

16-წლამდელთა მეფარე **ბექა ბურჯანაძე** გამგზავრების წინ იმედიანად საუბრობს:

- პორტუგალიაში კარგად მომზადებულები მივდივართ. სხვა კომპონენტებთან ერთად ფიზიკურადაც კარგად ვგრძნობთ თავს, ამიტომ გვაქვს წარმატებით თამაშის იმედი. მეტოქეებს არ ვიცნობთ, თუმცა წინასწარ შეიძლება ითქვას, რომ ჯგუფიდან გასვლისთვის ჩვენთან ერთად ინგლისი და ფინეთი იბრძოლებენ.

ბექამ იქვე დაამატა, რომ უკრაინაში გამართული სამი თამაში თავდაჯერების შემატებაში გუნდს ძალიან დაეხმარა. მეტოქეს ჩვენზე მაღალი კალათბურთელები ჰყავდა, მაგრამ საწყის შეხვედრებში მაინც დამაჯერებლად მოვუგეთო.

ვიდრე კალენდარსა და შემადგენლობას გაეცნობოდეთ, მთავარი მწვრთნელის, გია კაზანჯიანის ინტერვიუს შემოგთავაზებთ.

- B დივიზიონის მატჩებისთვის მოსამზადებლად ყველა პირობა გვქონდა, რისთვისაც მადლობას ვუხდით ქალაქის მერიასა და კალათბურთის ფედერაციას. მონაწილეობა მივიღეთ ორ ტურნირში, ესპანეთსა და თურქეთში. გენერალური რეპეტიცია უკრაინაში გავიარეთ, ხოლო შეთამაშების მხრივ ძალიან წაგვადგა საქართველოს ჭაბუკთა ჩემპიონატში გამოსვლა.

**- ფიზიკურად როგორ ხართ მომზადებულნი?**

- ტრენაჟორების დარბაზში ვვარჯიშობდით და საერთო ფიზმომზადებაც გავიარეთ. გუნდის ფიზიკური მზადყოფნით უკმაყოფილო არ ვარ.

**- უკრაინაში ამასწინათ გამართულ მატჩებზე რას იტყვით?**

- იმ შეხვედრებმა გვიჩვენა, რომ კარგად თამაში ელიტის გუნდებთანაც შეგვიძლია. ეს კარსმომდგარი შეჯიბრების წინ კალათბურთელებს სითამამეს შემატებს.

**- მეტოქეებს თუ იცნობთ?**

- არც ერთი მოწინააღმდეგის თამაში არ მინახავს. თითოეულ მათგანს შარშანდელი სეზონის შემდეგ სახეცვლილი შემადგენლობა ჰყავს, ამიტომ ძნელია წინასწარ თამამი პროგნოზის გაკეთება. გვგონია, რომ ყველაზე სუსტი ირლანდია იქნება, თუმცა უნდა გავითვალისწინოთ, რომ ჭაბუკებსაც სხვებზე სუსტი შოტლანდია ეგონათ, მაგრამ ეს გუნდი იმაზე გაცილებით ძლიერი გამოდგა, ვიდრე ყველა ვფიქრობდით.

**- ფინეთი და ინგლისი?**

- ჯგუფიდან გასვლის ერთ-ერთი მთავარი პრეტენდენტი ფინეთი უნდა იყოს.

**- და საქართველო...**

- ამ ეტაპზე, ჩვენი მთავარი ამოცანა სწორედ ჯგუფიდან გასვლა იქნება. დანარჩენს მომავალი გვიჩვენებს.

**- 16-წლამდელთა ნაკრებში ნახევარი 1994 წელსაა დაბადებული. ისინი სხვებზე ერთი წლით უმცროსები არიან...**

- 6-დან 4 მათგანი 2 მეტრსაა აცილებული. ორი-სამი 94-იანი სასტარტო ხუთეულის წევრია. სხვათა შორის, უკრაინაში ერთ ეპიზოდში მოედანზე ერთბაშად ხუთი 94-იანი გვყავდა. ამ ეტაპზე 16-წლამდე ასაკში საუკეთესო შემადგენლობა გვყავს შერჩეული. ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ უმცროსები წლეულს გამოცდილებას მიიღებენ და გაისად გაცილებით უკეთესი გუნდი უნდა გვყავდეს.

საქართველოს 16-წლამდელთა ნაკრები:

უკანახაზელები: ოთარ ფხაკაძე (51-ე სკოლა), ირაკლი მიქელაძე (ბათუმი), ბექა ლუდუშაური (მართვე), რეზო როგავა (მართვე IV), ნიკა რამიშვილი (ბათუმი)

ფორვარდები: ლევან ლოლიშვილი (მართვე IV), გეგა მესხი (მართვე IV), ლერი კვანტალიანი (აკადემია), გელა გულმაგარაშვილი (მართვე)

ცენტრები: გიორგი ღვალაძე (აკადემია), ბექა ბურჯანაძე (მართვე I), ბექა ნადირაძე (აკადემია)

მთავარი მწვრთნელი: გია კაზანჯიანი

მწვრთნელის ასისტენტი: არჩილ ჟღენტი

ექიმი: დავით ხარაბაძე

კალენდარი: 6 აგვისტო. საქართველო-ირლანდია; 7 აგვისტო. საქართველო-ინგლისი; 8 აგვისტო. საქართველო-დანია; 10 აგვისტო საქართველო-ფინეთი.

ვაჟა სიმონიშვილი



# სტეფანია გორში: დიდი ძია დიდი სტიმულია

გუშინ გორს **ვლადიმერ სტაფანია** სტუმრობდა. ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის, საქართველოში აშშ-ის საელჩოსა და ნაციონალური საკალათბურთო ასოციაციის ეგიდით გორში პატარა კალათბურთელებისთვის ვლადიმერ სტეფანიამ კემპი გამართა. ცნობილ ქართველ სპორტმენს ამ ღონისძიების ჩატარებაში ყოფილი კალათბურთელები **ერიკ ჰოლმგრენი** და **ბარბარა ტერნერი** ეხმარებოდნენ. კემპი გორის ცენტრალური სასპორტო სკოლის კალათბურთის დარბაზში გაიმართა და მასში ყველა ის პატარა მონაწილეობდა, რომლებიც გორის კალათბურთის სექციებში არიან ჩართულნი. აღსანიშნავია, რომ დარბაზში სტეფანიას სანახავად არა მხოლოდ სპორტის ამ სახეობის ქომაგებმა მოიყარეს თავი.

*„სტეფანიას სტუმრობა გორისთვის ღირსსახსოვარი მოვლენაა. ძალიან დიდი ინტერესი გამოიწვია ჩვენი ცნობილი კალათბურთელის ჩამოსვლამ. პატარებისთვის ეს დიდი სტიმულია სპორტის ამ სახეობით დაინტერესების თვალსაზრისით. დიდი მადლობლები ვართ მათი, ვინც ეს ღონისძიება დაგეგმა და მისი გამართვის ადგილად გორი შეარჩია“* - განაცხადა ჩვენთან საუბარში შიდა ქართლის კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა **ალექსანდრე იაშვილმა.**

ღონისძიების ორგანიზატორებმა პატარა სპორტსმენებს სამახსოვროდ მაისურები და სიგელები გადასცეს. სტეფანიას საკმაო ხანს ავტოგრაფებს არიგებდა და არა მარტო პატარებისთვის.

*„მოგეხსენებათ, ადრე მსგავსი ვარჯიშები ზაზა ფაჩულიამაც გამართა, თუმცა არა გორში. მე აქ ამ ამპლუაში პირველად ვარ და ძალიან კმაყოფილი დავრჩი ბავშვების აქტიურობით. მისასალმებელია, თუ ანალოგიური ღონისძიება ყოველწლიურად გაიმართება ჩვენს ქვეყანაში და მასში ცნობილი სახეები მიიღებენ მონაწილეობას. ვნახე საკალათბურთო დარბაზის მდგომარეობაც და მინდა იმედი ვიქონიო, რომ მომავალში გორელებს უკეთეს დარბაზში მოუწევთ ვარჯიში. საამისოდ საჭიროა ქვეყანაში არსებული ეკონომიკური მდგომარეობის გამოსწორება, მერე კი ალბათ იქნება ნებაც იმისათვის, რომ ბავშვებს გაცილებით უკეთესი დარბაზიც ჰქონდეთ,“* — გვითხრა ვლადიმერ სტეფანიამ.

დღის მეორე ნახევარში სტუმრებმა დევნილი ბავშვებიც მოინახულეს და სამახსოვრო საჩუქრები მათაც გადასცეს.

ღონისძიების ორგანიზატორები უახლოეს დღეებში ბათუმსა და ქუთაისს ეწვევიან.

ვასილ ბალახაძე
გორიდან




რაგბი

ლეგიონერები

# ორი ქართველი, ორივე ძირითადში



საფრანგეთის ჩემპიონატისთვის მზადებას განაგრძობს საქართველოს ეროვნული ნაკრების მესამეხაზელების **გიორგი ჩხაიძისა და მამუკა გორგოძის** „მონპელიე“. ჩვენებურთა გუნდმა გუშინ საწვრთნელი შეხვედრა გამართა მიოში, ინგლისურ „სეილ შარკსთან“ და 12:5 გაიმარჯვა.

„მონპელიეს“ რიგები სეზონებს შორის შესვენებაზე გუნდის ლიდერმა, საფრანგეთის ნაკრების რვა ნომერმა **ლუი პიკამოლმა** დატოვა. ახლა მის პოზიციაზე პრეტენზიას ორივე ქართველი აცხადებს. „სეილ შარკსთან“ შეხვედრაში ორივე ძირითად შემადგენლობაში იყო. გორგოძე რვა ნომრის პოზიციაზე იდგა. ჩხაიძემ კი ფლანკერად, შვიდ ნომერზე ითამაშა.

მორიგ შეხვედრას „მონპელიე“ ხვალ გამართავს ინგლისის კიდევ ერთ კლუბ „ლესტერ ტაიგერზთან“. 8 აგვისტოს ჩვენებურთა გუნდი ბეზიეში, „სტად დე ლა მედიტერანეზე“, მეორე დივიზიონის ბინადარ „ნარბონს“ დაუპირისპირდება.

საფრანგეთის ჩემპიონატის პირველ შეხვედრას, „მონპელიე“ 14 აგვისტოს სტუმრად გამართავს **დავით ხინჩაგიშვილის „ბრივთან“.**

ბესიკ ჯანგავაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა



ყინულის ჰოკეი

# საქართველო და ჰოკეი: ოკეი!

## მოულოდნელი ლეგიონი: ქართლ-კახეთი, იმერეთი, გურია და სამეგრელო... რუსულ ყინულზე



გრიგოლ მეგრელიშვილი

აგვისტოს ბოლოს ბათუმში საერთაშორისო ოთხთა ტურნირის ჩატარება უკვე გადაწყვეტილი ამბავია. ამის შესახებ მალე უფრო ვრცლად გიამბობთ, მანამდე კი იმას გეტყვით, რომ ბათუმში ქართველი ლეგიონერებიც ჩამოვლენ. მართალია, საქართველოს მოქალაქე არც ერთი მათგანი არაა, მაგრამ მაინც არაა გამორიცხული, მათ შემდგომში ჩვენი ეროვნული ნაკრები გააძლიერონ. ოთხთა ტურნირზე საქართველოს ჰოკეის ფედერაციის ხელმძღვანელობა მათ უშუალოდ საქმეში იხილავს და ვინც მოეწონება, ნაკრებში თამაშსაც შესთავაზებს. სავარაუდოდ, ბათუმში მინიმუმ ხუთ ლეგიონერს ვიხილავთ, შესაძლოა, უფრო მეტსაც. გააჩნია, რამდენი ქართველი ჰოკეისტი გამონახავს დროს ბათუმში ჩამოსასვლელად.

ვფიქრობთ, უცხოეთში მოთამაშე ქართველი ჰოკეისტების ვინაობა ჩვენი მკითხველისთვის ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს.

**ალექსანდრე ყაველაშვილი.** მეკარე, 30 წლის, სიმაღლე 169 სმ, წონა 72 კგ, თამაშობს "მეტალურგ სეროვში" (რუსეთი).

**ვახტანგ ცინცაძე.** მეკარე, 27 წლის, თამაშობს "მაალოტში" (ისრაელი).

**გრიგოლ მეგრელიშვილი.** მეკარე, 19 წლის, სიმაღლე 179 სმ, წონა 84 კგ, თამაშობს ვორონეჟის "ბურანში" (რუსეთი).

**ვლადიმერ ხაინდრავა.** თავდამსხმელი, 27 წლის, სიმაღლე 180 სმ, წონა 85 კგ, თამაშობს მოსკოვის "ფენიკსში" (რუსეთი).

**გიორგი ჯინჭველაშვილი.** თავდამსხმელი, 19 წლის, თამაშობს "სევერსტალ ჩერეპოვეცში" (რუსეთი).

**ამირან კურტანიძე.** თავდამსხმელი, 17 წლის, თამაშობს მოსკოვის "ბელიე მედვედიში" (რუსეთი).

**ნიკიტა ბუკია.** თავდამსხმელი, 15 წლის, თამაშობს მოსკოვის "ბელიე მედვედიში" (რუსეთი).

**დავით დუმბაძე.** თავდამსხმელი, 15 წლის, თამაშობს "პენზაში" (რუსეთი).

**მაქსიმ ჯიოშვილი.** თავდამსხმელი, 14 წლის, თამაშობს მოსკოვის "მარინოში" (რუსეთი).

**თემურ ჭკადუა.** თავდამსხმელი, 14 წლის, თამაშობს სარატოვის "კრისტალში" (რუსეთი).

სამწუხაროდ, ყველაზე ცნობილი ქართველი ჰოკეისტი, რუსეთის ჩემპიონატის საუკეთესო მეკარე **გიორგი გელაშვილი** საქართველოს ნაკრების ღირსებას ალბათ აღარ დაიცავს. მიზეზი მარტივია – იგი რუსეთის ნაკრებში მიიწვიეს.

**ლევან ჯანეზაშვილი**

პლაჟბურთი — მსოფლიო რეიტინგი

# ნაბიჯ-ნაბიჯ, მაგრამ წინ

ავსტრიის ქალაქ კლაგენფურტში დასრულებული მსოფლიო ტურის მორიგი ეტაპის შემდეგ პლაჟბურთის ქართული წყვილები რიეტინგში რამდენიმე საფეხურით დაწინაურდნენ.

ვაჟთა ქართულმა დუეტმა **გეორგიამ** კლაგენფურტში 320 სარეიტინგო ქულა მოიპოვა, რამაც საშუალება მისცა, მე-16 ადგილიდან ერთი საფეხურით წინ წაეწია. ჩვენს ფრენბურთელებს ახლა 1700 ქულა აქვთ.

პოლონეთის ქალაქ სტარე იაბლონკიში გასამართ მსოფლიო ტურის ეტაპზე წარმატებული გამოსვლის შემთხვევაში გეორ-გია, სავარაუდოდ, კიდევ ორი საფეხურით დაწინაურდება. ცნობისთვის, მე-14 ადგილზე მყოფ **ჯეკ გიბს** და **სეან როზენტალს** 1860 ქულა აქვთ. ოცი ქულით მეტი აქვს და მე-13 ადგილზეა ბრაზილიური წყვილი **პედრო-კუნია.**

320 ქულა დაიმსახურა კლაგენფურტში ქალთა ქართულმა წყვილმა **საქართველომ.** შედეგად ჩვენმა ფრენბურთელებმა 1600 ქულა დააგროვეს და 21-ე ადგილიდან მე-18-ზე გადაინაცვლეს. სტარე იაბლონკიში ანალოგიური შედეგის შემთხვევაში საქა-რთველოს შეუძლია, რეიტინგში კიდევ ხუთი საფეხურით დაწინაურდეს. ჯერჯერობით მიუწვდომელი ჩვენი ფრენბურთელებისთვის მე-12 ადგილზე მყოფი ბრაზილიური დუეტი რენატა-ვანიდლაა, რომელსაც 2220 ქულა დაუგროვდა.

ვაჟები: 1. ალისონ ჩერუტი-ჰარლი მარკესი (ბრ) - 5 120 ქულა, 2. იულიუს ბრინკი-იონას რეკერმანი (გერ) - 5 060, 3. ემანუელ რეგო-რიკარდო სანტოსი (ბრ)-3 780, 4. ფილ დალჰაუზერი -ტოდ როჯერსი (აშშ) - 3 300. 5. ადრიან გავირა-პაბლო ერერა (ესპ) - 3 300, 6. დავიდ კლემპერერი-ერიკ კორენგი (გერ) - 3 040, 7. დიმიტრი ბარსუკი-იგორ კოლოდინსკი (რუს) - 2 700, 8. კრისტიან კაისი-რივო ვესიკი (ესტ) - 2 640, 9. პატრიკ ჰოიშერი-საშა ჰეიერი (შვეიც) - 2 540, 10. მეთ ფუერბრინგერი-კესი ჯენინგზი (აშშ) - 2 500, 15. გეორ-გია (საქ) - 1 700.

ქალები: 1. მარია ანტონელი-ტალიტა ანტუნსი (ბრ) - 5 0 40ქულა, 2. ჯულიანა სილვა-ლარისა ფრანკა (ბრ) - 4 880, 3. ჯენიფერ კესი-აპრილ როსი (აშშ) - 4 320, 4. სარა გოლერი-ლაურა ლუდვიგი (გერ) - 3 920, 5. კაროლინა სალგადო-მარია კლარა სალგადო (ბრ) - 3 020, 6. სანე კეიზერი-მარლენ ვან ლერსელი (ჰოლ) - 2 760, 7. ნიკოლ ბრანგი-ელენ იუნგზი (აშშ) - 2 700, 8. შელდა ბედე -ანა პაულა კონელი (ბრ) - 2 640, 9. ენჯი ეკერსი-ტარა თერნერი - 2 620, 10. დორის შვაიგერი-სტეფანი შვაიგერი (ავსტრია) - 2 500, 18. საქართველო (საქ) - 1 600.

**ბესიკ ჯანგავაძე**

ჭადრაკი

# ქართველები ევროპაში

**ბებერი კონტინენტის სხვადასხვა ქვეყანაში საინტერესო საჭადრაკო ფესტივალები მიმდინარეობს, რომლებშიც წარმატებით გამოდიან საქართველოს ნარგზავნილები. გაგაცნობთ მათ შედეგებს:**

## გერმანია

**დრეზდენში** დამთავრდა დიდი საერთაშორისო ტურნირი, რომლებშიც 250-მდე ქალ-ვაჟი მონაწილეობდა. მათ შორის იყვნენ ქართველი დიდოსტატები — **თორნიკე სანიკიძე** (2559) და **დავით არუთინიანი** (2526). დასკვნით მე-9 ტურში მე-9 (!) გამარჯვება იზეიმა რუსმა დიდოსტატმა **ვლადიმირ ეპიშინმა** (2592), რომელმაც უკრაინელ **სერგეი ოვსეევიჩს** (2583) სძლია და პირველი ადგილი დაიკავა. 8 ქულით მეორე იყო ოვსეევიჩი. 7,5-7,5 ქულით მესამე-მეშვიდე ადგილები გაიყვეს **რობერტ კემპინსკიმ** (პოლონეთი, 2631), დავით არუთინიანმა, **ანდრეი კოვალიოვმა** (ბულგარეთი, 2533), თორნიკე სანიკიძემ და **ალექსანდრ კოვჩანმა** (უკრაინა, 2554). ბოლო ტურში სანიკიძემ ბულგარელი **პეტერ გენოვი** დაამარცხა, ხოლო არუთინიანი კოვჩანს დაუზავდა.

## თურქეთი

კესანმა მე-7 საერთაშორისო ფესტივალს უმასპინძლა 89 მოჭადრაკის მონაწილეობით. 7 შესაძლებლიდან 6-6 ქულით, შესაბამისად, პირველ მეორე ადგილები თურქმენმა დიდოსტატმა **მეილის ანაბელდიევმა** და თბილისელმა საერთაშორისო ოსტატმა **მალხაზ სულაშვილმა** გაიყვეს. ბოლო ტურში ისინი ერთმანეთს დაუზავდნენ.

ტურნირის მონაწილეებმა ტროაში გადაინაცვლეს, სადაც მათ სხვებიც შეუერთდნენ და ახლა ამ ქალაქში 172 ქალ-ვაჟი ეცილება ერთმანეთს პირველობას. უკვე გათამაშდა 3 ტური. 22-მა მოჭადრაკემ ქულათა მაქსიმუმი მოაგროვა. დაწინაურებულთა შორის არიან ჩვენებურებიც — **მალხაზ სულაშვილი, დავით მალალაშვილი, შოთა აზალაძე, ბაჩანა მორჩიაშვილი, დავით ზარქუა, გიორგი ბალათუროვი** და **არმენ გრიგორიევი.** ტროაში დღეს მე-4 ტურის პარტიები გაიმართება.

## ჰოლანდია

**ტვენტეს** უნივერსიტეტში ახალგაზრდული საერთაშორისო ფესტივალი მიმდინარეობს. მთავარ ტურნირში მონაწილეობს ბათუმელი დიდოსტატი **სალომე მელია,** რომელსაც 3 ტურის შემდეგ მოკრძალებული 1,5 ქულა აქვს. უდანაკარგოდ პოლონელი **ვოისეჩ მორანდა** ლიდერობს. მას ნახევარი ქულით ბელარუსი **სერგეი ჟიგალკო** ჩამორჩება.

## ესპანეთი

**კატალონიის** ქალაქ ლა პობლა დე ლილეტში გუშინ XIX საერთაშორისო ტურნირი დაიწყო. 9 ქვეყნის 82 მონაწილეს შორის არიან **სოფიკო გურამიშვილი** და **ანა მათნაძე.** პირველ ტურში ქართველმა მოჭადრაკეებმა შავი ფიგურებით ესპანელებს — **ხუან ესკოფეტსა** და **ხოსებ ვალკორბა ფლორესს** მოუგეს. ტურნირში ფავორიტად ითვლება სომეხი დიდოსტატი **კარენ მოვსესიანი** (2543), რომელმაც მასპინძელი **ხორდი ტორნერი** დაამარცხა.

მე-2 ტურში გურამიშვილი **რაფაელ მორალესს** ხვდება, ხოლო მათნაძე **ხოსებ კომპანიოსს** დაუპირისპირდება.

**ვაჟა დანელია**

ჩოგბურთი



ოქსანა კალაშნიკოვა

# ოთხი ქართველის პიკი

გუშინდელ რეიტინგში 4 ქართველს კარიერაში საუკეთესო მიღწევა აქვს სეზონის მსოფლიოს კლასიფიკაციაში. ესენი არიან: **ოქსანა კალაშნიკოვა, სოფიო ქვაცაბაია, მანანა შაფაქიძე** და **ნიკოლოზ ბასილაშვილი.** კვლავ ქალთა ჩოგბურთში ვყოჩაღობთ. საქართველოს პირველმა ჩოგანმა **ანა ტატიშვილმა** უმნიშვნელოდ წაიწია წინ, ის 344 ქულით მსოფლიოს 173-ე ჩოგანია. ერთ კვირაში 8 საფეხური აიარა კლასიფიკაციის კიბეზე ოქსანა კალაშნიკოვამ, მას ხარკოვის ტურნირზე მოპოვებული 14 ქულა დაერიცხა. დღეიდან ოქსანა 241 ქულით მსოფლიოს 220-ე ჩოგანია. შემდეგ ორშაბათს მას ალმათური 34 ქულა მოემატება და 200-ეულში შევა. **მაკა ჩახნაშვილს** ცვლილება ნაკლებად შეეხო, მაკა 212 ქულით 242-ე პოზიციაზეა (+1). აი, **სოფიო შაფათავას** კი ამდენმა წარუმატებელმა თამაშმა მე-3 ასეულშიც დააკარგვინა ადგილი, შაფათავა 143 ქულით მსოფლიოს 308-ე (-23) ჩოგანია. სხვები: 501 (+7) **ეკა გორგოძე** - 62 ქულა; 515 (+13) სოფიო ქვაცაბაია - 60; 555 (+33) მანანა შაფაქიძე - 51; 975 (-26) **სოფიო მელიქიშვილი** - 10.

ვაჟებში **ირაკლი ლაბაძეს** კიდევ მოაკლდა მარაგიდან ქულები - მას 48 ქულა რჩება, რაც მსოფლიო კლასიფიკაციაში 643-ე (-44) ადგილს ჰყოფნის. **ნიკოლოზ ბასილაშვილმა** 7 საფეხურით წაიწია, მას 33 ქულა აქვს და მსოფლიოს 727-ე ჩოგანია. სხვები: 1087 (-134) **ლაზარე კუხალაშვილი** - 10 ქულა; 1101 (+6) **ლადო ჩიხლაძე** - 9; 1726 (-) **სოზარ გოქაძე** - 1; 1765 (-237) **ნოდარ ითონიშვილი** - 1; 1765 (-30) **გიორგი რევაზიშვილი** - 1. ათასეულში ორი ჩოგბურთელი, აქედან ერთმა ფაქტობრივად დაანება სპორტს თავი, ვერაფერს ვიტყვით - უმძიმესი მდგომარეობაა.

ალმათის შემდეგ ჩვენს ყურადღებას ასტანის საერთაშორისო ტურნირი იმსახურებს, რომლის საპრიზო ფონდი 50 ათასი დოლარია. ჯერჯერობით საკვალიფიკაციო მატჩები არ დასრულებულა. ძირითად ბადეში მოხვედრა ორ ქართველს შეუძლია, ეკა გორგოძეს და **თათია მიქაძეს.** მე-2 ნომრად განთესილმა გორგოძემ მეორე წრეში უპრობლემოდ დაამარცხა რუსი **ელინა გასანოვა** (703) - 6:0, 6:1. არც თათია მიქაძეს გასჭირვებია გზიდან ამერიკელი **ვერონიკა ბირიუკოვას** ჩამოცილება - 6:2, 6:2. იმისათვის, რომ ჩვენებურებმა ძირითად ბადეში გააღწიონ, მათ რუსები უნდა დაამარცხონ, გორგოძემ **იანა კოროლიოვა** (907), მიქაძემ - **ქსენია მოსკალი.** სხვათა შორის, ფინალურ წრეშია გასული რუსეთის სახელით მოასპარეზე **ნანული ფიფიაც** (689). ტურნირის ძირითად ბადეში ყოველგვარი ზედმეტი ჯაფის გარეშე, რეიტინგის წყალობით მოხვდნენ ოქსანა კალაშნიკოვა და სოფიო შაფათავა. კენჭისყრაში არც ერთს არ გაუმართლა. შაფათავა მე-5 ნომრად განთესილ უკრაინელ **იულიანა ფედაკს** (179) ეთამაშება, ხოლო კალაშნიკოვა მე-6 ნომრად განთესილ რუს **ალექსანდრა პანოვას** (192). წყვილთა ბადეში გააღწია ეკა გორგოძისა და **სოფიკო შარანგიას** დუეტმა, მათ უზბეკ მეტოქეებს (**აზიმოვა, რაჰმანოვა**) მოუგეს - 6:0, 6:2. წყვილებში ითამაშებენ აგრეთვე შაფათავა (გასანოვასთან ერთად) და ქვაცაბაია (**ავგუსტა ციბიშევასთან** დუეტში). რაც შეეხება კალაშნიკოვას, მან მთელი კონცენტრაცია ერთეულთა თანრიგს დაუთმო.

იტალიაში, მონტერონის საერთაშორისო ტურნირში (25 ათასი $) მე-5 ნომრად განთესეს **მაკა ჩახნაშვილი.** მისი მეტოქე **აურელ ვედია** (საფრანგეთი, 318). მაკას ერთხელ უთამაშია ვედის წინააღმდეგ და უმარჯვია. წყვილთა ბადეში მაკა იტალიელ **ნიკოლ კლერიკოსთან** (438) ერთად მე-2 ნომრად განთესეს და მეოთხედფინალში დაუშვეს. ჩვენი ლიდერი ანა ტატიშვილი კანადაშია, სადაც ვანკუვერის საერთაშორისო ტურნირში (75 ათასი $) მიიღებს მონაწილეობას.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

მშვილდოსნობა — საარჩევნო ყრილობა

# მამუკა ქაცარავა: ერთი ისარი ათიანში

11 აგვისტოს სპორტის დეპარტამენტის სააქტო დარბაზში საქართველოს მშვილდოსნობის ფედერაციის საანგარიშო-საარჩევნო ყრილობა გაიმართება. ტრადიციულად, მიმოხილავენ განვლილი ოთხწლიანი ციკლის შედეგებს, თუმცა უმთავრესი საკითხი ახალი პრეზიდენტის არჩევნები იქნება. აქედანვეა ცნობილი, რომ ახალ ოლიმპიურ ოთხწლედში ფედერაციას ახალი პრეზიდენტი ეყოლება, რადგან **თენგიზ ტერუნაშვილი** კენჭს აღარ იყრის. პრეზიდენტის პოსტზე ერთადერთი კანდიდატია - თბილისის მერიის სოციალური მომსახურებისა და კულტურის საქალაქო სამსახურის უფროსი **მამუკა ქაცარავა.** ჯერჯერობით არჩევნებში მონაწილეობაზე სხვებს განაცხადი არც შეუტანიათ და, წინასწარი მონაცემებით, არც საამისო სურვილს ამჟღავნებენ. განაცხადების შეტანა უშუალოდ ყრილობის დაწყებისას შეწყდება. ამდენად, მსურველებს კანდიდატურების წამოყენება 11 აგვისტოსაც შეუძლიათ, მაგრამ ეს ნაკლებადაა მოსალოდნელი.

**ირაკლი თავაძე**

## უცხოური სპორტი

**ფორმულა 1.** ინტერვიუ ფელიპე მასასთან



# არაფერი არ მახსოვს

„ჰუნგარორინგის“ ტრასაზე მომხდარი ავარიიდან მეცხრე დღეს ბრაზილიელი ფელიპე მასა ბუდაპეშტის სამხედრო ჰოსპიტლიდან გამოწერეს. „ფერარის“ პილოტი, მისი მეუღლე და პირადი ექიმი სასწრაფო დახმარების მანქანით აეროპორტში გადაიყვანეს, საიდანაც მასა კერძო თვითმფრინავით სამშობლოში გაემგზავრა.

პილოტის შემდგომი რეაბილიტაცია ქალაქ სან პაულუში გაგრძელდება.

აეროპორტში გამგზავრებამდე ფელიპე მასამ ავარიის შემდეგ პირველი ოფიციალური ინტერვიუ მისცა „ფერარის“ პრესსამსახურს.

**- როგორ გრძნობთ თავს? გახსოვთ ავარიის დეტალები?**

- გადმოცემით ვიცი, რაც მოხდა. რუბენს ბარიკელოს მანქანას ზამბარა მოძვრა, რომელიც თავში მომხვდა. იმ დროს არაფერი მიგრძნია - ექიმები ამბობენ, რომ გონება დავკარგე, ტრასიდან გადავედი და დამცავ ბარიერს შევასკდი. გონს კი ორი დღის შემდეგ, ჰოსპიტალში მოვედი.

არაფერი მახსოვდა, ექიმებს მოუხდათ ჩემთვის ყველაფრის მოყოლა. როდესაც ჩემს სარბოლო ინჟინერ რობ სმედლის ველაპარაკე, მან მკითხა - მახსოვდა თუ არა წინ მიმავალი ბარიკელოს მანქანა. მე კი მხოლოდ იმას ვიხსენებ, რომ მეორე საკვალიფიკაციო სეგმენტში სწრაფ წრეს ვასრულებდი და ყველაფერი წესრიგში იყო. მომხდარის ახსნა ძალიან მიჭირს. მთავარია, რომ ახლა უკეთესად ვგრძნობ თავს და მინდა, რაც შეიძლება სწრაფად დავუბრუნდე „ფერარის“ საჭეს.

**- ვის გინდათ გადაუხადოთ მადლობა?**

- პირველ რიგში, ღმერთს ვწირავ მადლობას გადარჩენისთვის. მადლობა ტრასისა და ბუდაპეშტის ჰოსპიტლის ექიმებს, რომლებმაც ჩემთვის ბევრი რამ გააკეთეს.

გარდა ამისა, მინდა მადლობა გადავუხადო ყველას, ვინც ჩემი ჯანმრთელობისთვის ლოცულობდა, ვინც კეთილ სურვილებს ტოვებდა ჩემსა და „ფერარის“ ვებგვერდებზე. უამრავი წერილი მივიღე, იმათგანაც კი, ვისაც ფორმულა 1 საერთოდ არ აინტერესებს, მაგრამ მომხდარის შესახებ საინფორმაციო წყაროებიდან შეიტყო. მე მათთვის ვილოცებ ისევე, როგორც ისინი ჩემთვის ლოცულობდნენ. მეც ასე მოვიქცეოდი, რომელიმე სხვა მრბოლელი რომ ავტოკატასტროფაში მოყოლილიყო.

**- რა იქნება თქვენი პირველი სურვილი ბრაზილიაში დაბრუნების შემდეგ?**

- სახლში დაბრუნება ძალიან მინდა. უნდა დავრწმუნდე იმაში, რომ იქ ყველაფერი ძველებურადაა. ბოლო დღეებში უამრავი რამ მოხდა. სასწრაფოდ უნდა დავივიწყო ყველაფერი და ნორმალურ ცხოვრებას დავუბრუნდე, ისეთს, როგორიც ჩვეულებრივ ადამიანს აქვს.

**- თქვენი ბოლიდის საჭესთან დროებით მიხაელ შუმახერი დაჯდება. გაქვთ თუ არა მისთვის რაიმე რჩევა მომზადებული?**

- მიხაელს ჩემი რჩევები არ სჭირდება! ეს მე მჭირდებოდა რჩევები, როცა ერთად გამოვდიოდით „ფერარიში“. მან იცის, როგორ მოიგოს რბოლები. ის ხომ უდიადესი ავტომრბოლია. მოხარული ვარ, რომ სწორედ მიხაელი შემცვლის - ეს საუკეთესო არჩევანია. დარწმუნებული ვარ, ბევრს გაუხარდება მისი დაბრუნება, თუმცა მეც ვიმედოვნებ, რომ ტრასაზე მაქსიმალურად მოკლე დროში დავბრუნდები.

# პიკე ზაუბერს ყიდულობს?

როგორც შვეიცარიული პრესა წერს, ფორმულა 1-დან წასული „BMW-ზაუბერის“ ახალი მფლობელი შეიძლება ბიზნესმენი **ფრიც კაიზერი** გახდეს. ეს გახლავთ „ზაუბერის“ ყოფილი თანამფლობელი, რომელმაც თავის დროზე გუნდს სარფიანი კონტრაქტი დაადებინა კომპანია „პეტრონასთან“.

ბრაზილიელი ჟურნალისტები კი „BMW-ზაუბერის“ სავარაუდო მყიდველად მსოფლიოს სამგზის ჩემპიონ **ნელსონ პიკე-უფროსს** ასახელებენ. ბრაზილიელი პილოტი საჯინიბო Piquet GP-ის ფლობს, რომელიც GP2-ის, GP2 Asia-სა და ევროსერია 3000-ში გამოდის.

ჯერჯერობით მოვლენათა განვითარების ორი ვარიანტი არსებობს - „BMW-ზაუბერი“ შეიძლება გამოისყიდოს ინვესტორმა, რომელიც შეინარჩუნებს ბრენდს, სამუშაო ადგილებსა და ინფრასტრუქტურას. თუ BMW ასეთ გარიგებას არ დაეთანხმება, 2010 წელს მის ადგილს ახალი გუნდი დაიკავებს. ახალ საჯინიბოს იმათგან ამოირჩევენ, ვინც საგაისო ჩემპიონატის განაცხადში ვერ მოხვდა. BMW-ის ერთ-ერთ სავარაუდო შემცვლელად ესპანური Epsilon Euskadi სახელდება.

„BMW-ზაუბერის“ პოტენციური მყიდველები თავს იკავებენ კომენტარებისგან, „რენოს“ პილოტმა **ნელსონ პიკე-უმცროსმა** კი ბრაზილიურ O Globo-სთვის მიცემულ ინტერვიუში იხუმრა: *„მე მომწონს სახელწოდება Piquet F1, თქვენ?“*

**ჩოგბურთი.** WTA-ის ტური

# სენსაციური ფინალი

გასულ კვირას ყველაზე წარმომადგენლობითი ტურნირი ამერიკის ქალაქ სტენფორდში გაიმართა, სადაც თითქმი ყველა წამყვანმა ქალმა ჩოგბურთელმა მოიყარა თავი. ერთი შეხედვით, ეს ტურნირი მას შემდეგ დასრულდა, რაც ერთ დღეს ერთბაშად გამოეთიშნენ ბრძოლას **სერენა უილიამსი, ელენა იანკოვიჩი** და **მარია შარაპოვა**. ხოლო, როცა მომდევნო დღეს **ელენა დემენტიევამ** უბრძოლველად დათმო შეხვედრა **ვენუს უილიამსთან** (0:6, 1:6), აღარავის ეპარებოდა ეჭვი, რომ ჩემპიონი უფროსი უილიამსი გახდებოდა. მაგრამ ყველაფერი სხვანაირად მოხდა.

ვენუსთან წაგების შემდეგ, დემენტიევამ აღიარა, რომ რამდენიმე გეიმის მოგების შანსი ჰქონდა, მაგრამ მთლიანად მატჩში გამარჯვებაზე ლაპარაკიც კი ზედმეტი იყო. და ეს განაცხადა ჩოგბურთელმა, რომელიც თავისი ბრძოლისუნარიანობით არის განთქმული, იშვიათად აგებს მატჩებს ორ სეტში და ასეთი გამანადგურებელი ანგარიშით ორი წელია არ დამარცხებულა. აღსანიშნავია, რომ ეს არ იყო ვენუსის ერთადერთი გაბრწყინება ამ ტურნირზე. დემენტიევას დამარცხებამდე მან კორტზე „გააკრა“ **მარია შარაპოვა** - 6:2, 6:2. ასე რომ, ვენუსი არათუ ფინალის აშკარა ფავორიტად, არამედ თითქმის ჩემპიონად გამოცხადდა.

ამასობაში, ბადის მეორე მხარეს ყველასგან ნაადრევად და არასამართლიანად მივიწყებული ფრანგი **მარიონ ბარტოლი** მიიწევდა წინ. როგორც ჩანს, უიმბლდონის ყოფილი ფინალისტი სტენფორდში კარგად მომზადებული ჩავიდა, თუმცა პირველ მატჩებში გაუჭირდა. ამის შემდეგ ბარტოლისთან სიტყვიერი დუელი გააჩაღა მორიგმა მეტოქემ **ელენა იანკოვიჩმა**. სერბს ფრანგის შესახებ აზრი ჰკითხეს, რაზეც იანკოვიჩმა საპასუხო კითხვა დასვა: „ვინ არის ბარტოლი?“ არადა, ელენას კარგად უნდა სცოდნოდა, რომ ბარტოლი მას ურთიერთშეხვედრებში 4:3-ს უგებდა და ოთხიდან სამ მატჩში სერბს დიდ ტურნირებზე - ავსტრალიის ღიაზე, უიმბლდონსა და წლის შემაჯამებელ ჩემპიონატში სძლია. ბარტოლი გაბრაზდა და კორტზე იძია შური იანკოვიჩზე. შემდეგ ნახევარფინალში სტენფორდის მეორე მთავარ გმირს, ავსტრალიელ **სამანტა სტოსურს** აჯობა, რომელმაც მანამდე შინ გაამგზავრა სერენა უილიამსი.

ასე რომ, ბარტოლიმ სამართლიანად მიიღო ფინალში ვენუს უილიამსის წინააღმდეგ თამაშის უფლება. ამ ჩოგბურთელების ერთადერთი მატჩი 2007 წელს ჩატარდა. უიმბლდონის ნახევარფინალში ფრანგმა სენსაციურად დაამარცხა პირველი ჩოგანი **ჟუსტინ ანენი** და ფინალში გავიდა. ის მატჩი უინტერესო გამოდგა, რადგან ვენუსი იოლად გაუსწორდა ბარტოლის. და სტენფორდის ფინალშიც ზუსტად იმავეს წინასწარმეტყველებდა ჩოგბურთის თითქმის ყველა მოყვარული.



მაგრამ ბარტოლის უდიდესი მოტივაცია გააჩნდა. მას ჯერ კიდევ ახსოვდა იანკოვიჩის გესლიანი სიტყვები, გარდა ამისა, არ სურდა თავის ცხოვრებაში მეორე მნიშვნელოვანი ფინალის ერთსა და იმავე ჩოგბურთელთან წაგება, თანაც რეიტინგის საუკეთესო ხუთეულში შემავალი მეტოქის დამარცხება მის პრესტიჟს ერთიორად აამაღლებდა...

შეიძლება ითქვას, რომ ბარტოლიმ პირველი სეტი უილიამსის შეცდომებზე მოიგო, მაგრამ ეს ბოლომდე კორექტული შეფასება ვერ იქნება, რადგან ფრანგს მეტოქის შეცდომების იმედი არ ჰქონია და თავადაც შესანიშნავად მოქმედებდა. ის რეაქტიულ ჩოგბურთს აჩვენებდა, ვენუსი კი ვერ ასწრებდა საპასუხო შეტევებზე გადასვლას და მხოლოდ თავის დაცვა უხდებოდა. ამერიკელმა თვალის დახამხამება ვერ მოასწრო, რომ პირველი სეტი წაგებული ჰქონდა - 2:6.

მეორე სეტის დასაწყისში უილიამსმა თავისი მოწოდება წააგო და ერთ მომენტში ისე ჩანდა, რომ ვენუსი დანებდა. მაგრამ ამერიკელმა დაამხო მითი იმის შესახებ, რომ უილიამსების დონის ჩოგბურთელები ასეთ ტურნირებზე დიდად არ იხარჯებიან. ვენუსი ბოლომდე დაიხარჯა. უილიამსი იბრძოდა, თუმცა ვერაფრით ახერხებდა საპასუხო ბრეიკის გაკეთებას. მან თავისი შანსი სეტის ბოლოს მიიღო და ხელიდან არ გაუშვა. 5:4-ზე ბარტოლი მატჩზე აწვდიდა და სწორედ აქ შეძლო მეორე პარტიის ბედის შემობრუნება უილიამსმა - ზედიზედ სამი გეიმი და სეტი თავის სასარგებლოდ დაასრულა. მეორე პარტიის ბოლოს ბარტოლი აშკარად იმედგაცრუებული და გადაღლილი ჩანდა. ეს კი იმას გვაფიქრებინებდა, რომ უილიამსს მესამე სეტში იოლი გასეირნება ელოდა.

მესამე პარტიაში მომხდარი ძნელი ასახსნელია. ამერიკელს ვერ უშველა კარგმა სპორტულმა ფორმამ, საჩემპიონო ხასიათმა, საკუთარი გულშემატკივრების წინაშე გამოსვლამ, ფინალებში თამაშის გამოცდილებამ... ასე იმიტომ მოხდა, რომ ბარტოლის მოტივაციამ ყველა ჩამოთვლილი გარემოება გადაწონა - 6:4 ფრანგის სასარგებლოდ.

ბარტოლიმ ძალიან გაიხარა კარიერაში ყველაზე დიდი გამარჯვებით. კარგი იქნება, თუ ფრანგი ამ ფორმას ამერიკის ღია პირველობისთვის შეინარჩუნებს და სექტემბრის დასაწყისში „ფლეშინგ მედოუს“ კორტებზე ისეთ აურზაურს დაატრიალებს, რასაც 2007 წლის უიმბლდონის დროს ჰქონდა ადგილი.

# კინგი პრეზიდენტმა დააფასა

მსოფლიო ჩოგბურთის ლეგენდა, ამერიკელი **ბილი ჯინ კინგი** იმ 16 ადამიანს შორის მოხვდა, რომლებსაც ამერიკის პრეზიდენტმა **ბარაკ ობამამ** თავისუფლების საპრეზიდენტო მედალი გადასცა. კინგის გარდა, სამოქალაქო პირებისთვის ამერიკის უმაღლესი ჯილდო მიიღეს დემოკრატმა სენატორმა **ედვარდ კენედიმ** და სამხრეთაფრიკელმა არქიეპისკოპოსმა და საზოგადო მოღვაწემ **დესმონდ ტუტუმ**. ლაურეატების დაჯილდოება 12 აგვისტოს თეთრ სახლში გაიმართება.

65 წლის ბილი ჯინ კინგმა, რომელმაც აქტიური სპორტული კარიერა 1983 წელს დაასრულა, 67 ტიტული მოიგო ერთეულებში და 101 - წყვილთა თანრიგში. მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგანის ანგარიშზეა 12 გამარჯვება „დიდი სლემის“ ტურნირებზე, აქედან ექვსი ტიტული უიმბლდონზე მოდის.

თავისუფლების საპრეზიდენტო მედალი (Presidential Medal of Freedom) - ამერიკაში სამოქალაქო პირებისთვის განკუთვნილი ორიდან ერთ-ერთი უმაღლესი ჯილდოა, რომელსაც ქვეყნის პრეზიდენტი გადასცემს. თავისუფლების მედლით ჯილდოვდებიან ადამიანები, რომლებმაც „განსაკუთრებული წვლილი შეიტანეს აშშ-ის უსაფრთხოებისა და ეროვნული ინტერესების დაცვაში და ქვეყნის საზოგადოებრივ-კულტურულ ცხოვრებაში“.

მედალი პრეზიდენტმა **ჰარი ტრუმენმა** 1945 წელს დააწესა მეორე მსოფლიო ომში დამსახურებებისთვის. 1963 წელს პრეზიდენტმა **ჯონ კენედიმ** ლაურეატთა სფერო გააფართოვა.



გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

ეროვნული ბიბლიოთეკა



ცურვა. მსოფლიოს ჩემპიონატი



# 43 რეკორდით დამთავრდა

რომში დასრულებულ პლანეტის პირველობაზე მსოფლიოს 43 რეკორდი დამყარდა. აქედან ოთხი ბოლო დღის ფინალებში დაფიქსირდა. შედარებისთვის, შარშან პეკინის ოლიმპიადაზე მოცურავეებმა 25-ჯერ გააუმჯობესეს მსოფლიოს რეკორდი, თუმცა რომში სპორტსმენები ისეთ დისტანციებშიც იღებდნენ მონაწილეობას, რომელიც ოლიმპიურ პროგრამაში არ შედის: ოლიმპიადაზე მედლების 32 კომპლექტი გათამაშდა, რომში - 40.

„ფორო იტალიკოზე" ბოლო დღეს შვიდი ფინალი გაიმართა. პირველი იყო არაოლიმპიური დისციპლინა - 50 მეტრი გულაღმა ცურვა, რომელიც ბრიტანელმა **ლაიამ ტენკოკმა** მსოფლიოს ახალი რეკორდით მოიგო. ეს ამ მოცურავის პირველი ოქროა ასეთი დონის ტურნირზე - მანამდე ტენკოკს სამი ბრინჯაო ჰქონდა მოპოვებული მსოფლიოს ჩემპიონატებზე. ბრიტანელის მთავარი მეტოქე იაპონელი **იუნია კოგა** იყო, რომელმაც მანამდე გულაღმა ცურვით 100 მეტრი მოიგო. ამჯერად აზიელი ვერცხლს დასჯერდა - მან ასეთი მოკლე დისტანციისთვის საკმაოდ ბევრი, ორი მეათედი წამი წააგო გამარჯვებულთან.

იმის გამო, რომ **მაიკლ ფელპსმა** ამ ჩემპიონატზე უარი თქვა კომპლექსურ გაცურვებში გამოსვლაზე, ოქროს მედლების საკმაოდ კარგი მარაგი დაუგროვდა **რაიან ლოხტეს**. 200 მეტრზე კომპლექსურში გამარჯვებას ლოხტემ ორჯერ უფრო გრძელ დისტანციაზე მოგებაც დაუმატა. კიდევ ორი ოქრო ამერიკელმა ესტაფეტებში დაისაკუთრა და ამ ჩემპიონატზე პირველი ადგილების რაოდენობით მხოლოდ ფელპსს ჩამორჩა.

ამავე დღეს ქალებს შორის 400 მეტრზე კომპლექსურშიც გაირკვა ჩემპიონის ვინაობა. ორი ბრინჯაოს მოგების შემდეგ კარიერაში პირველი ოქრო მოიპოვა 20 წლის უნგრელმა **კატინკა ჰოშუმ**. მან ორი ბრწყინვალე მოცურავე - ზიმბაბველი **კირსტი ქოვენთრი** და ამ დისციპლინაში მოქმედი ოლიმპიური ჩემპიონი, ავსტრალიელი **სტეფანი რაისი** დაამარცხა. ქოვენთრისთვის ეს მეორე მედალი იყო ამ ჩემპიონატზე - მანამდე მან ოქრო მოიგო 200 მეტრზე გულაღმა ცურვაში, რაისმა კი აშკარად ჩააგდო ეს პირველობა და რომი ჩემპიონის ტიტულის გარეშე დატოვა.

ბრაზილიელი **სეზარ სიელო ფილიოს** შედეგი გაიმეორა გერმანელმა **ბრიტა შტეფენმა** - 100 და 50 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვა მოიგო. ჩემპიონატის ბოლო დღეს გერმანელმა 50 მეტრი მსოფლიოს რეკორდით მოიგო. შტეფენმა ჰოლანდიელი **მარლენ ფელდჰუისის** შედეგი გააუმჯობესა. თავად ჰოლანდიელი ამ გაცურვაში მესამე იყო, მეორეზე კი გავიდა ვეტერანი შვედი **ტერეზ ალშამარი**. 32 წლის მოცურავისთვის ეს პირველი მედალი იყო ამ ჩემპიონატზე, სულ კი სკანდინაველს 2001 წლიდან მოყოლებული ექვსი მედალი დაუგროვდა, რომელთაგანაც მხოლოდ ერთია ოქროსი (50 მეტრი ბატერფლაი, 2007 წელი).

ამ დისტანციაზე წინა ორი ჩემპიონატის გამარჯვებული, ავსტრალიელი **ლიზბეტ ტრიკეტი** მხოლოდ მეექვსე იყო, მერვეზე გავიდა „სუპერ-ვეტერანი", 42 წლის ამერიკელი **დანა ტორესი**. ეს უკანასკნელი მარტო ფინალში გასვლისთვის იმსახურებს აპლოდისმენტებს.

როგორც იქნა, პირველი ოქრო მოიგო ამ ჩემპიონატზე ტუნისელმა **უსამა მელულიმ**. 400 და 800 მეტრზე აფრიკელმა მოცურავემ ორი ვერცხლი აილო. 800 მეტრზე მელული ჩინელმა **ლინ ჟანგმა** დაამარცხა. 1500 მეტრის ფინალის პირველი ნახევარიც ჩინელის უპირატესობით წარიმართა. ჟანგი 800 მეტრის შემდეგ ლიდერი იყო, მაგრამ ბოლოს ძალები გამოელია და სამეულის მიღმა აღმოჩნდა. მელულიმ ტაქტიკურად სწორად წარმართა ფინალი, ბოლოსკენ მოუმატა და უახლოეს მდევარს ოთხ წამზე მეტი მოუგო. ამ დისტანციაზე მსოფლიოს რეკორდი შენარჩუნდა. ტუნისელი სამი წამით ჩამორჩა ავსტრალიელი **გრანტ ჰეკეტის** შედეგს, რომელიც 2001 წელს არის ნაჩვენები.

ჩემპიონატი ტრადიციულად მამაკაცთა კომპლექსური ესტაფეტით დასრულდა. აქ დიდი ხანი თანაბარი ბრძოლა მიდიოდა ამერიკას, გერმანიასა და ავსტრალიას შორის. ფავორიტ ამერიკას ესტაფეტის ბოლო ეტაპის წინ სოლიდური სხვაობით დაწინაურება სჭირდებოდა, რადგან ბოლოს გერმანელთა რიგებში ცურავდა ამ ტურნირის ორგზის ჩემპიონი და რეკორდსმენი **პაულ ბიდერმანი**. სწორედ ეს ამოცანა შეასრულა ბრწყინვალედ მაიკლ ფელპსმა, რომელმაც თითქმის ორწამიანი უპირატესობა მოუტანა **დევიდ უოლტერსს** და ამ უკანასკნელმა იოლად მიიყვანა საქმე გამარჯვებამდე. ამით ფელპსმა ამ ჩემპიონატზე მეხუთე ოქრო მოიპოვა. სულ კი მას მსოფლიოს ჩემპიონატებზე 24 მედალი აქვს მოპოვებული და აქედან 20 უმაღლესი სინჯისაა. ეს ყველა დროის საუკეთესო შედეგია.

ესტაფეტაში მოპოვებული ოქროთი ამერიკამ მედლების საერთო ჩათვლაში პირველობა გამოსტაცა ჩინეთს. ჩემპიონატის დასრულების შემდეგ ცურვის საერთაშორისო ფედერაციამ საუკეთესო მამაკაც მოცურავედ მაიკლ ფელპსი დაასახელა, ქალებში - იტალიელი **ფედერიკა პელეგრინი**, ხოლო საუკეთესო გუნდად ამერიკელ მოცურავეთა ნაკრები აღიარეს.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

## მამაკაცები

### 50 მ. გულაღმა

1. **ლაიამ ტენკოკი** (ბრიტ) - 24.04 (მსოფლიოს რეკორდი); 2. **იუნია კოგა** (იაპ) - 24.24 (+0.20); 3. **გერჰარდ ზანდბერგი** (ს. აფრ) - 24.34 (+0.30).

### 400 მ. კომპლექსური

1. **რაიან ლოხტე** (აშშ) - 4:07.01; 2. **სკოტ კლარკი** (აშშ) - 4:07.31 (+0.30); 3. **ლასლო ჩეხი** (უნგ) - 4:07.37 (+0.36).

### 1500 მ. თავისუფალი

1. **უსამა მელული** (ტუნ) - 14:37.28; 2. **რაიან კოკრენი** (კან) - 14:41.38 (+4.10); 3. **იან სუნი** (ჩინ) - 14:46.84 (+9.56).

### 4x100 მ. კომპლექსური

1. **აშშ** (აარონ პირსოლი, ერიკ შანტო, მაიკლ ფელპსი, დევიდ უოლტერსი) - 3:27.28 (მსოფლიოს რეკორდი); 2. **გერმანია** (ჰელგე მეეუვი, ჰენდრიკ ფელდვერი, ბენჯამინ შტარკე, პაულ ბიდერმანი) - 3:28.58 (+1.30); 3. **ავსტრალია** (ეშლი დელენეი, ბრენტონ რიკარდი, ენდრიუ ლაუტერშტეინი, მეტიუ ტარგეტი) - 3:28.64 (+1.36).

## ქალები

### 50 მ. ბრასი

1. **იულია ეფიმოვა** (რუს) - 30.09 (მსოფლიოს რეკორდი); 2. **რებეკა სონი** (აშშ) - 30.11 (+0.02); 3. **სარა კაცულისი** (ავსტრა) - 30.16 (+0.07).

### 50 მ. თავისუფალი

1. **ბრიტა შტეფენი** (გერ) - 23.73 (მსოფლიოს რეკორდი); 2. **ტერეზ ალშამარი** (შვედ) - 23.88 (+0.15); 3. **კეიტ კემპბელი** (ავსტრა) - 23.99 (+0.26).

### 400 მ. კომპლექსური

1. **კატინკა ჰოშუ** (უნგ) - 4:30.31; 2. **კირსტი ქოვენთრი** (ზიმ) - 4:32.12 (+1.81); 3. **სტეფანი რაისი** (ავსტრა) - 4:32.29 (+1.98).

### მედლების ჩათვლა

| | ო | ვ | ბ | ს |
|---|---|---|---|---|
| 1. აშშ | 11 | 10 | 7 | 28 |
| 2. ჩინეთი | 11 | 7 | 11 | 29 |
| 3. რუსეთი | 8 | 8 | 4 | 20 |
| 4. გერმანია | 7 | 4 | 1 | 12 |
| 5. ავსტრალია | 4 | 6 | 10 | 20 |
| 6. ბრიტანეთი | 4 | 3 | 2 | 9 |
| 7. იტალია | 4 | 1 | 5 | 10 |
| 8. სერბეთი | 3 | 1 | 0 | 4 |
| 9. უნგრეთი | 2 | 1 | 3 | 6 |
| 10. ბრაზილია | 2 | 1 | 1 | 4 |
| 11. ესპანეთი | 1 | 7 | 3 | 11 |
| 12. იაპონია | 1 | 2 | 1 | 4 |
| 13. ტუნისი | 1 | 2 | 0 | 3 |
| 14. ზიმბაბვე | 1 | 1 | 0 | 2 |
| 14. დანია | 1 | 1 | 0 | 2 |
| 14. შვედეთი | 1 | 1 | 0 | 2 |
| 17. ს. აფრიკა | 1 | 0 | 3 | 4 |
| 18. ჰოლანდია | 1 | 0 | 1 | 2 |
| 19. მექსიკა | 1 | 0 | 0 | 1 |
| 20. კანადა | 0 | 4 | 5 | 9 |
| 21. საფრანგეთი | 0 | 3 | 3 | 6 |
| 22. საბერძნეთი | 0 | 1 | 0 | 1 |
| 22. პოლონეთი | 0 | 1 | 0 | 1 |
| 24. ხორვატია | 0 | 0 | 1 | 1 |
| 24. მალაიზია | 0 | 0 | 1 | 1 |
| 24. კუბა | 0 | 0 | 1 | 1 |
| 24. რუმინეთი | 0 | 0 | 1 | 1 |
| 24. ლიტვა | 0 | 0 | 1 | 1 |
| 24. ნორვეგია | 0 | 0 | 1 | 1 |
| 24. ავსტრია | 0 | 0 | 1 | 1 |

## ცხელი ხაზი

### ფეხბურთი

**იტალიის თასი**

| | |
|---|---|
| სპეცია-ვერონა | 0:0 დ.დ. 0:1 |

**გერმანიის თასი**

| | |
|---|---|
| ფორტუნა-ჰამბურგი | 2:2 პენ. 1:4 |

**დანია**

| | |
|---|---|
| ორჰუსი-ოდენსე | 2:2 |

**ნორვეგია**

| | |
|---|---|
| ლინი-ბრანი | 2:2 |

**შვედეთი**

| | |
|---|---|
| გაის-ტრელებორგი | 0:1 |
| გეფლე-იურგორდენი | 2:0 |
| ჰამარბიუ-ჰელსინგბორგი | 1:2 |
| ერებრუ-იორგრიტე | 2:2 |

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| იონჩოპინგი-ანგელჰოლმი | 6:1 |
| ლანდსკრონა-კვიდინგი | 2:2 |
| მიალბიუ-ტროლჰატანი | 2:0 |
| ნორჩოპინგი-ასირისკა | 5:1 |

**შვეიცარია**

**ჩელენჯლიგა**

| | |
|---|---|
| ვილი-სერვეტი | 1:1 |

**ირლანდია**

**ლიგის თასი**

| | |
|---|---|
| ბოჰემიანსი-სლიგო | 2:2 დ.დ. 4:2 |

**ჩეხეთი**

| | |
|---|---|
| იაბლონეცი-სლოვაცკო | 3:2 |

**ბრაზილია**

| | |
|---|---|
| ატ. მინეირო-კურიტიბა | 3:2 |
| გრემიო-კრუზეირო | 4:2 |
| სანტო ანდრე-გოიაში | 1:2 |

**ჩილე**

| | |
|---|---|
| ნუბლენსე-უნ. კატოლიკა | 0:0 |
| ლა სერენა-კურიკო | 2:0 |

**კოლუმბია**

| | |
|---|---|
| ამერიკა-დეპ. პასტო | 1:1 |

**მექსიკა**

| | |
|---|---|
| ამერიკა-მორელია | 1:2 |
| ს. ლაგუნა-ინდიოსი | 1:0 |

### ჩოგბურთი

**ATP. ვაშინგტონი**

| | |
|---|---|
| იუჟნი-კენდრიკი | 7:5, 3:6, 6:1 |
| გაბაშვილი-პეტცშნერი | 6:4, 3:6, 4:6 |

**WTA. ლოს ანჯელესი**

| | |
|---|---|
| ბამერი-კინგი | 3:6, 2:6 |
| კლეიბანოვა-კუდრიავცევა | 6:1, 6:3 |
| საფაროვა-კანეპი | 6:3, 7:6 |
| ვიკმაიერი-ვაიდიშოვა | 6:1, 6:1 |
| სკიავონე-კრეიბასი | 6:7, 2:6 |
| რაზანო-ჩაკვეტაძე | 6:7, 3:6 |
| შავაი-ვესნინა | 1:6, 0:6 |

## TV პროგრამა

### 4 აგვისტო. სამშაბათი

**HTB-პლუსი (ფეხბურთი)**

**07:15** გასული სეზონის ქრონიკა. ინგლისის ჩემპიონატი. ასტონ ვილა-ევერტონი.
**09:05** 2:1 - საფეხბურთო ტოქშოუ.
**10:05** გასული სეზონის ქრონიკა. ჩემპიონთა ლიგა. 1/4 ფინალი. საპასუხო მატჩი. ჩელსი-ლივერპული.
**12:00** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**12:20** გასული სეზონის ქრონიკა. ესპანეთის ჩემპიონატი. ბარსელონა-ვილიარეალი.
**14:10** გასული სეზონის ქრონიკა. ინგლისის ჩემპიონატი. მანჩესტერ იუნ-ტოტენჰემი.
**16:00** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**16:20** გასული სეზონის ქრონიკა. ჩემპიონთა ლიგა. 1/4 ფინალი. საპასუხო მატჩი. არსენალი-ვილიარეალი.
**18:20** გასული სეზონის ქრონიკა. ინგლისის ჩემპიონატი. არსენალი-ჩელსი.
**20:10** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**20:35** ჰოლანდიის ჩემპიონატი. გრონინგენი-აიაქსი.
**22:25** გასული სეზონის ქრონიკა. ესპანეთის ჩემპიონატი. ვილიარეალი-რეალი.
**00:15** FUTBOL MUNDIAL - საერთაშორისო ტელეჟურნალი.
**00:45** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**01:00** გასული სეზონის ქრონიკა. ჩემპიონთა ლიგა. 1/2 ფინალი. პირველი მატჩი. ბარსელონა-ჩელსი.
**03:00** 2:1 - საფეხბურთო ტოქშოუ.
**04:00** გასული სეზონის ქრონიკა. საფრანგეთის ჩემპიონატი. კანი-ბორდო.
**05:50** გასული სეზონის ქრონიკა. ჩემპიონთა ლიგა. 1/4 ფინალი. საპასუხო მატჩი. ბაიერნი-ბარსელონა.

**HTB-პლუსი (სპორტი)**

**07:00** ახალი ამბები.
**07:50** დროთა კავშირი.
**08:00** ძველი გულშემატკივრის მოგონებები.
**08:00** პროფესიული კრივი. საჩემპიონო ბრძოლა. ანტონიო მარგარიტო-შეინ მოსლი.
**10:00** ახალი ამბები.
**10:20** დროთა კავშირი.
**10:25** ჰარმონიის ფორმულა.
**10:40** გოლფი. წესები და პრაქტიკა.
**10:45** რაგბილიგა. ევროპის სუპერლიგა. სენტ ელენსი-უიგანი.
**12:30** ტყვიის სროლა. ევროპის ჩემპიონატი. ხორვატია.
**13:30** რკინის ფაქტორი. ტელეჟურნალი.
**14:00** ახალი ამბები.
**14:15** გოლფი. წესები და პრაქტიკა.
**14:20** ექო - საინფორმაცია-ანალიტიკური პროგრამა.
**16:50** საწყლოსნო სპორტის სახეობები. მსოფლიოს ჩემპიონატი. ცურვა. რომი. იტალია.
**18:50** ახალი ამბები.
**19:05** ჰოკეი. NHL. სეზონის საუკეთესო მატჩები. ჩიკაგო-კაროლინა.
**21:00** ახალი ამბები.
**21:20** დროთა კავშირი.
**21:30** კალათბურთი. ევროლიგა. სეზონის საუკეთესო მატჩები. 1/4 ფინალი. ცსკა (რუსეთი)-პარტიზანი (სერბეთი).
**23:00** როდეო. BULL RIDERS.
**00:00** ახალი ამბები.
**00:20** დროთა კავშირი.
**00:25** ძველი გულშემატკივრის მოგონებები.
**00:30** ფრენბურთი. სეზონის საუკეთესო მატჩები. ეკბ-ის თასი. კაცები. ოთხთა ფინალი. 1/2 ფინალი. ლოკომოტივი (რუსეთი)-უნიკახა (ესპანეთი).
**02:30** ახალი ამბები.
**02:50** დროთა კავშირი.
**02:55** ძველი გულშემატკივრის მოგონებები.
**03:00** როდეო. BULL RIDERS.
**04:00** ტაილანდური კრივი.
**05:00** ახალი ამბები.
**05:20** დროთა კავშირი.
**05:25** ძველი გულშემატკივრის მოგონებები.
**05:30** ფიგურული სრიალი.

**EUROSPORT**

**10:30** საწყლოსნო სპორტის სახეობები. მსოფლიოს ჩემპიონატი. ცურვა. რომი. იტალია.
**11:30** პლაჟის ფეხბურთი. ევროლიგა. ჯგუფური ეტაპი. ესპანეთი-პოლონეთი. ბეზიე. საფრანგეთი.
**12:30** ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატი (19-წლამდელები). ფინალი. უკრაინა-ინგლისი. უკრაინა.
**14:00** საწყლოსნო სპორტის სახეობები. მსოფლიოს ჩემპიონატი. ცურვა. VIII დღე. რომი. იტალია.
**15:00** მძლეოსნობა. საერთაშორისო ტურნირი. ვატენშაიდი. გერმანია.
**16:30** ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატი (19-წლამდელები). ფინალი. უკრაინა-ინგლისი. უკრაინა.
**18:00** ფეხბურთი. საქველმოქმედო მატჩი. ინგლისი-გერმანია.
**19:00** საწყლოსნო სპორტის სახეობები. მსოფლიოს ჩემპიონატი. ცურვა. VIII დღე. რომი. იტალია.
**20:00** ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
**20:15** ველოსპორტი. პოლონეთის ტური. III ეტაპი.
**21:15** პული. ლას ვეგასი. აშშ.
**22:15** ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
**22:30** პროფესიული კრივი. IBF-ის ვერსია. საშუალო წონა. ა. აბრაჰამი (გერმანია)-მ. ორალი (გერმანია). კილი. გერმანია.
**00:30** რალი. IRC-ი სერია. პორტუგალია.
**01:00** რალი. მსოფლიოს ჩემპიონატი. ფინეთი.
**02:00** ავტოსპორტი. რენოს მსოფლიო სერია. პორტიმაო. პორტუგალია.
**02:30** ავტოსპორტი. ლე მანის რბოლა ამტანობაზე. 1000 კმ. პორტუგალია.
**03:00** ავტომოტოსპორტი. ტელეჟურნალი.
**03:15** მულტისპორტი.

**EUROSPORT-2**

**09:30** ახალი ამბები.
**12:00** მაუნტინბაიკი. მსოფლიოს თასი. კაცები. ბრომონი. კანადა.
**13:00** ახალი ამბები.
**13:30** ფეხბურთი. იაპონიის ჩემპიონატი. XX ტური. იოკოჰამა-კიოტო.
**14:30** ახალი ამბები.
**15:00** მაუნტინბაიკი. მსოფლიოს თასი. კაცები. ბრომონი. კანადა.
**15:30** ახალი ამბები.
**16:00** სპიდვეი. მსოფიოს თასი. დანია.
**17:00** კალათბურთი. ამხანაგური მატჩი. სლოვენია.
**18:30** ახალი ამბები.
**19:00** მოტოკროსი. მსოფლიოს ჩემპიონატი. ბელგია.
**20:00** ახალი ამბები.
**20:30** ავტოსპორტი. ლე მანის რბოლა ამტანობაზე. 1000 კმ. პორტუგალია.
**21:30** ახალი ამბები.
**22:00** სპორტული ცეკვები.
**23:30** ავსტრალიური ფეხბურთი. ტელეჟურნალი.
**01:00** ახალი ამბები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კრივი

## გატის ცოლი პყვარებია

გარდაცვლილი მოკრივის **არტურო გატის** მეგობარი **ჯერემი ფილოზა** აცხადებს, რომ სიკვდილამდე სამი კვირით ადრე, კანადელმა მოკრივემ ანდერძი შეცვალა და მთელი თავისი ქონება მეუღლეს **ამანდა როდრიგესს** დაუტოვა. გარდა ამისა, ცოტა ხნის წინ ქმრის მკვლელობაში ეჭვმიტანილი ქალბატონი ერთ მილიონ დოლარს მიიღებს გატის სიცოცხლის სადაზღვევო პოლისის მიხედვით.

*"ეს სიმართლეა. ყველაფერი, რაც არტუროს გააჩნდა, მის მეუღლეს გადაეცემა. ანდერძის თანახმად, მის შვილებს, დედას, ძმებსა და დებს არაფერი დარჩათ"*, - ამბობს ფილოზა.

კალათბურთი

## პარკერი იტალიასთან ვერ ითამაშებს

საფრანგეთის ნაკრების გამთამაშებელი **ტონი პარკერი** იტალიის წინააღმდეგ ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო მატჩს გამოტოვებს.. როგორც ცნობილია, "სან ანტონიო სპურსის" ერთ-ერთმა ლიდერმა ავსტრიასთან საჩვენებელ მატჩში ბარძაყის ტრავმა მიიღო. მართალია, დაზიანება სერიოზული არ ყოფილა, მაგრამ "სპურსის" ხელმძღვანელობამ კალათბურთელს ამერიკაში დაბრუნება და იქ სამედიცინო შემოწმების გავლა მოსთხოვა. ფრანგიც იძულებული გახდა, ოკეანის გაღმა გამგზავრებულიყო.

პარკერი ვარაუდობდა, რომ ნაკრებს ამ კვირის დასაწყისში შეუერთდებოდა, მაგრამ ტონი 5 აგვისტოსთვის (იტალიასთან მატჩის თარიღი) ევროპაში დაბრუნებას ვერ ახერხებს და შესაბამისად, ამ მნიშვნელოვანი მატჩის გამოტოვება მოუწევს.

## ოლიმპიაკოსი კლეიზას უმიზნებს

საბერძნეთის "ოლიმპიაკოსი" იმედს არ კარგავს, რომ ახალი სეზონის წინ ლიტველ მცველ **ლინას კლეიზას** შეიძენს. კალათბურთელმა ჯერ ვერ მიიღო NBA-ის კლუბებისგან ღირსეული წინადადება და გამორიცხული არ არის, ევროპაში გააგრძელოს კარიერა.

ამ მომენტისთვის ლინასი "დენვერ ნაგეტსისგან" ელის შემოთავაზებას, მაგრამ კლუბის ხელმძღვანელობა **ენტონი პარკერთან** კონტრაქტის გახანგრძლივებას ანიჭებს უპირატესობას.

## მგლებს რემბისი გაწვრთნის

თითქმის გადაწყვეტილია, რომ "მინესოტა ტიმბერვულვზის" ახალი მთავარი მწვრთნელი **კურტ რემბისი** გახდება. მწვრთნელი რომელიც ამჟამად "ლეიკერსში" **ფილ ჯექსონის** ასისტენტის მოვალეობებს ასრულებს.

ადრე იტყობინებოდნენ, რომ რემბისის გარდა, "მგლების" გენერალური მენეჯერი **დევიდ კანი** კიდევ სამ კანდიდატთან აწარმოებდა მოლაპარაკებებს. ესენი არიან: "ნიუ იორკისა" და "ინდიანას" ყოფილი გამთამაშებელი, ამჟამად ABC-TV-ის ანალიტიკოსი **მარკ ჯექსონი**, "ჰიუსტონში" **რიკ ადელმანის** ასისტენტი **ელსტონ ტერნერი** და "პორტლენდში" **ნეიტ მაკმილანის** თანაშემწე **მონტი უილიამსი**. მაგრამ, Yahoo! Sports-ის ინფორმაციით "მინესოტამ" უპირატესობა რემბისის კადიდატურას მიანიჭა.

მძლეოსნობა

## ისინბაევას ერთი კონკურენტი მოაკლდა

ჭოკით ხტომაში 2003 წლის ჩემპიონი და ოლიმპიური თამაშების პრიზიორი **სვეტლანა ფეოფანოვა** მსოფლიოს ჩემპიონატს გამოტოვებს, რომელიც 15 აგვისტოს გერმანიის დედაქალაქ ბერლინში დაიწყება. ცნობილი მძლეოსანი ფეხის ტრავმის გამო ვერ შეძლებს წლის მთავარ ტურნირზე გამგზავრებას.

*"სამწუხაროდ, ტრავმა არ მაძლევს იმის საშუალებას, რომ მსოფლიოს ჩემპიონატისთვის საუკეთესო ფორმა ავკრიფო და ტოლსწორად ვებრძოლო ჩემს კონკურენტებს"*, - ამბობს რუსი სპორტსმენი.

ფიგურული სრიალი

## ჩემპიონი არ დაბრუნდება

მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონი **მიშელ კვანი** არ აპირებს დიდ სპორტში დაბრუნებას იმისთვის, რომ ამერიკის ოლიმპიურ ნაკრებში მოიპოვოს ადგილი და გაისად, თებერვალში ვანკუვერის ოლიმპიადაზე მიიღოს მონაწილეობა.

კვანის სიტყვებით, ის საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში განათლების მიღებას აპირებს. *"ფიგურული სრიალი ყოველთვის ჩემი ცხოვრების ნაწილი იყო. მაგრამ ახლა მინდა მოვნახო ისეთი საქმე, რომელიც საშუალებას მომცემს უფრო მეტი სარგებლობა მოვუტანო მსოფლიოს"*, - ამბობს კვანი.

კალათბურთი

# 60 წლის წინ

### 1949 წლის 3 აგვისტოს ოფიციალურად გამოცხადდა ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის დაარსების შესახებ

ამმნიშვნელოვან მოვლენამდე ამერიკულ კალათბურთში ქაოსს მიახლოებული სიტუაცია სუფევდა. თავიდან, "დაუმორჩილებელ" საკალათბურთო გუნდებს საერთოდ არ გააჩნდათ დამაკავშირებელი ცენტრი, ხოლო პირველი მეტ-ნაკლებად სერიოზული ტურნირი 1897 წელს, ამერიკის მოყვარულ ათლეტთა კავშირის მიერ იქნა ორგანიზებული.

თუმცა უკვე ერთი წლის შემდეგ ამერიკაში გაჩნდა პირველი პროფესიული ლიგა - NBL (ეროვნული საკალათბურთო ლიგა), რომელმაც ფინანსური პრობლემებისა და მისი ხელმძღვანელების გადაჭარბებული ამბიციების გამო სულ ორი სეზონი იარსება. ამერიკული კალათბურთის სტრუქტურიზაციის მეორე მცდელობას 1925 წელს ჰქონდა ადგილი, როცა ამერიკის საკალათბურთო ასოციაცია (ABA) დაარსდა, მაგრამ ისიც სუსტი ორგანიზაცია

პირველ სეზონებში NBA-ის წამყვანი კლუბი იყო "მინეაპოლის ლეიკერსი" და მხოლოდ 1951 წელს, თავისი მოთამაშეების მრავალრიცხოვანი ტრავმების გამო წააგო ფინალური სერია "როჩესტერ როიალზთან".

სხვათა შორის, NBA-ის არსებობის პირველი წლები იოლი არ ყოფილა. უკვე 1950 წელს, ერთბაშად ექვსი კლუბი - "ანდერსონ პეკერსი", "ჩიკაგო სტეგსი", "დენვერ ნაგეტსი", "შიბოიგან რედსკინსი", "სენტ ლუის ბომბერსი" და "ვატერლოო ჰოქსი" NBA-დან გავიდა. 1954-55 წლების სეზონში, ასოციაციის წევრთა რაოდენობა კიდევ უფრო შემცირდა - ლიგა მხოლოდ რვა გუნდს ითვლიდა. ამ რთულ პირობებში NBA-ის ხელმძღვანელობა იძულებული გახდა რამდენიმე არასტანდარტული ნაბიჯი გადაედგა და მატჩების ჩატარების ახალი წესები შემოეღო, რომელმაც სულ მალე დააბრუნა



ქარიმ აბდულ-ჯაბარი, შაკილ ო'ნილი და ჯორჯ მიკანი

ალმოჩნდა და წლების განმავლობაში კარგავდა პრესტიჟს. ამასობაში, 1937 წელს აღადგინეს ეროვნული საკალათბურთო ლიგა. სწორედ ამ ორ სტრუქტურას უნდა შეექმნა ის ორგანიზაცია, რომლის ჩემპიონატსაც დღეს მილიონობით მაყურებელი ადევნებს თვალს.

გაერთიანებისკენ პირველი ნაბიჯი 1946 წელს გადაიდგა, როცა ყოფილი პროფესიონალი კალათბურთელები მეორე მსოფლიო ომიდან სამშობლოში დაბრუნდნენ. კვლავ აქტიურად ამოქმედდა ამერიკის საკალათბურთო ასოციაცია, რომელმაც დიდი პოპულარობა მოიპოვა კალათბურთის მოყვარულებსა და ბიზნესმენებს შორის. ამით ABA-მ ბრძოლაში გამოიწვია NBL და ამერიკულ კალათბურთში ამ უკანასკნელის მონოპოლიას ბოლო მოუღო.

თუმცა თავიდან ამ ორი ლიგის გზები არ იკვეთებოდა. ABA-მ თავისი მოღვაწეობა ქვეყნის დიდ ქალაქებში გაშალა, NBL კი აკრონს, ფორტ-უეინსა და მსგავს პატარა დასახლებებს მოიცავდა. ამ ლიგის მატჩები პატარა პროვინციულ სპორტდარბაზებში ტარდებოდა, ABA-მ კი თავისი მატჩებისთვის საერთო ეროვნული დონის არენები აირჩია, ისეთები როგორიცაა - ბოსტონის "გარდენი" ან ნიუ იორკის "მედისონ სკვერ გარდენი".

ასეთ დისბალანსს არ შეიძლებოდა გავლენა არ მოეხდინა ორი ლიგის კონკურენციაზე და 1948-49 წლების სეზონში, ABA-ს რიგებში მასიურად გადავიდნენ საუკეთესო მოთამაშეები და მწვრთნელები, ხოლო NBL-ის ოთხი წამყვანი კლუბი - "ფორტ-უეინი", "ინდიანაპოლისი", "მინეაპოლისი" და "როჩესტერი" მთელი შემადგენლობით კონკურენტთა რიგებში წავიდნენ. ასე რომ, ამერიკის საკალათბურთო ასოციაციის გამარჯვებით დასრულდა ბრძოლა მაშინდელ ვარსკვლავ **ჯორჯ მიკანისთვის**, რომელიც "მინეაპოლის ლეიკერსში" თამაშობდა. ამ კალათბურთელს შეეძლო მარტო მიეყვანა ნებისმიერი გუნდი გამარჯვებამდე.

ორი ლიგის შერწყმის ოფიციალური აქტი 1949 წლის 3 აგვისტოს, ABA-ის ნიუ იორკის ოფისში შედგა, რომელიც ცნობილ ცათამბჯენ - Empire State Building-ში იყო განთავსებული. ახლად შექმნილი ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ხელმძღვანელად ABA-ის პრეზიდენტი **მორის პოდოლოფი** აირჩიეს, რომელიც წარმოშობით ქალაქ ელიზავეტგრადიდან (დღევანდელი კიროვოგრადი, უკრაინა) იყო. ახალმა სტრუქტურამ 17 გუნდი გააერთიანა, რომელიც 3 დივიზიონად დაიყო.

სტადიონებზე მაყურებელი. კერძოდ, ჯერ კიდევ 1951 წელს უმნიშვნელოვანესი მოვლენა მოხდა, რამაც საფუძველი ჩაუყარა დღემდე არსებულ ტრადიციას. მარტში, ბოსტონის არენაზე 10 ათასი მაყურებლის თანდასწრებით გაიმართა "ყველა ვარსკვლავის" პირველი მატჩი, რომელშიც აღმოსავლეთის საუკეთესო კალათბურთელები დასავლეთის ცნობილ ოსტატებს დაუპირისპირდნენ. აღმოსავლეთმა მოიგო - 111:94, რითაც დაამტკიცა, რომ კალათბურთის განვითარება, პირველ რიგში ატლანტიკის ოკეანის სანაპიროდან დაიწყო.

დღეს, ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში ამერიკისა და კანადის 30 პროფესიული გუნდი თამაშობს. ისინი აღმოსავლეთისა და დასავლეთის კონფერენციებად (თითოში სამ-სამი დივიზიონი) არიან დაყოფილნი. რეგულარულ ჩემპიონატში თითო გუნდს 82 მატჩის ჩატარება უწევს.

გვერდი მოამზადა გია **თვალაბეიშვილმა**

შუანასკნელ საათს



## რენომ პიკე დაითხოვა

ბრაზილიელმა პილოტმა **ნელსინიო პიკემ** ჟურნალისტებს აცნობა, რომ "რენომ" ვადაზე ადრე გაწყვიტა მასთან კონტრაქტი და ბრაზილიელი მონაწილეობას არ მიიღებს სეზონის დარჩენილ რბოლებში.

*"რენოსგან" შეტყობინება მივიღე იმის შესახებ, რომ გუნდი წყვეტს ამ სეზონში ჩემთან თანამშრომლობას. მიუხედავად იმისა, რომ უსიამოვნოა ასეთი ახალი ამბის მოსმენა, მინდა მადლობა გადავუხადო იმ პატარა კოლექტივს, რომელიც "რენოში" ჩემთან ერთად მუშაობდა"*, - ამბობს პიკე.

ნელსინიოს შემცვლელს "რენო" მოგვიანებით გამოაცხადებს. ფრანგებს შეუძლიათ არ იჩქარონ, რადგან 23 აგვისტოს, დისკვალიფიკაციის გამო ისინი ევროპის გრან-პრიში ვერ მიიღებენ მონაწილეობას.

## რაფა ბრუნდება

საბოლოოდ გაირკვა, რომ **რაფაელ ნადალი** მონრეალის მასტერსზე ითამაშებს. ეს ინფორმაცია ესპანელი ჩოგბურთელის ბიძამ და მწვრთნელმა **ტონი ნადალმა** დაადასტურა. ტურნირი 8 აგვისტოს დაიწყება.

*"რაფა მონრეალში ითამაშებს - ეს კარგი ამბავია ჩვენთვის"*, - აცხადებს ტონი ნადალი. თუმცა ჩოგბურთელის ბიძა იმასაც უსვამს ხაზს, რომ მისი შეგირდი ჯერ ბოლომდე ინტენსიურად ვერ ვარჯიშობს: *"თუ რა ფორმაში იქნება რაფაელი, ამას ტურნირის მსვლელობა გვიჩვენებს"*.

ტონიმ რაფას გეგმებიც გაამხილა: *"დასამალი არაფერი გვაქვს. მთავარი მიზანია ამერიკის ღია პირველობის წინ კარგი სპორტული ფორმა ავკრიფოთ. თუ რაფა წარმატებით გამოვა ორ ტურნირზე (მონრეალი და ცინცინატი), მაშინ მისგან ყველაფერს უნდა ველოდეთ, თუნდაც ფედერერის, მიურეისა და ჯოკოვიჩის დამარცხებას"*.



თმის გადანერგვის კლინიკა
«თალიზი»
თმის გადანერგვის პირველი სპეციალიზებული კლინიკა ამიერკავკასიაში
თმის აღდგენითი ქირურგიის საერთაშორისო საზოგადოების -ISHRS- წევრი

მრავალწლიანი გამოცდილება, ხარისხი, გარანტირებული შედეგები
უახლესი ამერიკული მეთოდები, მხოლოდ ჩვენთან!
ფოლიკულური გაერთიანებების მასშტაბური ტრანსპლანტაციები, სტერეომიკროსკოპული ტექნოლოგია, FOX-პროცედურები, წარბებისა და წამწამების გადანერგვა
თმის გადანერგვა ხორციელდება 2-3 საათში უმტკივნეულოდ
გადანერგილი თმა ბუნებრივად იზრდება და არ ცვივა.
კონსულტაციები უფასოა და ანონიმური.
მისამართი: ქ. თბილისი, ტაშკენტის ქ. №27
ტელ.: 25-37-39; 37-50-89; 899-53-07-10 www.talizi.ge